

ეკატერინე შენგელია

სააქციო საზოგადოების  
ორგანიზაციისა და ფუნქციონირების  
სამართლებრივი საფუძვლები

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

2002

წიგნში განხილულია სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი სუბიექტის – სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხები. სამოქალაქო (სამეწარმეო) კანონმდებლობის, შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურის, აგრეთვე სამეურნეო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია წინადადებები სააქციო საზოგადოებათა ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფისათვის.

განკუთვნილია იურისტების, ეკონომისტებისა და სამეწარმეო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის.

**რედაქტორი:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ლადო ჭანტურია

**რედაქციური კომიტეტი:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ბესარიონ ზოიძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი ქეთევან ქოქრაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2002

© ეკატერინე შენგელია 2002

## შინაარსი

შესავალი.....	5
---------------	---

### თავი I

სააქციო საზოგადოების წარმოშობა და განვითარება.....	11
§1. საბაზრო მეურნეობა და იურიდიული პირის არსი.....	11
§2. სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის შექმნის აუცილებლობა და განვითარების საფუძვლები.....	17
§3. სააქციო საზოგადოების ცნება და სტრუქტურა.....	24
ა) სააქციო საზოგადოების არსი.....	24
ბ) აქციონერთა საერთო კრება.....	27
გ) სამეთვალყურეო საბჭო.....	31
დ) ღირებუტორები.....	34
§4. აქციის ცნება და სახეები.....	36
§5. აქციონერთა უფლება-მოვალეობანი.....	39
§6. სააქციო საზოგადოების შექმნა და მისი რეგისტრაცია.....	43
§7. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია.....	50
§8. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია.....	54

### თავი II

სააქციო საზოგადოების ძონების სამართლებრივი მდგომარეობა.....	60
§1. საწესდებო კაპიტალის ფორმირება.....	60
ა) საწესდებო კაპიტალის ფულადი შესატანები.....	64
ბ) არაფულადი შესატანები.....	68
გ) საწესდებო კაპიტალის შევსების ვადები.....	72
§2. საწესდებო კაპიტალის შეცვლის საფუძვლები.....	75
ა) საწესდებო კაპიტალის გაზრდა.....	76
ბ) საწესდებო კაპიტალის შემცირება.....	81
§3. სააქციო საზოგადოების სარეზერვო და სხვა ფონდები.....	87
§4. სააქციო საზოგადოების სასესხო კაპიტალი.....	90

### თავი III

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სააქციო საზოგადოების მონაწილეობის	
თავისებურებანი.....	94
§1. დირექტორთა მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები.....	94
§2. პროკურისტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თავისებურებანი.....	103
§3. საეკსპრო მინდობილობის შინაარსი.....	106
§4. საეკსპრო წარმომადგენლისა და კომისიონერის უფლებამოსილებანი.....	108
§5. მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვის საფუძველები.....	114
§6. სააქციო საზოგადოებისა და მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა.....	128
ა) სააქციო საზოგადოების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.....	129
ბ) დირექტორებისა და სხვა წარმომადგენლების პასუხისმგებლობა.....	133
ლიტერატურა.....	145

საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და კერძო ურთიერთობათა ჩამოყალიბება-განვითარების აუცილებლობა. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, გადაჭარბებულ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ჩარჩოში აქცევდა რა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს, ხოლო სახელმწიფოს კი ყველა უფლების უმაღლესი უზურპატორის როლში წარმოადგენდა, საეხებით კანონზომიერად იქნა უარყოფილი. ახალ პირობებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება რადიკალურად განსხვავებული პრინციპების საფუძველზე წარიმართა. კერძო სამართალი საზოგადოების განვითარებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცალკეულ სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა. პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც ამ ამოცანის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ 1991 წლის 25 ივლისის კანონი იყო. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას. ამასთან, მართალია, კანონი მეწარმეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ურთიერთობის სრულყოფილად მოწესრიგების ცდას წარმოადგენდა, მაგრამ იგი ზომასზე მეტად გადაიჭვირთა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ნორმებით. „საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით იგი დაბალი დონის კანონი იყო“<sup>1</sup>. ამიტომ აუცილებელი იყო ეკონომიკის სტაბილური სამართლებრივი საფუძვლის ჩამოყალიბების ფონზე ახალი კოდიფიცირებული და გაცილებით უფრო სრულყოფილი სამართლებრივი აქტის შექმნა.

<sup>1</sup> ლადო ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. სერგო ჯორბენაძე 70. საიუბილეო კრებული. თბ., 1996, გვ. 33.

სწორედ ასეთი გახლდათ 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც თავისი ხარისხითა და შინაარსით კერძო ხასიათის პირველ ფუძემდებლურ აქტს წარმოადგენს. იგი ქართველი და გერმანელი მეცნიერების ნაყოფიერი თანამშრომლობის საუკეთესო შედეგია. მასში მაღალი ქართული იურიდიული ინტელექტი და საერთაშორისო საკორპორაციო პრაქტიკა ორიგინალურადაა შერწყმული ერთმანეთთან. „გერმანულ კოლეგებთან ერთად შემუშავებული ეს უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი დასავლეთის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას არ იმეორებს, თუმცა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის საერთო სიერცის ტენდენციას შეესაბამება. სწორედ ესაა ქართული სამართლის განვითარების ბუნებრივი ისტორიული გზა“<sup>1</sup>. მეწარმეთა შესახებ კანონმა და ახალმა სამოქალაქო კოდექსმა სამეწარმეო საქმიანობის სოლიდური საკანონმდებლო ბაზა შექმნა. მეურნეობის სხვადასხვა სისტემებს შორის გარდამავალი პერიოდის პრაქტიკამ სამეწარმეო კანონმდებლობაში სერიოზულ ცვლილებათა შეტანა განაპირობა. ასეთი რამ არც მომავალშია გამორიცხული, რადგან კანონმდებლობის სრულყოფა ცივილიზებული საზოგადოების უპირველესი საზრუნავია.

სამეწარმეო კანონმდებლობის ხარისხის ამაღლებისადმი ზრუნვამ და შესაბამისი პრაქტიკის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთამ საფუძველი დაუდო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინტენსიურად წარმართვას. ამისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა ლალო ჭანტურიასა და თედო ნინიძის მიერ მომზადებულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კომენტარებმა<sup>2</sup>. შემდგომი პერიოდის სამეცნიერო გამოკვლევები ძირითადად შეეხო სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევას. საკანდიდატო დისერტაციები მიუძღვნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას – დავით ძიძიგურმა და ქეთევან ქო-

<sup>1</sup> სერგო ჯორბენაძე, წინასიტყვაობა მეწარმეთა შესახებ კანონის მრავალენოვანი გამოცემისათვის. თბ., 1995, გვ. 5.

<sup>2</sup> ლალო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბ., 1998.

ქრამვილმა, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას – ლალი ლაზარაშვილმა. გამოქვეყნდა ამ ავტორთა სტატიები და ბროშურები. საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების შესახებ 2000 წელს თბილისში ჩატარდა გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი.

წარმატების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საკორპორაციო სამართლის სფეროში. მონოგრაფიულადაა გამო-საკვლევი შეუსწავლელი სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, სამეწარმეო საქმიანობის პრინციპები და სხვა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სააქციო საზოგადოებებს<sup>1</sup> ამ მხრივ ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში თითქმის ყამირია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივანე ჯავახიშვილისა<sup>2</sup> და სერგი ჯაფარიძის<sup>3</sup> ზოგად ისტორიული ფონის შემქმნელ შრომებს, ლადო ჭანტურიას სამეცნიერო შრომებს საკორპორაციო სამართალში<sup>4</sup>, ბესარიონ ზოიძის სტატიას აქციათა შესახებ<sup>5</sup>, გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებებსა<sup>6</sup> და ასევე ამ წიგნის ავტორის რამდენიმე შრომას<sup>6</sup>.

სააქციო საზოგადოება თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობათა მეტად გავრცელებული და მნიშვნელოვანი სუბიექტია. იგი საბაზრო მეურნეობასთან ყველაზე უფრო ინტეგრირებული სტრუქტურაა. მისი მეშვეობით წარმატებით ხორციელდება კაპიტალის კონცენტრაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.) სააქციო საზოგადოება

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ., 1984.

<sup>2</sup> სერგი ჯაფარიძე, საეჭრო სამართალი. ტფილისი, 1925.

<sup>3</sup> აღნიშნულის გარდა იხილეთ ლადო ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი, კრ. ქართული სამართლის საფუძვლები. რედაქტორი პროფ. რ. შენგელია.

<sup>4</sup> ბესარიონ ზოიძე, აქცია და სააქციო საკუთრების ცნება, თურნ. „ცხოვრება და სამართალი“, 1998, №3.

<sup>5</sup> საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. თბ., 2000.

<sup>6</sup> ეკა შენგელია, სააქციო საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი და აქციონერთა უფლება-მოვალეობანი. თურნ. „სამართალი“, 1996, №1-2; მისივე, სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, თურნ. „სამართალი“, 1998, №7-8; მისივე სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1999. მისივე, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. თურნ. „სამართალი“, 2001, №3.

დოება ეკონომიკის განვითარების ობიექტურ მოთხოვნათა პროდუქტია და ვიდრე საბაზრო მეურნეობა იარსებებს, იგი გარდუვალი აუცილებლობით იქნება განპირობებული. ყოველად წარმოუდგენელია თანამედროვე საბანკო და სადაზღვევო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო, აგრეთვე მეურნეობის ბევრი სხვა სფერო სააქციო საზოგადოებათა გარეშე. ზოგიერთი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და ცნობილი საწარმოები სააქციო საზოგადოებათა ფორმით არსებობენ. ფართოდ გავრცელდა ისინი საქართველოშიც. ათასობით სააქციო საზოგადოებაში მილიონამდე აქციონერია გაერთიანებული. ზოგიერთ სააქციო საზოგადოებაში ათეულათასობით პირი მონაწილეობს. სააქციო საზოგადოებებში კონცენტრირებულია მნიშვნელოვანი კაპიტალი.

ამასთან, სააქციო საზოგადოებათა შინაარსში გამოხატულებას პოულობს ეკონომიკის ამა თუ იმ ტიპის ნაკლოვანებებიც. ისინი ვლინდებიან არა მარტო ეკონომიკურ კრიზისებში, რასაც სააქციო საზოგადოებათა გაკოტრება, აქციათა კურსის დაწევა, საბირჟო პანიკები და მასობრივი გაღატაკებები მოჰყვება ხოლმე, არამედ იმაშიც, რომ სააქციო საზოგადოების შინაგანი ბუნება არასაკმარისად სრულყოფილია. მასში ბევრი ისეთი ელემენტია, რომელთა არამართლზომიერად გამოყენების ცდუნება საკმაოდ დიდია, სააქციო სპეკულაცია, დაუსაბუთებელი დამფუძნებლობა, აქციებით ადვილად გამდიდრების დაუოკებელი სურვილი სააქციო საზოგადოებათა თანამდევი კომპონენტებია. საჭიროა მათი შემცირების ან სრულად აღმოფხვრის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა. ნაკლოვანებების მიუხედავად, სააქციო საზოგადოებებში პოზიტიური საწყისები გაცილებით უფრო მეტია და მნიშვნელოვანი. საბაზრო მეურნეობისადმი უფრო მისადაგებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ეკონომიკურ-სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკას ჯერ არ შეუქმნია. ამიტომ ზედმეტი ინტერესი სააქციო საზოგადოებათა მიმართ როგორც ადრე, ასევე დღესაც არსებობს. განსაკუთრებით ითქმის ეს საქართველოს შესახებ.

ჩვენთვის მთავარი ამოცანა ის არის, რომ სააქციო საზოგადოება-



თა არსებობის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა და მეცნიერული კვლევა-ძიებანი გამოყენებულ იქნეს საქართველოში მათ დასამკვიდრებლად და არსებულ რეალობათა გათვალისწინებით, ყველაზე რაციონალური და ეროვნული ინტერესების შესაბამისი ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამ მიზნის განხორციელებაში გარკვეული წვლილის შეტანის სურვილმა განაპირობა სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივი პრობლემების წინ წამოწევა<sup>1</sup> ავტორი მიზნად ისახავს საქართველოში სააქციო საზოგადოების შექმნის, რორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი მდგომარეობისა და აქციონერთა უფლება-მოვალეობების, მართვის ორგანოების სტრუქტურისა და უფლებამოსილებების, აგრეთვე სააქციო საზოგადოების სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის საფუძვლების შედარებით სრულყოფილ მეცნიერულ გამოკვლევას.

წიგნში ქართული საკორპორაციო კანონმდებლობისა და შესაბამისი ლიტერატურის, აგრეთვე უცხოური,<sup>1</sup> ძირითადად კი, გერმანული<sup>2</sup> და რუსული<sup>3</sup> სააქციო კანონმდებლობის შედარებით

---

<sup>1</sup> Акционерное общество и товарищество с ограниченной ответственностью. Сборник зарубежного законодательства. Вступительная статья В. Туманова. М., 1995.

<sup>2</sup> Гражданское уложение от 18 августа 1896 г., Торговое Уложение от 10 мая 1897 г. Акционерный закон от 6 сентября 1965 г. Германское право, ч. I, II, Научный редактор В.В. Зеленский, М., 1996.

<sup>3</sup> Гражданский кодекс РФ. М., 1995. Федеральный закон „Об акционерных обществах“ от 24 ноября 1995 г. М., 1996.

<sup>4</sup> Каминка А.И. Очерки торгового права, СПб, 1912. Шершеневич Г.Ф., Курс торгового права, Казань, 1899 г. Его же. Учебник торгового права. М., 1919. Петражицкий А.И. Акционерная компания. СПб., 1898, Его же. Акция, Биржевая игра и теория экономических кризисов. СПб., 1911, Голубович А.Д., Фиркало Г.Д., Создание акционерных обществ: советская и зарубежная практика. М., 1990. Функ Я.И., Михальченко В.А., Хвалей В.В. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999. Лаптев В.В. Акционерное право. М., 1999. Долгинская В.В. Акционерное право. М., 1997. Кашанина Т.В., Сударькова Е.А., Акционерное право. М., 1997, Метелева Ю.А. Правовое положение акционера в акционерном обществе. М., 1999. Могилевский С.Д. Акционерные общества. Комментарий. Практика.

სამართლებრივი ანალიზისა და მეცნიერული მიღწევების<sup>4</sup> კრიტიკული შესწავლის საფუძველზე მოცემულია აღნიშნული პრობლემატიკის მონოგრაფიული შესწავლის ცდა. ბუნებრივია, ზოგიერთი საკითხი, სირთულისა და პრაქტიკის არაერთგვაროვანი გაგების გამო, მასში სრულყოფილად ვერ აისახა. ამიტომ ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა არსებით შენიშვნას და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

---

Нормативные акты. М., 1999. Комментарии к федеральному закону об акционерных обществах. Ответственный редактор Г.С. Шапкина. М., 1996. Гражданское и торговое право капиталистических государств. Ответственный редактор Е.А. Васильев. М., 1993. Э. Жилинский, Предпринимательское право. М., 2000 и др.

## სააქციო საზოგადოების წარმოშობა და განვითარება

### §1. საბაზრო მეურნეობა და იურიდიული პირის არსი

თანამედროვე სამართლებრივი სისტემები სრულყოფილად ასახავენ სამართლებრივ ურთიერთობათა სტრუქტურის აუცილებელი ინგრედიენტების – სუბიექტების თითქმის სრულყოფილებამდე აყვანილ სტატუსს.

მართალია, ამ მხრივ კვლევა-ძიება და პრობლემათა შესწავლა კვლავაც გრძელდება, მაგრამ უკვე მიღწეულიც საკმარისია ფიზიკურ პირთა გაერთიანებების სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებად გამოდიან არა მარტო ცალკეული ფიზიკური პირები, არამედ მათი გაერთიანებებიც – მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი წარმონაქმნები. მაგრამ ისინი აღიარებულ უნდა იქნენ იურიდიულ პირებად. ასეთი აღიარება, რომელსაც რომის სამართალმაც ვერ მიაღწია, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორი საუკუნის წინ შექმნილი ახალი კერძო სამართლის მიერ<sup>1</sup>. იურიდიული პირის საკანონმდებლო აღიარება დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იურიდიული პირის კონსტრუქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება სამართლის ახალი სუბიექტი, რომლის ქონებაც განკერძოებულია მისი შემქმნელი პირების ქონებისაგან. სწორედ ასეთი სუბიექტი, რომელიც ქონებრივი განკერძოებულობით ხასიათდება, შეიძლება იყოს ქონებრივ ურთიერთობათა დამოუკიდებელი მონაწილე. იურიდიული პირის ცნების პირველი ავტორები, გერმანელი მეცნიერები – გუსტავ ჰუგო და არნოლდ ჰაიზე, პირთა გაერთიანებას მიიჩნევდ-

<sup>1</sup> ლალო კანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 206.

ნენ ერთ კონკრეტულ ინდივიდად, რომელიც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად არის აღიარებული. ამ გაგებით ნებისმიერი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, როგორც იურიდიული პირი, აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც კანონის საფუძველზე მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში (იურიდიული პირის აბსტრაქტულობა განაპირობებს მასში გაერთიანებულ პირთა ინტერესსა და მათი განხორციელების იურიდიული საშუალებების ეფექტურობას.) საბოლოოდ, შესაძლებელია იმ მიზნის მიღწევა, რისთვისაც ხდება ქონებრივი განკერძოებულობა. ასეთ ფიქციურ სუბიექტს ფრანგულ სამართალში „მორალურ პირს“ უწოდებენ, ხოლო ინგლისურ სამართალში გავრცელებულია ტერმინი „კორპორაცია“; რუსული სამართალი „ფიქციურ პირად“ თვლიდა მას. გამოჩენილი რუსი ცივილისტი გ. შერშენევიჩი იურიდიულ პირს „მისტიკურ პირს“ უწოდებდა<sup>2</sup>.

წორგანიზაციული წარმონაქმნი განკერძოებული ქონების საფუძველზე იძენს იურიდიული პირის სტატუსს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ორგანიზაციისათვის განსაზღვრული ქონების მიკუთვნება მნიშვნელოვნად ამცირებს მის მონაწილე პირთა გამგებლობაში დარჩენილი ქონების დაკარგვის რისკს, რადგან ასეთი ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკუთარი შეხედულებით სხვა მიზნებისათვის და მათ შორის, მსგავს ორგანიზაციებში მონაწილეობისათვისაც. გარდა ამისა, იქმნება იმის შესაძლებლობაც, რომ სხვადასხვა პირთა ხელში არსებული ქონება გაერთიანდეს სამეურნეო და სხვა მიზნების განსახორციელებლად ისე, რომ ამ უკანასკნელთ არ მოუწიოთ მთელი ქონებით პასუხისმგებლობა. ქონების ასეთ კონცენტრაციას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საერთო შემოსავლების დანაწილება საერთო ქონების შემქმნელი ცალკეული პირების წილის შესაბამისად. სწორედ ასეთ საფუძველზე წარმოიშობოდა პირველი იურიდიული პირები – სავაჭრო კომპანიების სახით. შემდეგ კი ეს კატეგორია გამოიყ-

<sup>1</sup> С.Д. Могилевский. Акционерные общества. М., 1999, стр. 11.

<sup>2</sup> Г.Ф. Шершеневич. Учебник русского гражданского права. М., 1985, стр. 92.

ენებოდა ყველა იმ ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც ქონებრივ ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ.

ტერმინი „იურიდიული პირი“ გამოხატავს საზოგადოებრივი წარმონაქმნის განსაკუთრებულ ხასიათს. იგი ისეთი სუბიექტია, რომელსაც არ გააჩნია რეალური, ფიზიკური წარმოსახვა. იურიდიული პირის ასეთი კონსტრუქციის არსის ახსნას მთელი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა თეორია. ამ თეორიებში, ძირითადად, ორი საინტერესო პოზიციაა გამოხატული: 1. იურიდიული პირი წარმოადგენს ფიქციას, კანონმდებლობის ნაყოფს, ფაქტობრივად არარსებულ წარმონაქმნს; 2. იურიდიული პირი არის „სოციალური რეალობის“ განსაკუთრებული სახე.

საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში იურიდიულ პირად მიჩნეული იყო ადამიანთა ორგანიზებული კოლექტივი (კოლექტივის თეორია), მაგრამ განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში გავრცელებულმა ერთი პირის კომპანიის ინსტიტუტმა (ერთი პირის საწარმო – იურიდიული პირი), ექვექვეშ დააყენა ბევრი თეორია. რომლებიც სხვადასხვაგვარად ხსნიან იურიდიული პირის არსს<sup>1</sup>. თანამედროვე კომერციული პრაქტიკა საფუძვლიანად ადასტურებს მიზნობრივი ქონების თეორიის სისწორეს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პირი არის იმ ქონების პერსონიფიცირება, რომელიც გამიზნულია ქონებრივ ბრუნვაში მონაწილეობის მისაღებად. იურიდიული პირი სწორედ ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც შექმნილია განსაზღვრული ქონების ბაზაზე სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ აზრით, იგი სავსებით რეალურია, მაგრამ იგი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს მის მონაწილეებთან, მით უმეტეს შრომით კოლექტივებთან, რადგან ამ უკანასკნელთ არა აქვთ სანივთო უფლება იმ ქონებაზე, რომელთა საფუძველზეც ეწვეიან სამეურნეო საქმიანობას. იურიდიული პირის ახალ შინაარსს არსებითი ხასიათის ცვლილება არ შეუტანიდა

<sup>1</sup> Гражданское право, под редакцией Е.А. Суханова. Учебник, т. 2, М., 1993, стр. 76.

მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებში. ყველა სახის იურიდიული პირისათვის დამახასიათებელია: ორგანიზაციული ერთიანობა, რომელიც განსაზღვრული მიზნის მიღწევას ითვალისწინებს; განკერძოებული ქონება; დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა და საკუთარი სახელით გამოსვლა სამოქალაქო ბრუნვაში. ამ ნიშნების ერთობლიობა განმტკიცებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ლეგიტიმაციით. საზოგადოებრივი წარმონაქმნის იურიდიულ პირად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ მოქმედმა კანონმდებლობამ მიიჩნიოს იგი ასეთად<sup>1</sup>.

იურიდიული პირისათვის განკერძოებული ქონების არსებობა და დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა ურთიერთგანპირობებული ნიშნებია, რომლებშიც სრულად აისახება ამ წარმონაქმნის ახალი შინაარსის სპეციფიკურობა<sup>2</sup>. იურიდიული პირის ქონება ყოველთვის გამოყოფილია მისი დამაარსებლების ან მონაწილეების ქონებისაგან. სხვა საქმეა იურიდიულ პირს ეს ქონება საკუთრების უფლებით ექნება თუ შეზღუდული სანივთო უფლებით მთავარია, დამფუძნებლებს შეეძლოთ განსაზღვრული უფლებების შენარჩუნება ამგვარ ქონებაზე. ქონებრივი დამოუკიდებლობის შედეგია ის, რომ იურიდიული პირის ვალებისათვის პასუხს არ აგებენ არც მისი დამფუძნებლები და არც მონაწილეები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი ქონება არასაკმარისია ვალების დასაფარავად, გამონაკლისის სახით, ისიც კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს წევრებს ან დამფუძნებლებს. ეს შესაძლებელია, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. ასევე, თუ ორგანიზაციის გაკოტრება გამოწვეულია მისი შემქმნელის ან შემძენი პირის არამართლზომიერი მოქმედებით, მაშინ შეიძლება მას დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა. სხვა შემთხვევებში პასუხისმგებლობის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ იურიდიული პირის განკერძოებული ქონება.

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მთავარი რედაქტორი ლ. ჭანტურია, თბ., 1999, გვ. 102.

<sup>2</sup> Гражданское право. Учебник. Под редакцией А.П. Сергеева и Ю.К. Толстого, том 1, М., 2000, стр. 125.

იურიდიული პირის ასეთი კონსტრუქცია სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული სუბიექტები სწორედ იურიდიული პირები არიან. მათი ფუნქციონირება და განვითარება განისაზღვრება ეკონომიკაში გაბატონებული სამეურნეო მექანიზმის ტიპით ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — ეკონომიკური საქმიანობის რეგულატორთა მიღებული სისტემით. მაგალითად, ეკონომიკის საგეგმო-ცენტრალიზებული მართვის პირობებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეტოდებით შეიქმნა მსხვილი სამრეწველო გაერთიანებები, რომელთა შემადგენლობაში შემაჯალმა ცალკეულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაკარგეს იურიდიული პირის უფლებები. რაც შეეხება საბაზრო მეურნეობას, მისი დამკვიდრება დღის წესრიგში აყენებს არა მარტო დამოუკიდებელი იურიდიული პირების წრის გაფართოებას, არამედ მათი ახალი სახესხვაობის შექმნის აუცილებლობას.

საბაზრო მეურნეობის პირობებში იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა — ამა თუ იმ კატეგორიაში იურიდიული პირის ჩართვა მისი სამართლებრივი მდგომარეობით უნდა იქნეს განპირობებული იურიდიული პირების ყველაზე მნიშვნელოვანი დაყოფა დაკავშირებულია მათი შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების თავისებურებებთან. ამ მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძველად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა, მაშინ, როცა საჯარო იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლადო კანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 243.

იურიდიული პირების კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად ჩაითვლება მათი საქმიანობის ხასიათი, რომლის მიხედვითაც ისინი შეიძლება დაიყონ კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებად.

კომერციული იურიდიული პირები, ძირითადად, სამეწარმეო საქმიანობით შემოიფარგლებიან და საკუთარი სახსრებით არსებობენ. არაკომერციული იურიდიული პირების საწესდებო მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება და, ძირითადად, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სოციალურ-კულტურული და სხვა არამატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფუნქციის შესრულებას ემსახურებიან. ამიტომ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვა ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობათა ხარჯზე ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ იკიდებს ფეხს საბიუჯეტო დაწესებულებათა „კომერციალიზაციის“ პროცესი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება კულტურულ-სანახაობით ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობაში დამატებითი შემოსავლების მიღების აუცილებლობა დროის მოთხოვნითაა განპირობებული. მათი საქმიანობის ხასიათის ანალიზი დღის წესრიგში აყენებს იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის დაზუსტების აუცილებლობას.

კომერციული იურიდიული პირების, როგორც საბაზრო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობის საერთო საფუძვლების დახასიათება შესაძლებელია მეწარმეთა შესახებ 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან. ამ კანონის მიხედვით სამეწარმეო ანუ კომერციული საქმიანობის მონაწილეები უნდა არსებობდნენ განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ასეთ ფორმებს მიეკუთვნება: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგე-



ბლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. ამათგან საბაზრო მეურნეობისათვის ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული სუბიექტია სააქციო საზოგადოება. მისი ფართოდ დამკვიდრების გარანტია კანონის იმ მოთხოვნაშიცაა, რომლის მიხედვითაც საწარმო, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, გარდა კოოპერატივისა, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, სამართლებრივ მდგომარეობაზე ყურადღების შედარებით დეტალური გამახვილება.

## **§2. სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, შექმნის აუცილებლობა და განვითარების საფუძვლები**

სააქციო საზოგადოებათა შექმნა და შემდგომი განვითარება განპირობებულია ისტორიული აუცილებლობით. საუკუნეზე მეტია სააქციო საზოგადოება კომერციული იურიდიული პირის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებულ სახეს წარმოადგენს. კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე, როცა მრეწველობის განვითარება გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა, საჭირო გახდა მრეწველობაში ფუნქციონირებადი საწარმოების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოება. ასეთი საწარმოების ძალისხმევა მიმართულ იქნა ფულადი სახსრების რაც შეიძლება მეტი ოდენობით კონცენტრაციისაკენ. ეს ძირითადად შესაძლებელი იყო საკუთარი ფულადი სახსრების ბრუნვაში მოქცევითა და მისგან მოგების მიღებით ანდა გრძელვადიანი კრედიტის აღებითა და საფინანსო ბირჟებში მონაწილეობის მიღებით. ბირჟაზე ფულადი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს სესხის ობლიგაციისა და საწარმოს წევრობის უფლების ანუ აქციების გაყიდვით. აქციები საწარმოს კაპიტალის შექმნის ერთ-ერთი რაციონალური ფორმაა და მას ის უპირატესობაც აქვს, რომ აქციონერს არ შეუძლია მოითხოვოს საწარმოსა-

გან თავისი კაპიტალის პროცენტები, თუკი საწარმოს წლის ბოლოს მოგება არ ექნება. ნაკლებად პოპულარულია საბანკო კრედიტი, რადგან ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, საწარმო მიიღებს მოგებას თუ არა, შეიძლება მას პროცენტის გადახდის ვალდებულება მაინც წარმოემუას. საბანკო კრედიტის შინაარსი სამრეწველო საწარმოებს უბიძგებდა ყურადღება გაემახვილებინათ კაპიტალის მოზიდვის ისეთ საშუალებებზე, რომლებიც მართლ საწარმოებისათვის კი არა, არამედ მათი პარტნიორებისათვისაც მისაღები და გასათვალისწინებელი იქნებოდა. ამასთან, საქმიანობის ახალი და გრანდიოზული მასშტაბები ვერაფრით ვერ დაკმაყოფილდებოდა ფინანსების მობილიზაციის იმ ფორმებით, რაც იმ პერიოდისათვის არსებობდა. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება. სწორედ ასეთ გზად მიჩნეულ იქნა ბრუნვაში ფასიანი ქაღალდების გაშვება, მათი ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობის დაკანონება და საწარმოო პროცესებში ფულადი სახსრების მეტი ოდენობით დაბანდების შესაძლებლობის შექმნა. ფასიან ქაღალდში უნდა ასახულიყო საწარმოს წვერობის უფლება. ყოველი გაყიდული ფასიანი ქაღალდის ღირებულება წარმოების პროცესში უნდა ჩადებულყო, ხოლო მისი შემძენი, გადახდილი ფულის ნაცვლად, განსაზღვრულ უფლებებს შეიძენდა, თანაც ისეთი პირობით, რომ მას ასეთი ქაღალდის გაყიდვის შესაძლებლობა ჰქონოდა. ამ გზით საწარმოებს დიდი ოდენობით გრძელვადიანი კრედიტი უნდა მიეღოთ. წვერობის უფლება სერიოზული საქონელი უნდა გამხდარიყო, მისი დიდი რაოდენობით გაყიდვა საწარმოსათვის კაპიტალის შექმნის საკმაოდ მყარი ბაზა უნდა გამხდარიყო. საჭირო გახდა აღნიშნული მდგომარეობის საკანონმდებლო წესით განმტკიცება, ე.ი. უნდა განსაზღვრულიყო ასეთი საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდის მყიდველს გარანტია უნდა ჰქონოდა, რომ საწარმოს ვალებისათვის პასუხისმგებლობა მას არ დაეკისრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფასიანი ქაღალდის შეძენის სურვილს არ გამოთქვამდა. ამიტომ სამართლებრივად უნდა დადგენილიყო, რომ ფასი-

ანი ქალაქის მფლობელი პასუხს არ აგებდა საწარმოს ვალენისათვის. სწორედ ასეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ გასული ორი საუკუნე მთელ მსოფლიოში ასეთი საზოგადოებების შექმნის ინტენსიური პროცესით ხასიათდება.

პირველი სააქციო საზოგადოებები შემთხვევით არ აღმოცენებულან<sup>1</sup>. ბუნებრივია, მათ გარკვეული წინაპირობები გააჩნდათ და გარკვეული ანალოგებიც არსებობდა, მაგრამ სააქციო საზოგადოება დროის მოთხოვნას უფრო შეესაბამებოდა და წინამორბედ საზოგადოებებთან შედარებით უფრო პროგრესულობითაც ხასიათდებოდა.

ადრე ცნობილ სხვადასხვა სახის საპაიო და სავაჭრო საზოგადოებებს შორის გამოირჩეოდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. პირველი საზოგადოების ყველა წევრი სოლიდარულად აგებდა პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე. პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა საზოგადოების პარტნიორთა მთელ ქონებაზე. მეორე საზოგადოება შედარებით პოპულარული იყო იმიტომ, რომ მისი პარტნიორების ერთი ჯგუფი პასუხს აგებდა მხოლოდ შეტანილი თანხების ფარგლებში, რაც უფრო მეტი იქნებოდა ასეთ პარტნიორთა ანუ კომანდიტთა რიცხვი, მით უფრო მეტი ოდენობის კაპიტალის მოზიდვა იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურად ხდებოდა კომანდიტთა რიცხვის ზრდა, იგი მაინც არ იყო კაპიტალის შექმნის სრულყოფილი ფორმა. საქმე ისაა, რომ კომანდიტური საზოგადოება არ ითვალისწინებდა საზოგადოების წევრობის უფლების ფასიან ქალაქში გადატანისა და ფასიანი ქალაქების ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობას. ამიტომ საპაიო და სავაჭრო ამხანაგობებმა თავიანთი თავი ამოწურეს და საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის მათ ხელის შეწყობა უკვე აღარ შეეძლოთ.

---

<sup>1</sup> დაწერილებით სააქციო საზოგადოებათა წარმოშობის წინაპირობებზე იხილეთ: Я.И. Фук, В.А. Михальченко, В.В. Хвалей. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999; В.В. Лартев. Акционерное право. м., 1999.

შუა საუკუნეებში არსებობდა სხვადასხვა სახის კომპანიები, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ კაპიტალის შექმნაზე. მათ თავიანთი აქციებიც ჰქონდათ, რომლებიც იყიდებოდა ევროპის ცნობილ ბირჟებზე. ასეთი კომპანიები სააქციო საზოგადოებათა წინამორბედებად უნდა მივიჩნიოთ. სააქციო კომპანიები იქმნებოდა მხოლოდ მთავრობის ან უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ინდივიდუალური აქტის საფუძველზე. ამიტომ ისინი უფრო საჯარო ხასიათის სუბიექტებს წარმოადგენდნენ, ვიდრე კერძო სამართლისას. მათი არსებობა სახელმწიფოს სურვილზე იყო დამოკიდებული. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებდა კერძო სააქციო საზოგადოებების შექმნას, რომლებიც ხშირად მოსახლეობის ფართო ფენების მოტყუებასა და გაძარცვას ისახავდა მიზნად. ამას შედეგად მოჰყვა სააქციო საზოგადოებათა შექმნის აკრძალვა ან მკაცრ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარება<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის შედარებით სრულყოფილად განმსაზღვრელი პირველი სამართლებრივი აქტი იყო საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსი. ნაპოლეონის კოდექსთან (1804 წ.) ერთად იგი ახალი ეპოქის დასაწყისს წარმოადგენდა ცივილურ ურთიერთობათა რეგულირებაში. სავაჭრო კოდექსში კაპიტალური საზოგადოების სხვა სახეებიც იყო განხილული. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სააქციო საზოგადოებას.

სააქციო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ იგი იქმნებოდა მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე; სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა საზოგადოებათა შექმნის მართლზომიერებაზე; აქციონერების მიმართ გამოიყენებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობა; საზოგადოების წევრობის უფლება შეიძლებოდა ფასიან ქაღალდებში გამოხატულიყო, რომელთა ბრუნვა დასაშვებად იყო მიჩნეული; საზოგადოების მართვას ახორციელებდნენ აღმინისტრატორები, რომლებიც მინდობილობის საფუძველზე, საზოგადოების სახელით გამოდიოდნენ ურთიერთობებში და სხვა.

<sup>1</sup> В.В. Лагтев. Акционерное право, М., 1999, стр. 5.

სააქციო საზოგადოების საქმიანობის უმეტესი საკითხები მისი წესდებით რეგულირდებოდა.

სააქციო საზოგადოებათა ფრანგული მოდელი სწრაფად გავრცელდა მთელს ევროპაში. მართალია, ცალკეულ ქვეყნებში მიღებული სამართლებრივი აქტები ასეთ საზოგადოებათა მოწესრიგების სრულყოფის მიხედვით ბევრად არ განსხვავდებოდნენ საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის შესაბამისი ნორმებისაგან და არც აღემატებოდნენ მას, მაგრამ ყოველგვარი ხარვეზის შევსება შედარებით სრულყოფილი წესდებებით ხერხდებოდა. სააქციო საზოგადოებათა შექმნისა და ფუნქციონირების მდიდარმა ევროპულმა პრაქტიკამ განაპირობა ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესის ინტენსიურად წარმართვა. სიახლე, უპირველეს ყოვლისა, შეეხო სააქციო საზოგადოებათა შექმნისათვის სახელმწიფო კონცესიის ანუ ნებართვის გაცემის გაუქმებას; საზოგადოების მართვის ახალი ორგანოების შექმნას; კაპიტალის ნომინალური ოდენობის განსაზღვრასა და ა.შ.

სააქციო საზოგადოებათა სახელმწიფოს ნებართვით შექმნის წესი თანდათან დრომოჭმული ხდებოდა. იგი სრულებითაც არ პასუხობდა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარების პირობებში დღის წესრიგში მდგარი კაპიტალის კონცენტრაციის გადაუდებელ ამოცანებს. თანაც, სახელმწიფოს მხრივ სააქციო საზოგადოებათა საქმიანობის კონტროლი არაეფექტური ხდებოდა და თვით აქციონერთა ინიციატივის დათრგუნვას უწყობდა ხელს. საჭირო ხდებოდა სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და საქმიანობის პროცესისაგან სახელმწიფოს გამოთიშვა და კერძო სამართლებრივი ხასიათის საკანონმდებლო საფუძვლების შემოღება. სახელმწიფო ნებართვათა სისტემის საკანონმდებლო წესით გაუქმება პირველად დაიწყო ინგლისში. შემდეგ ეს პროცესი გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. ამ პერიოდიდან მოყოლებული სავაჭრო ამხანაგობებს, რომელთაც ოცდახუთზე მეტი პარტნიორი ჰყავდათ, თავისი კაპიტალი აქციებად ჰქონდათ დაყოფილი და მათი გასხვისებაც შეე-

ძლოთ სხვა პარტნიორთა თანხმობის გარეშე, უფლება ჰქონდათ სახელმწიფოს ნებართვის გარეშე მოეპოვებინათ დამოუკიდებელი კორპორაციის მსგავსი სტატუსი. ამასთან, მათი რეგისტრაციისათვის საჭირო იყო: სახელწოდების განსაზღვრა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მითითება, დამფუძნებლების ვინაობა თითოეული მათგანის წილის მითითებით და სხვ. რეგისტრაციის შემდეგ ასეთ საზოგადოებას შეეძლო ფუნქციონირების დაწყება. აღნიშნული პირობები დღესაც საფუძვლად უდევს სააქციო საზოგადოების შექმნასა და მის საქმიანობას. თანამედროვე პირობები, მართალია, ზოგიერთი ახალი მომენტის გათვალისწინების აუცილებლობას ქმნის, მაგრამ ძირითადი პრინციპები და შინაარსი თითქმის უცვლელია. მას საფუძველი ერთი საუკუნის წინ მიღებული საკანონმდებლო აქტებით ჩაეყარა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გერმანიის 1861 წლის სავაჭრო კოდექსი, შვეიცარიის 1881 წლის კანონი ვალდებულებათა შესახებ, იტალიის 1882 წლის სავაჭრო კოდექსი და სხვ. ეს აქტები საფუძვლად დაედო რამდენიმე სიახლის დამკვიდრებას. მათი არსი მოკლედ შემდგომში მდგომარეობდა: სააქციო საზოგადოების კაპიტალის ოდენობა საზოგადოების წესდებაში უნდა ყოფილიყო განსაზღვრული; უნდა დადგენილიყო თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება; აქციის მფლობელს უფლება ეძლეოდა მოეთხოვა საზოგადოების მოგებიდან თავისი წილი და თანაც მონაწილეობა მიეღო მის მართვაში; აქციონერს უნდა მისცემოდა საერთო კრებაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტისას ხმის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა და სხვა. სააქციო საზოგადოების სტატუსი მნიშვნელოვანწილად მისი წესდებით განისაზღვრებოდა. იგი აუცილებლად წერილობითი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მისი სანოტარო წესით დამტკიცება იყო საჭირო.

სააქციო საზოგადოების დასაფუძნებლად საჭირო გახდა პარტნიორთა განსაზღვრული ოდენობის არსებობა. თუ ინგლისურ სამართალში იგი 25-ზე მეტი უნდა ყოფილიყო, ევროპის სხვა

ქვეყნებში შედარებით მცირე და განსხვავებული ოდენობები გაითვალისწინებოდა. მაგალითად, საფრანგეთში – 7, გერმანიაში – 5 და სხვ. ზოგიერთ ქვეყანაში სააქციო საზოგადოება განსაზღვრული ვადით იქმნებოდა. სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა აქციონერთა საერთო კრებამ. მისი მოწვევა სავალდებულო იყო წელიწადში ერთხელ მაინც. განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებისაგან შექმნილ საკონტროლო ორგანოს. სააქციო საზოგადოება, ყოველგვარი პირობების გარეშე, აღიარებულ იქნა იურიდიულ პირად. გარდა ამისა, როგორც საკუთარი ქონების პატრონი, უფლებამოსილი ხდებოდა მონაწილეობა მიეღო ნებისმიერი კერძო ხასიათის ურთიერთობებში. იგი აღიარებულ იქნა კომერსანტად. ამასთან, სააქციო საზოგადოების საქმიანობა დაექვემდებარა საჯაროობის პრინციპებს.

სააქციო საზოგადოების ამოსავალ პრინციპად ჩამოყალიბდა დებულება, რომ აქციონერები საზოგადოების ვალდებულებებისათვის პირადად არ აგებდნენ პასუხს. კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ სააქციო საზოგადოება თავისი ქონებით. ამან კი დღის წესრიგში დააყენა სააქციო საზოგადოების ქონების განსაზღვრული ნაწილის არსებობა, რათა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საკმარის მატერიალური ბაზა ყველა შემთხვევისათვის შენარჩუნებულიყო. ამიტომ აუცილებელი გახდა აქციონერთა მიერ საწესდებო კაპიტალის რეალურად შეტანა. საზოგადოების შექმნისას, თუ სრულად ვერ ხერხდებოდა მისი შეტანა, ნაწილის ფორმირება მაინც სავალდებულოდ ჩაითვა. საწესდებო კაპიტალის სტაბილურობის განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის, რომ აქციონერს უფლება არ ჰქონდა უკან მოეთხოვა უკვე შეტანილი კაპიტალი. იმავე მიზანს ისახავდა კიდევ ერთი ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება აქციონერებს უბრუნდებოდათ მხოლოდ განსაზღვრული დროის გას-

ვლის შემდეგ. მისი დანიშნულება ის იყო, რომ კრედიტორებს თავიანთ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად მეტი შესაძლებლობა მისცემოდათ. სააქციო საზოგადოებათა შექმნისას გათვალისწინებული სარეზერვო ფონდების არსებობა დამატებითი ხასიათის გარანტიას წარმოადგენდა მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. სააქციო საზოგადოების კაპიტალის სამართლებრივი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ათუწლი წლების მანძილზე ყალიბდებოდა, საბოლოოდ განსაზღვრავდნენ თვით ამ საზოგადოებათა დანიშნულებასა და შინაარსს. მთელი საუკუნის მანძილზე აპრობირებული ამოსავალი დებულებები დაედო საფუძვლად თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში სააქციო საზოგადოებათა შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების მიღებასა და მოქმედებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია: საფრანგეთის 1969 წლის კანონი „სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ“, ინგლისის 1986 წლის კანონი „კომპანიების შესახებ“, ამერიკის 1933 წლის კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ (ასევე ცალკეული შტატების კანონები სამეწარმეო კორპორაციების შესახებ), გერმანიის 1965 წლის „სააქციონერო კანონი“, რუსეთის 1995 წლის კანონი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ და სხვა. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობამ.

### §3. სააქციო საზოგადოების ცნება და სტრუქტურა

#### ა) სააქციო საზოგადოების არსი

საქართველოში საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. მეწარმეობა ცალკეული ფიზიკური პირებისა და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების



ან სხვა სამუშაოების წარმოებას, რეალიზაციასა და ამის საფუძველზე მოგების მიღებას. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის წრე, რომელიც დაკავშირებულია მეწარმეობასთან, ადრე რეგულირდებოდა საქართველოს 1991 წლის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. ამ კანონში მოცემული იყო სააქციო საზოგადოების ცნება და მისი ფუნქციონირების ძირითადი მომენტები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის განმზორციელებელ სუბიექტთა სახეებსა და მათ სამართლებრივ მდგომარეობას, საჭირო გახდა მათი ახლებური სამართლებრივი მოწესრიგება. ამჟამად სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებული ყველა ურთიერთობა დეტალურად რეგულირდება ისეთი კაპიტალური ხასიათის სამართლებრივი აქტებით, როგორცაა 1994 წლის კანონი მეწარმეთა შესახებ და 1997 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი. მეწარმეთა შესახებ კანონში მიღების შემდეგ შეტანილი ცვლილებები ნათლად ადასტურებენ სამეწარმეო საქმიანობის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებაზე ზრუნვას. ამგვარი ცვლილებები კანონის ცხოვრებაში გამოყენების პროცესში წარმოშობილ მოთხოვნებს შეესაბამებოდა და წინასწარ განიხილებოდა ქართველი და უცხოელი იურისტების მიერ<sup>1</sup>. ასეთი რამ არც მომავალშია გამორიცხული.

მეწარმეთა შესახებ კანონით განისაზღვრა სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები. 51-ე მუხლის მიხედვით, სააქციო საზოგადოება ისეთი სამეწარმეო სუბიექტია, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. ამჟამად მუხლში განსაზღვრულია სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე აუცილებელი ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა სახის სამეწარმეო და, უპირვე-

<sup>1</sup> ლადო ჭანტურია, როლფ კნიპერი, იოჰანეს ზემლერი, წინათქმა გერმანულ-ქართული სიმპოზიუმის მასალების კრებულისათვის „საეკონომიკური სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 7.

ლეს ყოვლისა, კაპიტალური საზოგადოებისაგან. ამ თავისებურებათაგან უმნიშვნელოვანესია ის, რომ სააქციო საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს, რაც მას ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. სააქციო საზოგადოების არსებობა არ არის დამოკიდებული მის წევრთა შემადგენლობის ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე, იგი იქმნება უკადოდ და არსებობს მანამდე, სანამ არ მოხდება მისი ლიკვიდაცია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სააქციო საზოგადოების შექმნაში ან ფუნქციონირებაში შეიძლება სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობდეს, მაგრამ მისი არსებობა საბოლოოდ სახელმწიფოს ნებით არ არის განპირობებული<sup>1</sup>. სააქციო საზოგადოება კრედიტორთა წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. აქციის მფლობელ პარტნიორებს არაეითარი პასუხისმგებლობა საზოგადოების საერთო ვალებისათვის არ ეკისრებათ. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ზუსტადაა განსაზღვრული და იგი არ უნდა იყოს თხუთმეტ ათას ლარზე ნაკლები. ეს კაპიტალი უნდა დაიყოს ისეთ ფასიან ქალაქებად ანუ აქციებად, რომლებიც მათ მფლობელს საზოგადოების მართვაში მონაწილეობისა და დივიდენდის ანუ მოგების თავისი წილის მიღების უფლებას აძლევს.

სააქციო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს თავისი წიგნი, რომელშიც უნდა მოხდეს საზოგადოების ყველა დოკუმენტის აღრიცხვა. მასში უნდა აისახოს საზოგადოების წესდება, მისი რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთები. აქციების რეგისტრაცია წარმოებს სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომლის მიხედვითაც აქციონერს უნდა მიეცეს სპეციალური სერთიფიკატი ან ამონაწერი აქციათა რეესტრიდან. რეესტრს აწარმოებს თვითონ საზოგადოება ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

სამეწარმეო კანონმდებლობით ასზე მეტ აქციონერთა საზოგადოებაში დამოუკიდებელი რეგისტრატორის ინსტიტუტის შემოღე-

<sup>1</sup> Тихомиров Ю.А., Участие государства в создании и деятельности акционерных обществ. ж. „Законодательство и экономика“. 1996, №3-4, стр. 17.

ბამ არა მარტო აქციათ ოფციონი და გასხვისება უნდა სრულყოს, არამედ განსაზღვრული წინაპირობები უნდა შექმნას ფასიანი ქაღალდების ცივილიზებული ბაზრის ანუ საფონდო ბირჟების ჩამოსაყალიბებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოების სტატუსისა და საქმიანობის შესახებ ნათელ სურათს იძლევა მისი სტრუქტურის ანალიზი და მართვის ცალკეულ ორგანოებს შორის კომპეტენციის განაწილების წესი. სააქციო საზოგადოება, სხვა იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, რთული სტრუქტურული ფორმით არის ორგანიზებული. სირთულე მისი სტრუქტურის მრავალსაფეხურიანობაში გამოიხატება; კერძოდ, ეს არის: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. თუ მათ ყოველწლიურად არჩევად საკონტროლო-სარევიზიო აპარატსაც დაეუმატებთ, საკმაოდ შთამბეჭდავ სქემას მივიღებთ.]

#### ბ) აქციონერთა საერთო კრება

[სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება] მისი მოწვევის წესი და კომპეტენცია განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლში. [საერთო კრების საკითხი სააქციო საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ჯერ ერთი, ზოგიერთი საზოგადოება თავისი მრავალრიცხოვნობის გამო ოპერატიულად ვერ უზრუნველყოფს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ყველა აქციონერისათვის ცნობების მიწოდებას და კრების მოწვევით ხდება შესაძლებელი სააქციო საზოგადოების წევრთა სრული ინფორმირება; მეორეც, აქციონერთა პერიოდულმა შეკრებამ უნდა განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.] აქედან გამომდინარე, კრების მოწვევით ნებისმიერ აქციონერს, მიუხედა-

<sup>1</sup> ჯონი ზეკურიანი, მისასაღებელი სიტყვა ქართულ-გერმანული სიმპოზიუმის (7-8 მარტი 2000 წელი) მონაწილეებისადმი, „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 13.

ვად იმისა, იგი საკითხის გადაწყვეტისას უმცირესობის მხარეს აღმოჩნდება თუ უმრავლესობის, შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში. ამ დიდი მნიშვნელობის გამოა, რომ კანონი ძალზე დეტალურად არეგულირებს საერთო კრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს<sup>1</sup>.

კანონით ზუსტადაა განსაზღვრული კრების მოწვევის ვადა და დღის წესრიგის ერთი აუცილებელი საკითხი. საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს ყოველწლიურად, სააქციო საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში; აუცილებელი საკითხი კი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, გასული წლის საქმიანობის შედეგებია. კრება შესაძლებელია სხვა დროს ან სხვა დღის წესრიგით ჩატარდეს. ყველა ასეთი კრება ჩათვლება რიგგარეშედ. საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს პრესაში ან სააქციო საზოგადოების წევრებს დაეგზავნოთ მოსაწვევი ბარათები. დღის წესრიგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი აქციონერებისათვის, ამასთან, კრების მონაწილეები წინასწარვე უნდა იცნობდნენ გადაწყვეტილებათა პროექტებსა და რეკომენდაციებს, რომელთაც მართვის ორგანოები სთავაზობენ კრებას. საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. კრება ტარდება სააქციო საზოგადოების უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილზე – საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობის ან კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე<sup>2</sup>. კრების მუშაობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს ნოტარიუსი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სხვა სამეწარმეო საზოგადოების მუშაობაში ნოტარიუსის მონაწი-

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, თუღო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. მეორე გამოცემა, თბ., 1999. გვ. 331

<sup>2</sup> დაწვრილებით იხილეთ: ეკა შენგელა, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა. თბ., 1999. გვ. 21.

ილევობა სავალდებულო არ არის. კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ანდა ერთ-ერთი დირექტორი. კანონით განსაზღვრულია საერთო კრების კომპეტენცია. მისი დეტალიზაცია იმითაა განპირობებული, რომ საერთო კრებას, როგორც მართვის უმაღლეს ორგანოს, შეიძლება ტრადიციული უფლებები არ გააჩნდეს და იგი შეზღუდული იყოს ზოგიერთ ისეთ უფლებაში, რომელიც, ჩვეულებრივ, მართვის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციაა. მაგალითად, სააქციო საზოგადოების საერთო კრება არ არის უფლებამოსილი აირჩიოს საზოგადოების დირექტორები, მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში და სხვ. ამასთან, საერთო კრებას ისეთი უფლებებიც გააჩნია, რომელთა განხორციელება განპირობებს საზოგადოების საქმიანობისა და განვითარების ძირითად მიმართულებებს. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მეწარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლის მეექვსე პუნქტში ზუსტადაა განსაზღვრული საერთო კრების უფლებამოსილებანი. მათ მიეკუთვნება: ა) შეცვალოს საზოგადოების წესდება, კერძოდ, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი; ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ; გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს; დ) მიიღოს ან იუაროს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან; ვ) დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში; ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შორის ანაზღაურების საკითხი; თ) აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი; ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და

დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ. ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით; კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების ან გაცვლის გარიგებების შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების ქონებრივ საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებებს ღებულობენ სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები.

საერთო კრების გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კრებას ესწრებოდეს ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელთა 50%; ანუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევარის მფლობელი მაინც. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ იგი მოიწვევა ახალ ვადაში იმავე დღის წესრიგით; გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნება საწესდებო კაპიტალის მფლობელთა არანაკლებ 25%-ის მიერ. თუ არ იქნა მიღწეული გადაწყვეტილებაუნარიანობა, მესამეჯერ კრების მოწვევისას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ რამდენი გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელი დაესწრება. გადაწყვეტილების მისაღებად, საკითხის მნიშვნელობის მიხედვით, საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის ან 2/3-ზე მეტის, ანდა 3/4-ზე მეტი აქციების მფლობელთა ხმა (შესაბამისად – აუდიტორის არჩევა, საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა და აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საკითხის გადაწყვეტა). 54-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, განსაკუთრებულ შემთხვევაში (სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას) შესაძლებელია აქციონერები შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე. ამ მეთოდით არა მარტო

აქციონერთა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის ინტერესების დაცვაა შესაძლებელი, რომ არაფერი ითქვას იმ ნორმებზე, რომლებიც სპეციალურად ითვალისწინებენ უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვას, რითაც ქართული სამეწარმეო კანონმდებლობა გაცილებით უფრო პროგრესულ სახეს იღებს, ვიდრე ზოგიერთი ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა<sup>1</sup>.

### გ) სამეთვალყურეო საბჭო

სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეთვალყურეო საბჭოს. მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლის საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. წევრთა საერთო რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. წევრთა ორი მესამედი აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო ერთი მესამედი – მუშა-მოსამსახურეთაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან ოთხი წლით და იმ დროით, რომელიც საჭიროა ამ ვადის გასვლიდან საერთო კრების მოწვევამდე. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოს წევრი არ შეიძლება ვადაზე ადრე იქნეს გაათავისუფლებული თავისი მოვალეობისაგან. საერთო კრებას ყოველთვის შეუძლია გაათავისუფლოს საბჭოს წევრი, თუ ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს. ასეთ საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფობა, წევრობის არა-ჯეროვნად შესრულება და სხვ. შესაძლებელია ასევე სამეთვალყურეო საბჭოდან წევრის ნებაყოფლობით გასვლაც. ახალი წევრი არჩეულ უნდა იქნეს ძველის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუ წესი დაირღვევა, მაშინ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ახალი წევრი. გერმანიაში შესაძლებელია სასამართლომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად პირი იმ შემთხვევაშიც დანიშნოს, როცა საბჭოს შემადგენლობა საკმარისი არ არის გადაწყვეტილების

---

<sup>1</sup> დაწერილებით იხილეთ: როლფ კნაიერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2000, გვ. 95.

მისაღებად<sup>1</sup>. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების ღირეპტორი. კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა არ შეიძლება შეიცვალოს საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ან წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ ეს ვერ მოხერხდა, ასეთი სხდომა შეიძლება გადაწყვეტილებაუნარიანი იყოს 25%-ის დასწრების შემთხვევაში. მესამეჯერ თუ გახდა აუცილებელი საბჭოს სხდომის მოწვევა, მაშინ დამსწრე წევრთა ოდენობას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობენ თავმჯდომარე ან მოადგილე, რომლებიც ღია კენჭისყრით ირჩევიან საბჭოს შემადგენლობიდან. თუ საბჭომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება ვერ მიიღო, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თანაბარი რაოდენობის ხმების მიღებისას უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ადგენს მდივანი ან თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: პირველი, რომელსაც ახორციელებს თვითონ საბჭო და მეორე, რომელსაც ღირეპტორები ახორციელებენ, მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში განსაკუთრებით გამოსარჩევია ღირეპტორების დანიშვნა და მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება. ღირეპტორთა დანიშვნის საკითხი საბჭოს სხდომაზე წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. დანიშვნის შემდეგ ღირეპტორებთან დგება სასამსახურო ხელშეკრულება. მეორე მხარედ ხელშეკრულებაში გამოდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს შეუძლია არა მარტო დანიშვნა, არამედ ღირეპტორთა გამოწვევა და მათთან დადებული ხელშეკრულების გაუქმება. საზოგადოების ღირეპტორად შეიძლება დაინიშნოს ნებ-

---

<sup>1</sup> Германское право часть II (Германское торговое уложение и другие законы). Под редакцией А.Г. Федотова, М., 1996, стр. 206.



ისმიერი სრულწლოვანი პირი, იმ თვისებებისა და გამოცდილებების გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია მოცემული საზოგადოების საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის. ღირექტორი სააქციო საზოგადოების საქმიანობის განმხორციელებელი მთავარი ფიგურაა. მისი ფუნქციის შეთავსება არ შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთ წევრს და მათ შორის თავმჯდომარესაც, მხოლოდ ღირექტორია უფლებამოსილი საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები, სამსახურში მიიღოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები და სხვა. სამაგიეროდ, სამეთვალყურეო საბჭო, თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ახორციელებს ფართო საკონტროლო უფლებამოსილებებს. მას შეუძლია ღირექტორებისაგან მოითხოვოს საზოგადოების მუშაობის ანგარიში, შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო საბუთები, სალარო, ფასეულობები და სხვ. შემოწმება შეიძლება ჩატარდეს როგორც უშუალოდ საბჭოს წევრების, ისე მოწვეული სპეციალისტების მიერ. არაა აუცილებელი სამეთვალყურეო საბჭომ განხორციელოს კონტროლის ეს ფუნქცია აუდიტორების პარალელურად<sup>1</sup>. შემოწმების შედეგები განსახილველად წარედგინება საერთო კრებას. ისეთ შემთხვევებში, როცა აღმოჩენილ დარღვევებში ბრალი ღირექტორებს მიუძღვით, მათ წინააღმდეგ დავის არსებობისას სასამართლოში სააქციო საზოგადოების ინტერესების გამომხატველად გამოდის სამეთვალყურეო საბჭო. ამისათვის მას საერთო კრების ნებართვა არ სჭირდება. უფრო მეტიც, იგი შეიძლება სასამართლოში გამოვიდეს თვით საერთო კრების მიერ მიღებული სადავო სამართლებრივი საკითხების განხილვის ინიციატორადაც. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ღირექტორთა საქმიანობას ისეთ სფეროებში, რომელთა განხორციელებლად საჭიროა მისი თანხმობა. ასეთ სფეროებს მიეკუთვნება: 1) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება; 2) უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების

<sup>1</sup> იოანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების იერარქიაში, „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 54.

შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა; გ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია; დ) სესხებისა და კრედიტების აღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ნორმაზე ზევით, აგრეთვე მათი უზრუნველყოფა; ე) სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გამოწვევა და სხვ. აღნიშნულ შემთხვევებში საჭიროა თანხმობის საკითხი გადაწყვეტილ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით. თანხმობა არ შეიძლება გაიცეს საბჭოს რომელიმე ერთი წევრის ან თუნდაც თავმჯდომარის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა სერიოზულ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. თუ წევრის არამართლზომიერმა მოქმედებამ ქონებრივი ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მაშინ პასუხისმგებლობა სოლიდარულად დაეკისრება მთელ საბჭოს.

### დ) ღირექტორები

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ ღირექტორებს. მეწარმეთა შესახებ კანონის 19-ე მუხლში აღნიშნულია ღირექტორთა საქმიანობისა და კომპეტენციის შესახებ. თავიდანვე მითითებულია, რომ ღირექტორთა უფლებამოსილება განისაზღვრება შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. თუ შინაგანაწესი არ არის დამტკიცებული, რაც არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილება. საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ღირექტორი. საქართველოში სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობას რამდენიმე ღირექტორი ჰყავს. ერთღირექტორიანი საზოგადოება იშვიათობაა. შინაგანაწესით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ღირექტორებს შორის ფუნქციის განაწილება. მაგალითად, თუ ერთი ღირექტორი საზოგადოებას საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს, მეორე — ქვეყნის შიგნით დადებულ გარიგებებს ხელმძღვანელობს. იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციები გამიჯნული არ არის, მაშინ საზოგადოების სახელით დადებ-

ბულ ყველა გარიგებას ხელს უნდა აწერდნენ დირექტორები. სააქციო საზოგადოებათა საქმიანობის ანალიზი იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა, რომ დირექტორებს შორის ფუნქციათა განაწილება უფრო მიზანშეწონილია, რაც ასეთ შემთხვევებში საქმიანობის მაღალი ეფექტურობისა და დირექტორთა კომპეტენტურობის სერიოზული საფუძველია. ერთი პიროვნება არ შეიძლება ერთნაირად კომპეტენტური იყოს საზოგადოების საფინანსო საქმიანობაში, საწარმოო პროცესებში, კომერციულ სფეროში ან კადრების საკითხებში. თითოეული დირექტორი ერთპიროვნულად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების წარმომადგენლად იმ სფეროს მიხედვით, რასაც იგი ხელმძღვანელობს. დირექტორებს შესაძლებელია სხვა სახელწოდებაც ჰქონდეთ, მაგალითად, პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი და სხვ., ეს არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. ყველა შემთხვევაში მათ მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების დირექტორების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მსგავსად, დირექტორებს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სოლიდარულად ეკისრებათ. არც სამეთვალყურეო საბჭოსა და არც საერთო კრებას უფლება არა აქვს დირექტორები გაათავისუფლონ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამასთან, დირექტორთა ბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი გადადის დირექტორებზე. სწორედ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანში მათ ბრალი არ მიუძღვით<sup>1</sup>. ეს პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როცა საკითხი ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სააქციო საზოგადოებაში მართვისა და კონტროლის ორგოლიანი სისტემა სათავეს იღებს გერმანული კანონმდებლობიდან. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ამ ფუნქციათა განხორციელებაში ერთმანეთს ავსებენ. რადგან დირექტორატს ფართო

<sup>1</sup> С.Д. Могилевский. Акционерные общества. М., 1999, стр. 146.

უფლებები აქვს მინიჭებული საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებისათვის, იგი ამიტომ უნდა იმყოფებოდეს მეორე ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს – მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ<sup>1</sup>. ასეთ შემთხვევაში როგორც ერთი, ისე მეორე ორგანოს საქმიანობა და პასუხისმგებლობა უფრო მიზანმიმართული ხდება.

სააქციო საზოგადოებაში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესამოწმებლად იქმნება სარევიზიო კომისია. შესაძლებელია აგრეთვე საზოგადოებას ჩაუტარდეს აუდიტი, ხოლო აუდიტორი წინასწარ იყოს განსაზღვრული, როგორც ეს რუსული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული<sup>2</sup>.

#### ✓ §4. აქციის ცნება და სახეები ✓

„აქცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განკარგულებას. იგი სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს გარკვეული ფულადი თანხის შეტანას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და მის მფლობელს უფლებას ანიჭებს საზოგადოების საერთო მოგებიდან მიიღოს განსაზღვრული შემოსავალი ანუ დივიდენდები.

აქციების გამოშვება მხოლოდ სააქციო საზოგადოების კომპეტენციაა. არც ერთ სხვა სამეურნეო საწარმოს, თუნდაც კომერციულ სტრუქტურას, უფლება არა აქვს გამოუშვას აქციები. თუმცა პრაქტიკაში შეიძლება ასეთ შემთხვევებსაც ჰქონდეს ადგილი. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ აქციისა და ობლიგაციის შინაარსი ერთმანეთშია არეული. ობლიგაცია ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომლის საფუძველზეც მის მფლობელს უფლება აქვს ობლიგაციის გამომშვებს მოსთხოვოს მისი ნომინალური ღირებულება და მასზე დარიცხული პროცენტი. ობლიგაციის გამოშვების უფლება აქვს როგორც სააქციო საზოგადოებას, ისე სხვა სტრუქტურებს. ასე-

<sup>1</sup> მარკუს ლუთერი, კორპორაციული მართვა გერმანიასა და ამერიკაში. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 23.

<sup>2</sup> Комментарий к федеральному закону „Об акционерных обществах“, под ред. Г.С. Шапкина, М., 1996, стр. 201.

თი ფასიანი ქაღალდები არ შეიძლება ჩაითვალოს აქციებად თუნდაც იმიტომ, რომ ისინი არ აძლევენ მის მფლობელს ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის უფლებას.

აქციები შეიძლება რამდენიმე სახის იყოს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები. ჩვეულებრივი აქციები საწარმდგენლო და სახელობითი ფორმისაა. მეწარმეთა შესახებ კანონში თავიდან გათვალისწინებული იყო ორივე სახის აქციის გამოშვების შესაძლებლობა. 1999 წლის სექტემბრიდან როგორც ჩვეულებრივი, ისე პრივილეგირებული აქციები გაიცემა მხოლოდ სახელობითი ფორმით. ეს განპირობებულია აქციების ბრუნვის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის აუცილებლობით. საწარმდგენლო აქციაში მისი მფლობელი არ არის აღნიშნული და მისი გასხვისება თავისუფლად შეიძლება საფონდო ბირჟებზე. სახელობითი აქციების სხვისთვის გადაცემა უნდა მოხდეს გადასაცემა წარწერის ანუ ინდოსამენტის გამოყენების გზით. გადაცემა შეიძლება აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა გზითაც. მეწარმეთა შესახებ კანონში 1999 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გამარტივდა აქციებზე უფლებების გადაცემის რეგისტრაცია. უკვე აღარ არის საჭირო ნოტარიუსის ჩარევა ამ საქმეში, აგრეთვე დიდი ხარჯები და გართულებული პროცედურა. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოსაგან მიღებული ლიცენზიის საფუძველზე, მარტივად ახორციელებენ აქციების მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, აქციები საქართველოში ძირითადად საორდერო ფასიანი ქაღალდის სახითაა წარმოდგენი-

---

<sup>1</sup> გელა ბახუტაშვილი, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 119.

ლი. იგივე სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნია აქციას გერმანიაშიც<sup>1</sup>. ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, პრივილეგირებული ანუ შეღავათიანი აქციების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მის მფლობელს გარანტირებული აქვს შედარებით მაღალი დივიდენდის მიღება აქციის ნომინალური ღირებულების ფიქსირებული პროცენტის სახით. მასვე შეიძლება ჰქონდეს სალიკვიდაციო კვოტის უპირატესი მიღების უფლებაც. ასეთი პრივილეგიები აქციონერს ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თანახმაა მონაწილეობა არ მიიღოს საზოგადოების საქმეთა მართვაში. ასეთი გაგებით პრივილეგირებული აქცია უახლოვდება ობლიგაციის შინაარსს.

აქციები სააქციო საზოგადოების მრავალრიცხოვან წევრებს შორის არაერთდროულად ნაწილდება. ამიტომ მათ შორის რაიმე ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა არ წარმოიშობა. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ მათ საზოგადოების საქმეებში პირადი მონაწილეობა არ მოეთხოვებათ და აქციების გასხვისების უფლებაც გააჩნიათ<sup>2</sup>. ასეთი გარემოება, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს საზოგადოების მართვის ცენტრალიზაციისა და მის საქმეთა საჯაროდ წარმოების აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება საწესდებო ფონდის ოდენობის გამოცხადებას, ყოველწლიური მოგებისა და წაგების შესახებ ანგარიშების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რაც საზოგადოების გადახდისუნარიანობის გარანტი და აქციონერთა რიცხვის გაზრდის საბაბიც შეიძლება გახდეს.

---

<sup>1</sup> Ю.А. Мателева. Правовое положение акционера в акционерном обществе. М., 1999, стр. 76.

<sup>2</sup> აქციის, როგორც საკუთრების ობიექტის შესახებ, დაწერილებით იხილეთ: ბესარიონ ზოიძე, აქცია და სააქციო საკუთრების ცნება. ჟურნ. „ცხოვრება და სამართალი“, 1998, 3, გვ 7-10.

## §5. აქციონერთა უფლება-მოვალეობანი

სააქციო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობასა და მის სტრუქტურულ ელემენტებს შორის სამართლებრივ კავშირებზე ნათელ წარმოდგენას ქმნის აქციონერთა უფლება-მოვალეობების ანალიზი. ამ მხრივ მეწარმეთა შესახებ კანონში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული. რადგან სააქციო საზოგადოების შექმნის საფუძველი აქციათა გავრცელების შედეგად მიღებული სახსრებია, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აქციონერთა ვალდებულებებისაგან უმთავრესს – შეიტანოს თავისი კუთვნილი აქციების შესაბამისი შესატანი. აქციის მისაღებად საჭირო შესატანის ფორმასა და ოდენობას დროის მიხედვით, განსაზღვრავს საზოგადოების წესდება. აქციონერი არ არის ვალდებული გამოაცხადოს საზოგადოებაში თავისი აქციების ოდენობისა და ღირებულების, შესატანის ოდენობის შესახებ და სხვ. ეს კი ანონიმურ ხასიათს აძლევს აქციონერის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში. ამიტომაც, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში სააქციო საზოგადოება ანონიმურ საზოგადოებად იწოდება<sup>1</sup>.

აქციონერის აღნიშნული ვალდებულების რეალიზაცია მას ბევრ უფლებას ანიჭებს. თავისი მნიშვნელობით არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აქციონერის როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი უფლებები. ორივე სახის უფლებები განმსაზღვრელია აქციონერის სამართლებრივი მდგომარეობის დადგენისას<sup>2</sup>.

აქციონერთა უფლებებში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია დივიდენდის მიღების უფლება. აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, აქცია ჩვეულებრივია თუ პრივილეგირებული. არასწორად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში გამოთქმული შეხედ-

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: Я.И. Функ, В.А. Михальченко, В.В. Хвалей. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999.

<sup>2</sup> Ю.А. Метелова. Правовое положение акционера в акционерном обществе. М., 1999, стр. 43, 114.

ულება იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან პრივილეგირებული აქციის მფლობელები არ მონაწილეობენ საზოგადოების მართვაში და მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება გააჩნიათ, ისინი საზოგადოების აქციონერები კი არა, კრედიტორები არიან<sup>1</sup>. ნებისმიერი აქციონერი მონაწილეობას ღებულობს მოგების განაწილებაში იმ დღიდან, როცა აქციის ღირებულება შეიტანა. გარდა ამისა, საკრედიტო ურთიერთობა, როგორც უკვე აღინიშნა, განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.

აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები ღირებულებებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა წაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი კრებამდე უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ყოველ აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოებას წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, მოითხოვოს ახსნა-განმარტებები საზოგადოების სხვადასხვა ორგანოებიდან და ა.შ. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

შედარებით გაზრდილი უფლებებით სარგებლობენ საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელი აქციონერები. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს. თუ ამგვარ მოთხოვნას საერთო კრება არ დააკმაყოფილებს, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილ-

<sup>1</sup> Ломакин Д.В. Акционерное правоотношение. М., 1997, стр. 39.



სამყოფელი. ასევე შეუძლიათ მათ მიმართონ სასამართლოს მაშინ, როცა რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნაზე უარს მიიღებენ ღირექტორებისაგან.

აქციონერთა არაქონებრივი უფლებების უმეტესობა საზოგადოების საერთო კრებაზე ზორციელდება. აქციონერებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, თუ ამისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არსებობს. ამან თავისთავად აქციონერთა უფლებამოვალეობების მოცულობაზე არ უნდა იქონიოს გავლენა. ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ საზოგადოების ფილიალებისა და წარმომადგენლობის გახსნა. აქციონერთა გადასაწყვეტია აქციების ღირებულებისა და დივიდენდების ოდენობის, ასევე საწესდებო კაპიტალის დანაწილების საკითხი საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ.

სააქციო საზოგადოების წევრთა უფლებამოვალეობების ანალიზისას, ძირითადად, აქციონერი ფიზიკური პირები და ცალკეული საწარმოები იგულისხმებოდა. ამასთან, განსაზღვრული უფლებამოვალეობები შეიძლება სახელმწიფოსაც გაუჩნდეს, ეს მაშინ, როცა სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს აქციონერის როლში. როგორც ცნობილია, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად მიჩნეულია მათი აქციონირება. ასეთ შემთხვევაში ქონების განსაზღვრული ფონდების სახით სახელმწიფო გამოდის აქციების პაკეტის ან ახლად შექმნილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალის წილის მფლობელად. მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს შორის აქციათა განაწილების მკაცრად დადგენილი წესი არ არსებობს<sup>1</sup> და ყველაფერი დამოკიდებულია მათ შორის შეთანხმებაზე. განაწილების შედეგად შეიძლება სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდეს აქციათა საკონტროლო პაკეტი, ე.ი. აქციათა საერთო ოდენობის

<sup>1</sup> Тихомиров Ю. А., Участие государства в создании и деятельности акционерных обществ. Ж. „Законодательство и экономика“, 1966, №3-4, стр. 21.

ნახევარზე მეტი ანდა უფრო ნაკლებიც. სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტი გადადის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მფლობელობაში<sup>1</sup>. ასეთ შემთხვევაში ქონების მართვის სამინისტრო კი არ არის აქციათა მესაკუთრე, არამედ – სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, რომელიც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სხვა სუბიექტების მსგავსად მონაწილეობს<sup>2</sup>.

სააქციო საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აქციონერებისაგან აქციათა გამოსყიდვის საკითხებს. ეს უმეტეს შემთხვევაში აქციონერის ინიციატივით ხდება, კერძოდ კი, მაშინ, როცა იგი „გაბრაზდება“ იმის გამო, რომ საზოგადოებამ საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა მისი უფლებების შემლახველი ცვლილების წესდებაში შეტანას. ასეთ შემთხვევაში აქციონერს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას მისი კუთვნილი აქციების გამოსყიდვა. თუ აქციათა გამოსყიდვას რამდენიმე აქციონერი ითხოვს, მაშინ იგი გამოსყიდულ უნდა იქნეს სხვადასხვა აქციონერისაგან პროპორციულ საფუძველზე. აქციათა გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ ყველა აქციის გამოსყიდვის შესაძლებლობა არ არსებობს იმის გამო, რომ გამოსყიდვისას საწესდებო კაპიტალი დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები გახდება ან აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საზოგადოების საკუთარი კაპიტალის 25%-ს. თუ აქციონერი არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შეთავაზებულ გამოსყიდვის პირობებს, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. გამოსყიდვის დროს ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული აქციონერის უფლება აქციებზე. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სააქციო საზოგადოების საერთო კრებამ აქციონერს მიაკუთვნა აქციათა განსაზღვრული ოდენობა, ხოლო გამოსყიდვის დროს ითხოვს გაზრდილი ოდენობის აქციათა ღირებულებას. ასეთ დროს

<sup>1</sup> დაწერილებით იხილეთ: ეკა შენგელია, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1999, გვ. 41.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი პირველი. მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 1999, გვ. 107.

წარმოშობილი გაუგებრობის მიზეზად საერთო კრების არასწორ გადაწყვეტილებაზე მიეთითება, რომლის გასაჩივრების ვადა უკვე გასულია. ამის მაგალითად გამოდგება სააქციო საზოგადოება „სატ-ავტოტრანსი-2“-სა და მის აქციონერ გ. დონდუშვილს შორის წარმოშობილი დავა. კრებამ მას 1994 წელს მიაკუთვნა 421 აქცია, ხოლო გამოსყიდვის დროს მოითხოვა გაცილებით მეტი აქციების გამოსყიდვა. სასამართლომ აქციონერის სარჩელი სამართლიანად არ დააკმაყოფილა<sup>1</sup>. აქცია გამოსყიდულ უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რაც არსებობდა ამ საკითხის გადასაწყვეტად საერთო კრების მოწვევის დღისათვის. აქედან გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ აქციათა დაბალი ლიკვიდურობისა ან სხვა მიზეზების გამო, კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. გამოსყიდვის დეტალური წესები განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონის ახალი, 53<sup>1</sup>-ე მუხლით. აღნიშნული ნორმით აქციონერთა უმცირესობის მიერ გამოსყიდული აქციები უქმდება და საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შესაბამისად მცირდება.

მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული წესების დაცვა აუცილებელია აქციონერთა მიერ არა მარტო თავისი აქციების გამოსყიდვის პროცესში, არამედ აქციათა სხვა პირებისათვის გადაცემის დროსაც. ინდოსამენტის სწორად გაკეთება ან ხელშეკრულების დადება აქციათა გადაცემის თაობაზე და საზოგადოებაში მისი რეგისტრაცია, აქციონერისათვის მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს. მისი დაუკველობა სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ედება საფუძველად სარჩელის დაუკმაყოფილებლობას<sup>2</sup>.

## §6. სააქციო საზოგადოების შექმნა და მისი რეგისტრაცია

სააქციო საზოგადოების შექმნა იურიდიული მნიშვნელობის აქტია. ასეთი აქტის საფუძველზე წარმოიშობა საწარმო, როგორც

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ნაწილი I, 2000 წ., №9, გვ. 405.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ნაწილი I, 2000 წ., №9, გვ. 389.

სამართლის სუბიექტი. სააქციო საზოგადოების შექმნა ძირითადად ორი გზით ხორციელდება – ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებითა და ძველის რეორგანიზაციით. უფრო გავრცელებულ და ნორმალურ გზად მიიჩნევა პირველი. ამიტომ სააქციო საზოგადოების შექმნაში სწორედ ახალი საწარმოს ჩამოყალიბება იგულისხმება<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოება შეიძლება შეიქმნას როგორც ერთი, ისე რამდენიმე პირის მიერ. საზოგადოების შექმნის პროცესში და შემდგომი ფუნქციონირებისას პირები ერთმანეთის პარტნიორების როლში გამოდიან. მათ თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ<sup>2</sup>. რამდენიმე პირის მიერ სააქციო საზოგადოების შექმნისას ტარდება დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელზეც მიიღება გადაწყვეტილება საზოგადოების შექმნის შესახებ, მტკიცდება წესდება, იქმნება მართვის ორგანოები, განისაზღვრება საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა და მისი შევსების საშუალებები, აგრეთვე აქციათა განაწილების წესი და აქციონერთა უფლება-მოვალეობები. სააქციო საზოგადოების ერთ დამფუძნებლად უმეტესად სახელმწიფო გამოდის. სააქციო საზოგადოების შექმნის პროცესი მისი დაფუძნებით არ მთავრდება. აუცილებელია მისი რეგისტრაცია, რაც ნიშნავს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანას სახელმწიფო რეესტრში. რეგისტრაციის მიზანია არა მარტო სააქციო საზოგადოების პარტნიორების, არამედ შესამე პირებისა და კრედიტორების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. რეგისტრაციის გარეშე სააქციო საზოგადოება შექმნილად არ ითვლება და არც სამართლის სუბიექტად ჩაითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონით საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული სამეწარმეო საქმიანობის

---

<sup>1</sup> В.В. Лаптев. Акционерное право. М., 1999, стр. 40, С.Д. Могилевский. Акционерные общества. М., 1999, стр. 44.

<sup>2</sup> დაწერილებით იხილეთ: ლადო ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, თბ., 2000 წ., გვ. 247-249.

მონაწილეთა ყველა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და მათ შორის სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის საკითხები, მისი სრულყოფის პრობლემები კვლავაც იქნება იურისტთა ყურადღების საგანი<sup>1</sup>.

კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაცია საქართველოში ხორციელდება სასამართლოების მიერ. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, იქ რეგისტრაციას ახორციელებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო; მაგალითად, საფრანგეთში – სეაჭრო სასამართლოები, სადაც ისინი არ ფუნქციონირებენ, იქ – სამოქალაქო სასამართლოები; შვეიცარიაში – კანტონის ადმინისტრაციული ორგანოები; ინგლისში – ვაჭრობის სამინისტრო; ამერიკაში – ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოები. რუსეთში საწარმოს რეგისტრაციას, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ახორციელებს ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი ადმინისტრაცია საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის 1995 წლის კანონით სააქციო საზოგადოებათა შესახებ, გათვალისწინებულია იურიდიული პირების რეგისტრაციის ორგანოებში სააქციო საზოგადოებათა რეგისტრაცია, თუმცა ასეთი ორგანოების შექმნამ საკმაოდ დააგვიანა<sup>2</sup>. ყაზახეთში იურიდიული პირების რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის ორგანოებში<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს იურიდიული პირების რეგისტრაციის აუცილებლობა სახელმწიფო ორგანოებში, მით უმეტეს – სასამართლოში. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, მარეგისტრირებელ ორგანოთა როლში სასამართლოს გამოსვლა სიახლეს წარმოადგენს. ეს წესი პირველად საქართველო-

---

<sup>1</sup> მარიამ ცისკაძე, სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი „სერგო ვორბენაძე 70“. საობილუო კრებული, თბ., 1996, გვ. 379-386.

<sup>2</sup> Т. В. Кашанина, Е. А. Сударькова. Акционерное право. М., 1997, стр. 39. В. В. Долгинская. Акционерное право. М., 1997, стр. 44, В. В. Лаптев. Акционерное право.

<sup>3</sup> М. К. Сулейманов, Б. В. Покровский, А. И. Худяков, В. А. Жакенов. Право и предпринимательство в Республике Казахстан. Алматы. 1994, стр. 47)). М., 1999, стр. 46.

ში იქნა შემოღებული და მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებიდან საკმაოდ მოკლე დროში დამკვიდრდა. მანამდე კი ამ ფუნქციას მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ახორციელებდა. ეს წესი დღეისათვის პროგრესულად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა სამეწარმეო იურიდიული პირების სასამართლოში რეგისტრაცია იმის გამო, რომ მათი შექმნის პროცედურა რთულია და აუცილებლობას წარმოადგენს კვალიფიციური იურისტის კონტროლის ქვეშ მისი განხორციელება. ამ ფონზე დღის წესრიგში დგება, საერთოდ, იურიდიული პირების რეგისტრაციის სრულყოფის პრობლემა. თუ სააქციო საზოგადოების, როგორც კერძო სამართლის კომერციული სუბიექტის, რეგისტრაცია შედარებით სრულყოფილადაა მოწესრიგებული, იგივე არ შეიძლება ითქვას საჯარო იურიდიულ პირებზე. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ერთიანი კანონის მიღება იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ. ასეთი კანონი სამართლებრივ გარკვეულობას შეიტანს თითოეული კატეგორიის იურიდიულ პირთა სტატუსის განსაზღვრისას და მნიშვნელოვანი საფუძველი გახდება რეგისტრაციის უნიფიცირებული წესის დასადგენად.

სააქციო საზოგადოების რეგისტრაციას ახორციელებს ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განთავსებულია მისი იურიდიული ადგილსამყოფელი. განცხადება სასამართლოში შეაქვს საზოგადოების ერთ-ერთ პარტნიორს ან თუ საზოგადოებას ქმნის ერთი პირი – ინდივიდუალურ მეწარმეს. განცხადება შედგენილ უნდა იქნეს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად. კერძოდ კი, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) საწარმოს საფირმო სახელწოდება; ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; გ) ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი); დ) საქმიანობის საგანი; ე) მონაცემები სამეურნეო წლის დაწყებისა და დამთავრების შესახებ; ვ) ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ად-

გილი, ხოლო, თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები; ზ) წარმომადგენლობის უფლებამოსილება. სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ განცხადებაში, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, საჭიროა დაემატოს შემდეგი: ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ; ბ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი; გ) ყოველი დირექტორის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი; დ) დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ.

საზოგადოების განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: საზოგადოების წესდება, არაფულადი შესატანით დაფუძნებისას, შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი და დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ.

სააქციო საზოგადოების შექმნის მსურველებს შორის შესაძლოა დაიდოს სპეციალური ხელშეკრულება და ამის შემდეგ განხორციელდეს მისი დაფუძნება. მიუხედავად ამისა, კანონი არ ითხოვს ასეთი ხელშეკრულების წარდგენას საზოგადოების რეგისტრაციის დროს<sup>1</sup>.

პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ. ზემოთ აღნიშნული ყველა დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მე-5 მუხლი მოითხოვს დაზუსტებას. მის ბოლო პუნქტში აღნიშნულია, რომ სასამართლომ სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია უნდა განახორციელოს აუცილებე-

---

<sup>1</sup> სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესახებ დაწერილებით იხილეთ: Степанов Д., Особенности договора учредителей о создании акционерного общества. Ж. „Хозяйство и право“. 2000, №2, стр. 42-57; Козлова Н.В., Учредительный договор о создании коммерческих обществ и товариществ. М., 1994.

ლი საბუთების წარდგენიდან შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო რეგისტრირებულად ჩაითვლება და სასამართლო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა. ეს დებულება სადავოა. ძნელი წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, როცა სასამართლო უსაფუძვლოდ ამბობს უარს რეგისტრაციაზე, არ ატარებს საზოგადოებას რეგისტრაციაში და იგი მაინც რეგისტრირებულად ითვლება. სასამართლოს ნაცვლად ვინ უნდა გაატაროს იგი რეგისტრაციაში, ვინ უნდა განსაზღვროს სასამართლოს უარის უსაფუძვლობა, ვინ უნდა გამოაქვეყნოს მის შესახებ ცნობები პრესაში, როგორ უნდა მოხდეს ასეთი საზოგადოების სტატუსში შეტანილი ცვლილებების რეგისტრაცია და სხვა უამრავი პასუხგაუცემი კითხვები წამოიჭრება ასეთ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს უსაფუძვლო უარის ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის მითითების დამატება ზემოაღნიშნულ მუხლში. ეს უფრო მობილიზებულს გახლდა სასამართლოთა მუშაობას ამ მხრივ და მოსპობდა ფიქციურ, ავტომატურ რეგისტრაციათა შესაძლებლობას. ამასვე ადასტურებს თბილისის სასამართლოებში სააქციო საზოგადოებათა რეგისტრაციის პრაქტიკა. სასამართლომ სამეწარმეო რეესტრში უნდა შეიტანოს არა მარტო საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული მონაცემები, არამედ მის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებიც. მაგალითად, ცვლილება საწესდებო კაპიტალში, დირექტორის შეცვლა, საზოგადოების ლიკვიდაცია და სხვა. სამეწარმეო რეესტრი საჯარო ხასიათისაა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მას და მიიღოს მისი ამონაწერები. გარდა ამისა, სასამართლო ვალდებულია სამეწარმეო რეესტრის მონაცემი გამოაქვეყნოს ოფიციალურ პრესაში. ყოველივე ეს უდავოდ მეტყველებს რეგისტრაციის სასამართლო წესის დიდ მნიშვნელობაზე.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, სააქციო სა-



ზოგადობა ხდება სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. რადგან იგი კერძო სამართლებრივი ხასიათისაა, ბუნებრივია, მას, ძირითადად, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში უხდება მონაწილეობის მიღება. რეგისტრაციის მომენტიდან წარმოეშობა მას სამოქალაქო უფლებები და შესაძლებლობა — იკისროს სამოქალაქო ვალდებულებები. იგულისხმება, რომ სააქციო საზოგადოებას გააჩნია არა სპეციალური, არამედ საერთო უფლებაუნარიანობა. საზღვარგარეთის ქვეყნებში შეიმჩნევა სააქციო საზოგადოებათა საერთო უფლებაუნარიანობის ლეგალიზაციის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზოგიერთ ნორმატიულ აქტში მითითებულია სპეციალური უფლებაუნარიანობის დაწესების შესახებ (გერმანია, ინგლისი, ამერიკა, რუსეთი). საერთო უფლებაუნარიანობის დაწესება შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, კანონში ან წესდებაში მის რა მიზნებზეა მითითებული. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს კანონში მეწარმეთა შესახებ სააქციო საზოგადოებათა რეგისტრაციის მომენტიდან მათი საერთო უფლებაუნარიანობის წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ აღნიშვნა.

ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სამეწარმეო საზოგადოებას, რადგან საერთო უფლებაუნარიანობა გააჩნია, რეგისტრაციის დროს უნდა მოეთხოვოს არა საერთოდ საქმიანობის, არამედ ძირითადი ანუ სავარაუდო საქმიანობის აღნიშვნა, რომ სხვა საქმიანობის შესაძლებლობაც ჰქონოდათ<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმიანობის აღნიშვნა არ არის დაკავშირებული უფლებაუნარიანობის სახესთან. განცხადებაში საქმიანობის საგნის აღნიშვნას სხვა დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს. იგულისხმება, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული, საზოგადოებისათვის ნებადართულია. შეუძლებელია აგრეთვე საქმიანობის საგნის წინასწარ განსაზღვრა მისი კანონიერების საკითხ-

<sup>1</sup> ავთანდილ კახნიაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. ვ. „ტასისი“ (თასის), ქართული სამართლის მიმოხილვა, მეოთხე კვარტალი, 1999 წ., გვ. 112.

ის დაზუსტებას ისახავდეს მიზნად. აქედან გამომდინარე, შემოთავაზებული წინადადების მიღება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

## §7. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია

სააქციო საზოგადოების წარმოშობა-შექმნა აღნიშნულთან ერთად შეიძლება რეორგანიზაციის სხვადასხვა ფორმასთან იყოს დაკავშირებული, ისე როგორც რეორგანიზაციის დროს ზოგჯერ შესაძლებელია საზოგადოების ფუნქციონირების შეწყვეტა. ტრადიციულად რეორგანიზაციის ფორმებს ძირითადად წარმოადგენდა: შერწყმა, გაყოფა, მიერთება და გამოყოფა. მეწარმეთა შესახებ კანონმა დაამკვიდრა რეორგანიზაციის ახალი ფორმა – გარდაქმნა, რაც სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას ნიშნავს.

საწარმო, რომელიც სააქციო საზოგადოების სახით არსებობს, შეიძლება რეორგანიზებულ იქნეს მხოლოდ იმ პირთა სურვილით, ვინც დააფუძნა იგი. სააქციო საზოგადოების ნებისმიერი ფორმით რეორგანიზაცია მხოლოდ მისი პარტნიორების კომპეტენციაა. გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა აქციონერთა კრების ნახევარზე მეტის სურვილი, განსხვავებით პირთა გაერთიანების საფუძველზე შექმნილი საზოგადოებისათვის, სადაც რეორგანიზაცია შესაძლებელია ყველა პარტნიორის თანხმობით.

სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საზოგადოებათა შერწყმა. ეს ზორციელდება გაერთიანებითა და მიერთებით. გაერთიანების შემთხვევაში ორი ან მეტი საზოგადოება თავს აცხადებს ლიკვიდირებულად და თავიანთი აქტივებისა და პასივების შეერთების საფუძველზე ქმნიან ახალ სააქციო საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში ახალი სააქციო საზოგადოება საერთო საწყისებზე ფუძნდება ყოფილ საზოგადოებათა პარტნიორების მიერ. მიერთების შემთხვევაში ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს. მიერთებული საზოგადოება თავს აცხა-

დებს ლიკვიდირებულად და თავის აქტივებსა და პასივებს გადასცემს მეორე საზოგადოებას.

სააქციო საზოგადოების გაყოფის შესაძლებლობა კანონით დაშვებულია, თუ მის შიგნით არსებობს რამდენიმე სტრუქტურული ერთეული, რომელთა დამოუკიდებელი საქმიანობისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი. გაყოფაც უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. გასაყოფი საზოგადოების მართვის ორგანოებს ევალუბათ საზოგადოების საწესდებო კაპიტალისა და სხვა ქონების გაყოფის ბალანსის მომზადება. იგი უნდა შეიცავდეს დებულებებს რეორგანიზებული იურიდიული პირის ყველა ვალდებულებათა შინაარსის შესახებ. ბალანსში უნდა აისახოს გაყოფის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების ქონების ზუსტი მონაცემები. ქონების ნატურად გაყოფისას აუცილებელი იქნება აუდიტორის დასკვნა. სააქციო საზოგადოების გაყოფისას წყდება ერთი საზოგადოება და მის ნაცვლად იქმნება ორი ახალი საზოგადოება, რომლებიც ფუნქციონირებას იწყებენ რეგისტრაციის მომენტიდან. გაყოფისაგან განსხვავდება გამოყოფა, რომლის დროსაც სააქციო საზოგადოებას გამოეყოფა აქციონერთა ერთი ნაწილი თავისი წილი ქონებით და იქმნება ახალი საზოგადოება. ძველი სააქციო საზოგადოება ინარჩუნებს ადრინდელ სტატუსს. გამოყოფის დროს ძირითად სააქციო საზოგადობას არ უნდა შეექმნას ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები. ახალი საზოგადოება კი შეიქმნება სამეწარმეო კანონმდებლობის საფუძველზე და მისი რეგისტრაცია მოხდება საერთო საწყისებზე.

საზოგადოების გარდაქმნა დაკავშირებულია მის ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან. საზოგადოების დაფუძნებისას მომავალი პარტნიორები ირჩევენ რა კონკრეტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რომლის მეშვეობითაც უნდა განახორციელონ თავიანთი მიზნები და ამოცანები, ითვალისწინებენ თავიანთ ფინანსურ მდგომარეობას. მაგალითად, მათ უნდა განსაზღვრონ, შეუძლიათ თუ არა შექმნან ისეთი სამეწარმეო საზოგადოება, რომელ-

იც საკმაოდ მაღალ თავდაპირველ კაპიტალს საჭიროებს. ითვალისწინებენ აგრეთვე კრედიტორთა წინაშე პასუხისმგებლობის მოცულობის საკითხს. სააქციო საზოგადოების შექმნისას, შესაძლებელია პარტნიორებს ყველა პირობა ჰქონდეთ მის დასაფუძნებლად, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რადგან ახალი ფორმა შედარებით მარტივად და ნაკლები კაპიტალით ფუნქციონირების შესაძლებლობას ქმნიდეს; მაგალითად, სააქციო საზოგადოება გარდაიქმნას კოოპერატივად ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება აქციონერთა საერთო კრების უმრავლესობის თანხმობა. გარდაქმნა შესაძლებელია სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ – ახალი სამეურნეო წლის პირველ ნახევარში. კრების გადაწყვეტილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლის მეშვეობითაც აპირებს საზოგადოება მომავალ არსებობასა და საქმიანობას. მითითებულ უნდა იქნეს აგრეთვე რეორგანიზაციის ვადა და მართვის ის ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს გარდაქმნის პროცესს. ასეთ ორგანოს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დირექტორატი. ის ამზადებს ახალი საზოგადოების წესდების პროექტსა და მისთვის ქონების გადაცემის ბალანსს. საზოგადოების პარტნიორებმა შესაძლებელია გადაწყვიტონ გარდაქმნის ბალანსში აქტივების შეტანა მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით ამისათვის საჭიროა აქტივების შეფასება მოახდინოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა. ამ ფუნქციას, ჩვეულებრივ, ასრულებს აუდიტორი ან აუდიტორული ორგანიზაცია. აუდიტორული დასკვნა უნდა დაერთოს იმ დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სამეწარმეო სუბიექტის რეგისტრაციაში გასატარებლად. სასამართლო ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ახალი საზოგადოება, თუ ყველა დოკუმენტი წარმოდგენილია სრულყოფილად.

სამეწარმეო საზოგადოებათა გარდაქმნა სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვნად ზორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში კანონი ზღუდავს ამა თუ იმ საზოგადოების გარდაქმნას სხვა საზოგადოებად. მაგალითად, რუსული კანონმდებლობის მიხედვით, სააქციო საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან კოოპერატივად<sup>1</sup>. არ შეიძლება მისი გარდაქმნა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. მსგავსი შეზღუდვა დაწესებულია აგრეთვე ყაზახეთის სამოქალაქო კანონმდებლობით. ცხადია, ასეთ შეზღუდვებს საფუძვლად უდევს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა<sup>2</sup>. გერმანიის კანონმდებლობით კი საკმაოდ დეტალურად არის რეგულირებული არა მარტო სააქციო საზოგადოების სხვა საზოგადოებად, არამედ სხვა საზოგადოების, აგრეთვე საჯარო სამართლის კორპორაციებისა და ორგანიზაციების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესაძლებლობა<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, სამეწარმეო საზოგადოების ერთიდან მეორე სახედ გარდაქმნას კრედიტორის ინტერესები არ უნდა განსაზღვრავდეს. ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოებას მის გარდაქმნამდე. გარდაქმნის სურვილი კი წინასწარ უნდა იყოს გამოცხადებული. კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ უნდა განხორციელდეს გარდაქმნა. აქედან გამომდინარე, ძველი საზოგადოების კრედიტორის დაკმაყოფილების ვალდებულება ახალ საზოგადოებაზე არ უნდა გადადიოდეს. ასეთ შემთხვევაში გარდაქმნილ საზოგადოებას ახალი კრედიტორი ეყოლება და მისი ინტერესები ისევე იქნება დაცული, როგორც ახლად შექმნილი საზოგადოების.

საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, მართალია, გათვალისწინებულია ერთი საზოგადოების გარდაქმნა სხვა სახის ორ-

<sup>1</sup> С.Д. Могилевский. Акционерное общество. М., 1999, стр. 59, В.В.Лаптев. Акционерное право. М., 1999, стр. 108.

<sup>2</sup> Гражданское право. Под редакцией Е.Суханова, т.1, М., 1993, стр. 94.

<sup>3</sup> Германское право, часть II, М., 1996, стр. 306-331.

განიზაციულ-სამართლებრივ ფორმად, მაგრამ მასში არ არის მოცემული გარდაქმნის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მექანიზმი. პრაქტიკაში მისი აუცილებლობის საკითხი ხშირად დგება, ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ერთი სახის საზოგადოების მეორედ გარდაქმნის, აგრეთვე საჯარო სამართლის საწარმოების კომერციულ საზოგადოებებად გარდაქმნის დეტალური რეგულირება.

## §8. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია

სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია, თუ ზოგჯერ მის შეწყვეტას იწვევს, ლიკვიდაცია ყოველთვის უთუო საფუძველს წარმოადგენს. მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულია არა მარტო საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველები, არამედ მისი განხორციელების წესი და საზოგადოების ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების განაწილების პირობები. აღსანიშნავია, რომ ლიკვიდაციის საფუძველები განსხვავებულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის ან კომანდიტური საზოგადოების ლიკვიდაციისათვის, როგორც პირთა გაერთიანების საფუძველზე შექმნილი საზოგადოებისათვის, საკმარისია ერთ-ერთი პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა, რაც შეუძლებელია კაპიტალური საზოგადოების ლიკვიდაციას დაედოს საფუძველად. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციისათვის საჭიროა 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელთა გადაწყვეტილება. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის ყველაზე სერიოზული საფუძველია გადახდისუუნარობა და ამ საფუძველზე საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადება. სალიკვიდაციო ანუ გაკოტრების წარმოება გულისხმობს საზოგადოების ქონების მიმართ განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. დადგენილ უნდა იქნეს ქონების აქტივები და პასივები; უნდა შემოწმდეს კრედიტორების მოთხოვნების საფუძველიანობა და საზოგადოების

რეალური ქონებიდან განხორციელდეს კრედიტორთა დაკმაყოფილება<sup>1</sup> ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს სასამართლო. საზოგადოება გააკოტრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სასამართლო გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. გააკოტრების შესახებ საქმის აღძვრის საფუძველს გადახდისუუნარობასთან ერთად წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, როცა საზოგადოების ქონება ვეღარ ფარავს ვალებს. გადახდისუუნარობა არის გადახდის საშუალების უქონლობით გამოწვეული უუნარობა მოვალისა, შეასრულოს ვადადამდგარი ფულადი ვალდებულებები ანუ უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები საგადაამხდელ სახსრების უკმარისობის გამო. ასეთ სახსრებში იგულისხმება არა მარტო საზოგადოების ფინანსური სახსრები, არამედ მისი ქონებაც. გადახდისუუნარობას სამართლებრივი შედეგების მიხედვით უთანაბრდება ისეთი შემთხვევები, როცა საზოგადოების ქონება ვერ ფარავს ვალებს. სააქციო საზოგადოების გააკოტრების შესახებ საქმის აღძვრის ვალდებულება ეკისრება საზოგადოების ხელმძღვანელობას – მის დირექტორებს, რომლებმაც გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან სამი კვირის ვადაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე უნდა განაცხადონ საგაკოტრებო საქმის აღძვრის შესახებ. განაცხადის ბრალეულ გაჭიანურებად არ ჩაითვლება, თუ დირექტორები საგაკოტრებო საქმის აღძვრას ეწყობოდნენ კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით. მაგალითად, დირექტორებმა, შეიტყვეს რა საზოგადოების გადახდისუუნარობის შესახებ, სათანადო განაცხადი არ გააკეთეს იმიტომ, რომ ისინი შესაძლებლად თვლიდნენ გარიგებებიდან განსაზღვრული თანხის შემოსვლას და ამით გააკოტრების თავიდან აცილებას. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება კომერციული კეთილსინდისიერება. რაც შეეხება საზოგადოების გადახდისუუნარობის მომენტს, საერთო წესიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ასეთი დროა ის დღე, როცა გაირკვა ვალდებულებათა გადახდის დადგო-

<sup>1</sup> როინ მიგრაული, შესავალი გააკოტრების სამართალში, თბ., 1999, გვ. 18.

მის დრო და საზოგადოებას არ გააჩნია ამისათვის საკმარისი სახსრები. სწორედ ამ დღიდან უნდა დაწესდეს ის სამკვირიანი ვადა, რასაც საგაგოტრებო საქმის აღძვრის წესი ითვალისწინებს. გაკოტრებაზე განაცხადის შეტანის პრაქტიკა საქართველოში ძალზე მწირია და კონკრეტული თავისებურებები ჯერ არც გამოკვეთილა. სააქციო საზოგადოების გაკოტრება დაბალი ეკონომიკური ღონის ქვეყანაში მტკივნეულ პროცესად აღიქმება<sup>1</sup>. ამის მაგალითად გამოდგება „აზოტის“, „თბილკრედიტბანკის“, „აგრარული ბანკისა“ და სხვათა გახმაურებული ლიკვიდაციის პროცესები. თუ დადგენილ ვადაში ღირექტორები ბრალეულად აარიდებენ თავს საქმის აღძვრას, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე იმ ხარჯების ანაზღაურების სახით, რაც საზოგადოებამ გაიღო გადახდისუუნარობის ან დავალიანების დადგენის შემდეგ. დამდგარი ზიანისათვის ღირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად. ღირექტორების პასუხისმგებლობის დაწესება, ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს საზოგადოების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად<sup>2</sup>.

საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ საქმის აღძვრა თავისთავად არ გულისხმობს ლიკვიდაციის აქტის დასრულებას, არამედ იგი სალიკვიდაციო პროცესის მხოლოდ დაწყებაა. საზოგადოების ლიკვიდაცია დასრულდება სასამართლოს მიერ მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოღების მომენტში. ლიკვიდაცია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. იგი შეიძლება განპირობებული იყოს საზოგადოების პარტნიორთა სიმრავლით, კრედიტორთა რაოდენობით, ქონების დაქსაქსულობით და სხვ. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოება ახორციელებს ჩვეულებრივ საქმიანობას, დებს გარიგებებს, ასრულებს ვალდებულებებს და ა.შ. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სალიკვიდაციო კომისია, რომლის უფლება-მოვალე-

<sup>1</sup> ირაკლი კორტავა, სამეთვალყურეო საბჭოს როლი ქართული სააქციო საზოგადოებების კორპორაციულ მართვაში „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 72.

<sup>2</sup> ლალო ჭანტურია, თვლ ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბ., 1998, გვ. 183.



ობები კანონითაა განსაზღვრული, როგორც წესი, საზოგადოების ლიკვიდაციას ღირექტორები ახორციელებენ. განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა საამისო საფუძველი არსებობს, საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი ანუ გაკოტრების მმართველი, რომელიც შეიძლება არ იყოს საზოგადოების ღირექტორი. ლიკვიდატორის დანიშვნით წყდება საზოგადოების ღირექტორთა უფლებამოსილება და იგი გადადის ლიკვიდატორებზე. გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ 1996 წლის 25 ივნისის კანონის მიხედვით, განსაზღვრულია ლიკვიდატორის ანუ გაკოტრების მმართველის ფუნქციები. თავისი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი მან უნდა აანაზღაუროს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ იგი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული<sup>1</sup>.

ლიკვიდატორები, პირველ რიგში, საზღვრავენ საზოგადოების ბალანსს ანუ მის აქტივებსა და პასივებს. მათვე ევალებათ უშუალოდ შეატყობინონ საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ იმ კრედიტორებს, რომელთა ვინაობა ცნობილია, რაც შეეხება უცნობ კრედიტორების, აგრეთვე იმათ, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მათ აცნობენ საჯარო განცხადებით და იწვევენ პრეტენზიებს წარსადგენად. ამის შემდეგ გაკოტრების პროცესი მიმდინარეობს გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის შესაბამისად. თუ საზოგადოების ლიკვიდაცია დიდი ხნით გრძელდება, შეიძლება ლიკვიდატორებს დაევალოთ შუალედური ბალანსების შედგენა. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებით სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის, ისე, როგორც თავის მხრივ ლიკვიდატორი, თუ თავის მმართველობით და წარმომადგენლობით ფუნქციებს არ წარმართავს ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით. მას შემდეგ, რაც

<sup>1</sup> თეიმურაზ ჯორბენაძე, გაკოტრების მმართველის ფუნქციები, ჟურნ. „სამართლის აქტუალური საკითხები“, 1999, №1, გვ. 55.

მოხდება საზოგადოების ლიკვიდაცია, ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის, მათ მიერ ადრე გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. აქციონერთა და კრედიტორთა ქონებრივი ინტერესების სრულყოფილად დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ლიტერატურაში დაისვა საკითხი, რომ შეიქმნას შემფასებლის ანუ რიელიტარული სამსახური, რომელიც სერთიფიცირებული იქნება და აუდიტორული სამსახურისაგან განსხვავებით, განახორციელებს ქონების რიელიტარულ შეფასებას მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებათა დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს<sup>1</sup>.

მეწარმეთა შესახებ კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოების კრედიტორთა დაკმაყოფილებას თანამიმდევრობით. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია კანონში ზუსტად განისაზღვროს კრედიტორთა დაკმაყოფილების თანამიმდევრობა, რაც თვით კრედიტორთა შორის ამ საკითხზე წამოჭრილი დავების თავიდან აცილების საფუძველი იქნება.

საზოგადოების პარტნიორებს შორის სახსრების განაწილება შეიძლება განხორციელდეს ერთი წლის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი. შესაძლებელია, სახსრების განაწილება ამ ვადის გასვლამდეც. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ სახსრების განაწილება საფრთხეს არ უქმნის კრედიტორთა ინტერესებს. თუ ის კრედიტორები, რომელთა ვინაობა ცნობილია, არ განაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მაშინ მათ დეპონირებას ახდენს სასამართლო. დეპონირება არის მოვალის მიერ სახელმწიფო ორგანოსადმი იმ ქონების ჩაბარება, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ინახება მის სახელზე. ამგვარადვე უნდა იქნეს დეპონირებული საზოგადოების სადავო და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება, რომელთა

<sup>1</sup> ჯონი ხეკურანი, მისასაღებელი სიტყვა სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 15.

შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა — თუკი კრედიტორისაა. კ ს არ არის წარდგენილი თანაბრად ღირებული გარანტია ან საზოგადოების ქონების განაწილება არ შეჩერდა ამ ვალდებულებათა შესრულებამდე. დეპონირების საგნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ქონება. ამასთან დაკავშირებით მოვალესა და დეპონირების ორგანოს შორის წარმოიშობა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა<sup>1</sup>.

დეპონირების ერთადერთ ორგანოდ მიზანშეწონილი იქნება მომავალში გამოცხადდეს სასამართლო. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ სასამართლო უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესთან და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად მას შეუძლია დაიცვას კრედიტორთა ინტერესები.

საზოგადოების ქონების განაწილებისას, პარტნიორთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ მისი განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე. პარტნიორთა შორის ქონების გაყოფასთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

---

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, თუღო ნინიძე, შეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბ., 1998, გვ. 186.

სააქციო საზოგადოების ქონების სამართლებრივი  
მდგომარეობა

§1. საწესდებო კაპიტალის ფორმირება

სააქციო საზოგადოების ქონების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა უფლებით ეკუთვნის მას ეს ქონება. ამის აუცილებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლში ლაპარაკია საზოგადოებაზე, „რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი“. რადგან აქციის მფლობელები შეიძლება იყვნენ ცალკეული აქციონერები, ბუნებრივად იბადება კითხვა – ხომ არ არიან ისინი სააქციო საზოგადოების ქონების ამ ნაწილის წილობრივი მესაკუთრენი. ასეთ კითხვაზე თავიდანვე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის რუსეთისაც, არასწორ და სააქციო საზოგადოების ბუნებისათვის შეუსაბამო ინტერპრეტაციას იძლეოდა<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოების, როგორც კაპიტალის გაერთიანებაზე დამყარებული წარმონაქმნის, ბუნება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: სააქციო საზოგადოების ნებისმიერი ქონება და, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით, ხოლო მისი წევრები საზოგადოებასთან დაკავშირებული არიან ვალდებულებითი უფლებებით. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელია თანამედროვე სააქციო კანონმდებლობისათვის.

სააქციო საზოგადოების ქონებაში, რომელიც სხვადასხვა ფონდების სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საწესდებო კაპიტალს. არასწორად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში არსებული მიდგომა „საწესდებო

<sup>1</sup> В.В. Лептев, Акционерное право. М., 1999, стр. 48.

ბო კაპიტალისა“ და „სააქციონერო კაპიტალის“ იგივეობის თაობაზე<sup>1</sup>.

სააქციონერო კაპიტალი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და, ამასთან, იგი შეიძლება ცვალებადიც იყოს<sup>2</sup>. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მის საწყის ქონებას, მისი საქმიანობის დაწყებისათვის აუცილებელ მატერიალურ ბაზას. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ საწყისი კაპიტალით უნდა უზრუნველყოს საზოგადოებამ თავისი მომავალი კრედიტორების ინტერესები. ის პირები, რომლებიც სააქციო საზოგადოებასთან სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმას აპირებენ, გარანტირებულნი უნდა იყვნენ თუნდაც მინიმალური, მაგრამ მყარი სახსრების განსაზღვრული ოდენობით, რაზედაც აუცილებლობის შემთხვევაში დაფუძნებული უნდა იყოს კრედიტორული მოთხოვნა. ამიტომაც სწორედ, რომ კანონი იმპერატიული წესით ადგენს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის იმ ოდენობის შენარჩუნების აუცილებლობას, რაც გათვალისწინებულია მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

ნიშნდობლივია ისიც, რომ კანონი თვითონ განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას ზოგიერთი სახის საზოგადოებისათვის. მათ შორისაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და, რა თქმა უნდა, სააქციო საზოგადოებაც<sup>3</sup>.

სააქციო საზოგადოებისათვის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დადგენა, სხვა კაპიტალური საზოგადოებების მსგავსად, იმითაა განპირობებული, რომ იგი კაპიტალთა გაერთიანების საფუძველზეა შექმნილი და თავისი პარტნიორებისაგან განსხვავებით, მან დამოუკიდებლად უნდა აგოს პასუხი საზოგადოების ყველა ვალდებულებაზე. ამისათვის კი აუცილებელია ქონების

---

<sup>1</sup> Кашанина Т.В., Хозяйственные товарищества и общества; Правовое регулирование внутрифирменной деятельности. М., 1995, стр. 48-51.

<sup>2</sup> Ломакин Д.В., Акционерный и уставный капитал: соотношение понятий по действующему законодательству. Ж., „Право и экономика“, 1996, №15-16, стр. 6.

<sup>3</sup> ლადო ჭანტურია, თეოდორე ნინიძე, შეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ., 1996, გვ. 41.

რაღაც ნაწილის, თუნდაც მინიმალურის, ცალკე ფონდის სახით არსებობა. იგი სააქციო საზოგადოებას თავის მომავალ კონტრაგენტებთან გარანტირებული ურთიერთობის შესაძლებლობას უქმნის. 1999 წლის 1 სექტემბრიდან სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 15000 ლარის ოდენობით. სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს საწესდებო კაპიტალის ის ოდენობაც, რომელიც კანონით დადგენილ მინიმუმს აღემატება. კანონი საწესდებო კაპიტალის მაქსიმუმს არ განსაზღვრავს. მინიმუმზე მეტი ოდენობით საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა დამფუძნებლებზეა ძირითადად დამოკიდებული<sup>1</sup>. მინიმალურზე მეტი ოდენობის საწესდებო კაპიტალი სააქციო საზოგადოებისადმი ჩვეულებრივზე მეტი ნდობის საწინდარია. დამფუძნებელთა ნების გარდა, საწესდებო კაპიტალის მინიმალურზე მეტი ოდენობით განსაზღვრა შესაძლებელია განპირობებული იყოს სააქციო საზოგადოების მომავალი საქმიანობის რომელიმე სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობით. ასეთ სფეროს მიეკუთვნება, მაგალითად, საბანკო საქმიანობა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1997 წლის 31 იანვრის ბრძანებით, დაადგინა კომერციული ბანკებისათვის საწესდებო კაპიტალის უფრო მეტი ოდენობა, ვიდრე კანონითაა განსაზღვრული. ახლად შექმნილი კომერციული ბანკებისათვის მისი ოდენობა განისაზღვრება 5 მილიონი ლარით, ხოლო ადრე შექმნილი ბანკებისათვის, საწესდებო კაპიტალის გაზრდა აღნიშნული ოდენობით განისაზღვრა 2001 წლის დასაწყისამდე. ამ პირობათა შეუსრულებლობა საფუძვლად დაედება საბანკო საქმიანობის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიების გაუცემლობას ან უკვე გაცემული ლიცენზიების ჩამორთმევასა და საბანკო საქმიანობის შეწყვეტას. ეროვნული ბანკისათვის აღნიშნული უფლების მიცემა, კომერციული ბანკების სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირება, აგრეთვე მათი საერთაშორისო საბანკო ნორმებთან მიახლოება ქვეყნის ეკონომიკური ამოცანებითაა გან-

<sup>1</sup> გიორგი ბერიშვილი, პარლამენტის წევრი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000, გვ. 203.

პირობებული. შესაძლებელია მსგავსი რამ სხვა სფეროებშიც იქნეს გათვალისწინებული.

ყველა შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც კანონით ან უფლებამოსილი სტრუქტურის ნორმატიული აქტითაა დადგენილი. სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების პერიოდში საწესდებო კაპიტალი არ შეიძლება შემცირდეს დადგენილ ოდენობაზე დაბლა. ასეთი შემთხვევა შეიძლება საფუძვლად დაედოს რომელიმე პარტნიორის ან დაინტერესებული მესამე პირის მიერ სარჩელის შეტანას სასამართლოში და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციას. ამგვარად, საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს სააქციო საზოგადოების საქმიანობის საწყის და წესდებით განსაზღვრულ ძირითად მატერიალურ საფუძველს, რომლის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით.

მეწარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად, ხოლო აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი არის საზოგადოების დამფუძნებელთა მიერ აქციების საფასურად შეტანილი სახსრების ერთობლიობა. საწესდებო კაპიტალის გაყოფა განსაზღვრული ოდენობის აქციათა ოდენობაზე სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „ინტელექტ-ბანკის“ წესდებაში აღნიშნულია, რომ ბანკის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,036062 ლარს და 2001 წლისათვის იგი შეესებულ იქნება 500 000 ლარამდე; ამასთან, მთელი საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 5000 ჩვეულებრივ აქციად და თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 ლარს. სააქციო საზოგადოება „თბილკრედიტბანკის“ 1996 წლის წესდებაში კი

აღნიშნულია, რომ ბანკის საწესდებო კაპიტალი 1996 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1.500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც დაყოფილია 150 ჩვეულებრივ აქციად, თითოეული – 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ნომინალური ღირებულებით. სააქციო საზოგადოება „თბილთამბაქოში“ აქციათა ოდენობა საწესდებო კაპიტალის გამომხატველი ვალუტის მინიმალური ერთეულის ღირებულების ოდენობით განისაზღვრა (520 276 აშშ დოლარი – 1 აქცია 1 აშშ დოლარი). აქციათა ოდენობასა და, აქედან გამომდინარე, მის ღირებულებას განსაზღვრავს თვით სააქციო საზოგადოება და იგი აუცილებლად უნდა აისახოს წესდებაში. აქციათა პაკეტის ოდენობაზე ფაქტობრივად დამოკიდებულია არა მარტო აქციის მფლობელ პარტნიორთა სააქციო საზოგადოებაზე ზემოქმედების ხარისხი, არამედ თვით სააქციო საზოგადოების სტატუსიც. სწორედ აქციათა ოდენობა ედება საფუძვლად სააქციო საზოგადოების ძირითად თუ შვილობილ საზოგადოებად აღიარებას<sup>1</sup>.

### *ა) საწესდებო კაპიტალის ფულადი შესატანები*

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი აქციათა ღირებულების შესაბამისი თანხაა. პარტნიორს საზოგადოებაში შეაქვს იმ აქციათა ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხა, რომელიც მას ერგება. ამიტომ მისი წილი საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება შეძენილ აქციათა ღირებულებით. იგი შეიძლება გამოიხატოს პროცენტებში. ის ფაქტი, რომ პარტნიორები თავიანთი შენატანებით ქმნიან საწესდებო კაპიტალს, არ ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს ქონება პარტნიორების საკუთრებაა. პარტნიორთა შენატანები საზოგადოების საკუთრებაა<sup>2</sup>. ესაა სწორედ ის მატერიალური ბაზა, რომელიც საზოგადოებას აძლევს იურიდიული

<sup>1</sup> С.Д. Могилевский, Акционерные общества. М., 1999, стр. 73.

<sup>2</sup> Я.И. Функ, В.А. Михалченко, В.В. Хвалей. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999, стр. 13.



პირის სტატუსს. პარტნიორთა შენატანები სააქციო საზოგადოების საკუთრებად იქცევა მისი რეგისტრაციის მომენტიდან. პარტნიორს სანაცვლოდ წარმოეშობა თავისი წილის შესაბამისი უფლებამოვალეობა სააქციო საზოგადოებისადმი. თითოეულ პარტნიორს, რადგან აქციათა რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეთ, ბუნებრივია, მათი წილიც საწესდებო კაპიტალში სხვადასხვა უნდა იყოს. თითოეულ პარტნიორს საზოგადოებაში აქვს იმდენი ხმა, რამდენიც მისი წილის პროცენტია. შესაძლებელია აგრეთვე აქციათა რაოდენობის მიხედვით განისაზღვროს აქციონერის ხმათა საკითხი. მაგალითად, „ინტელექტბანკის“ წესდებით განსაზღვრულია, რომ „ჩვეულებრივი აქციების უმცირესი ნომინალური ღირებულება უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, ერთ ხმას საერთო კრებაზე“. ასეთი დებულება სავსებით შეესაბამება მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციათა რაოდენობის მიხედვით წილის განსაზღვრა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში და აქციონერთათვის ხმების შესაბამისი ოდენობის დადგენა გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე წილის პროცენტებში განსაზღვრა და მათ შესაბამისად ხმების ოდენობის დადგენა. ყოველ შემთხვევაში, ხმათა რაოდენობა არ არის დამოკიდებული აქციონერთა რაოდენობაზე<sup>1</sup>. საბოლოოდ, აქციები საზოგადოების დამფუძნებლებს შორის ნაწილდება საწესდებო კაპიტალში მათი შენატანების შესაბამისი წილის მიხედვით. აქციონერს მიღებულ აქციაზე წარმოეშობა საკუთრების უფლება, რაც დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით. კანონის შესაბამისად აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერთიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ანდა სხვა დოკუმენტი. მაგალითად, „ინტელექტბანკის“ წესდებით განსაზღვრულია, რომ

<sup>1</sup> ბესარიონ ზოიძე, აქცია და სააქციო საკუთრების უფლება. თ. „ეზოვრება და სამართალი“, 1998, №3, გვ. 6.

აქციის ფორმა ჩანაწერია სააქციო საზოგადოების წიგნში, რომლიდანაც აქციონერებს მიეცემათ ნოტარიალურად დამოწმებული ამონაწერი. მეწარმეთა კანონში 1999 წლის სექტემბრიდან შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, „იმ საწარმოთა აქციების გაცემა, რომლის რეესტრსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ხდება შესაბამისი კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხორციელდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და აქციის სერთიფიკატზე ინდოსამენტიით. თუ სერთიფიკატი გაცემული არ არის, მაშინ საჭიროა აგრეთვე სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება“. რადგან სააქციო საზოგადოება თავის განკერძოებული ქონებით დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტს წარმოადგენს და აქციონერებიც საკუთრების უფლებით არ სარგებლობენ თავიანთ შენატანებზე, კრედიტორთა წინაშე მათი პასუხისმგებლობაც გამოიჯნულია. მეწარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით, სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

საზოგადოებას ჩვეულებრივ აქციებთან ერთად უფლება აქვს გაავრცელოს პრივილეგირებული აქციებიც. უმეტესად ასეთი აქციების ნომინალი არ ემთხვევა ჩვეულებრივი აქციების ნომინალს. ამასთან, პრივილეგირებული აქციების ნომინალური ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საწესდებო კაპიტალის განსაზღვრულ ოდენობას.

აქციის პრივილეგირებულობა, უპირველეს ყოვლისა, ლიკვიდირებული საზოგადოების ქონებიდან წილის უპირატესად მიღების შესაძლებლობასა და გაზრდილ დივიდენდებში ვლინდება. პრივილეგირებული აქციები, ჩვეულებრივ, არ იძლევა ხმის უფლებას საერთო კრებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა წესდება ან ასეთ

აქციათა ემისიის პროსპექტი ანუ წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება, ითვალისწინებს ერთ პრივილეგიურულ აქციაზე ერთი ხმის მინიჭებას ასეთ აქციაზე დივიდენდების გაუცემლობისას.

თუ პრივილეგიურული აქციის მფლობელი არ გამოიყენებს მისთვის მიკუთვნებულ შეღავათებს, მაშინ ასეთი აქცია გადაიქცევა ჩვეულებრივ აქციად და მიიღებს ამ უკანასკნელის სტატუსს.

აქციების ღირებულების გადახდა, ძირითადად, ფულადი ფორმით ხდება. ამასთან, საწესდებო კაპიტალში სახსრების შეტანა შესაძლებელია არაფულადი სახით. აქ იგულისხმება არა მარტო ნივთები და ქონებრივი უფლებები, არამედ სხვა უფლებებიც, რომელთაც ფულადი შეფასების შესაძლებლობა გააჩნიათ. საზოგადოების დამფუძნებლებს შეუძლიათ წესდებით განსაზღვრონ, რომ საწესდებო კაპიტალის ფორმირება მოხდეს მხოლოდ ფულადი ფორმით ან ფულთან ერთად სხვა ქონებითა და ფასეულობებით. თითოეული დამფუძნებელი საწესდებო კაპიტალში შესატანის რომელ ფორმას მისცემს უპირატესობას, ეს დამფუძნებელთა კრების ოქმში უნდა აისახოს. ამის ასახვა წესდებაში არაა მიზანშეწონილი, რადგან, საბოლოო ჯამში, რა ფორმითაც არ უნდა იქნეს განხორციელებული პარტნიორთა შესატანი, იგი მაინც ფულადი ფორმით უნდა დაფიქსირდეს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ დამფუძნებელთა კრების ოქმში აისახოს ერთ-ერთი პარტნიორის შესატანად თავისი აგარაკი. აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია აგარაკი ჩადოს საწესდებო კაპიტალში, ხოლო წესდებაში შესატანის ოდენობად აისახება აგარაკის ღირებულება.

ფულადი სახის შესატანი შეიძლება ნებისმიერი ვალუტის სახით იყოს წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წესდებასა და საბუღალტრო წიგნებში იგი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა გამოიხატოს. ასევე აუცილებელია ეროვნულ ვალუტაში იმ ნივთებისა და სხვა ფასეულობათა ღირებულების გამოხატვა, რომლებიც საწესდებო კაპიტალის შემადგენელ ნაწილად უნდა

იქცეს. არაფულადი ფორმით განხორციელებულ შესატანებში, ძირითადად შედის მოძრავი და უძრავი ნივთები, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები, საავტორო უფლებები, „ნოუ-ჰაუ“, უფლება გამოგონებაზე, უფლება სამრეწველო საკუთრების სხვადასხვა სახეებზე (საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი და სხვა). დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებისა და სხვა არამატერიალური სიკეთის საწესდებო კაპიტალში შეტანა, რადგან არ შეიძლება, ჯერ ერთი, მათი სხვისთვის გადაცემა და მეორეც, ფულადი ღირებულებით გამოხატვა. საწესდებო კაპიტალისთვის კი ნიშანდობლივია ცალკეულ შესატანთა კომერციული ღირებულების განსაზღვრა. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ნორმატიული აქტებით ზუსტად განისაზღვროს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანების კონკრეტული ფორმები. მაგალითად, საინვესტიციო ფონდის საწესდებო კაპიტალის ფორმირება ფულით, ფასიანი ქაღალდებითა და უძრავი ქონებით უფრო სტაბილურს ზღის საწესდებო კაპიტალის ხასიათს, მით უმეტეს, თუ მასში უძრავი ქონების წილი განსაზღვრულ პროცენტზე მეტი არ იქნება. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია სააქციო საზოგადოებათა განსაზღვრული ნაწილის ფუნქციონალური დანიშნულებით.

### *ბ) არაფულადი შესატანები*

იმ შემთხვევებში, როცა საწესდებო კაპიტალში ფულად ფორმასთან ერთად შესატანი არაფულადი ფორმითაც შედის, მისი ფულადი ღირებულების გამოანგარიშება დიდ მნიშვნელობას იძენს. არაფულადი სახის შესატანის შეფასება ძირითადად ხორციელდება ექსპერტ-აუდიტორის მიერ, რომლის საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონის მოთხოვნებს. მსგავს შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა აუცილებელი ინგრედიენტია სააქციო საზოგადოების რეგისტრაციისათვის.

არაფულადი ხასიათის შესატანებიდან აუდიტორისათვის შედარებით ადვილი განსასაზღვრია მატერიალური ქონების შეფასე-

ბა. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა ფულადი ღირებულების განსაზღვრა. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა საბაზრო ღირებულება გააჩნია თითოეულ მათგანს და რამდენად მნიშვნელოვანია იგი სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებისა და რენტაბელობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად. აუდიტორული შეფასების სავალდებულობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების დამფუძნებლებს არ ჰქონდეთ თვით აუდიტორის შერჩევის შესაძლებლობა. დამფუძნებლები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეარჩევენ რა კონკრეტულ ექსპერტ-აუდიტორს, გადაწყვეტენ მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობისათვის რომელიმე დამფუძნებლის ჩართვის საკითხს, რაც დამფუძნებელთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს. სააუდიტორო ხელშეკრულებაში სამუშაოს შესრულების ვადა, მისი ღირებულება, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საკითხები აისახება იმ წესების მიხედვით, რომელიც აუდიტორული საქმიანობის შესახებ კანონითაა დადგენილი. საბოლოოდ აუდიტორი ადგენს დასკვნას არაფულადი ფორმის შესატანის ღირებულების შესახებ, რაც ამა თუ იმ ობიექტის საბოლოო შეფასებაა. თუმცა არ არის გამორიცხული ისიც, რომ საზოგადოების რეგისტრაციამდე საწესდებო შესატანის ობიექტის ღირებულება შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მისი ხელახალი შეფასება. იგი საწესდებო კაპიტალში შევა იმ ღირებულების მიხედვით, რაც აისახა აუდიტორის არაფულადი შესატანის შეფასების შესახებ დასკვნაში<sup>1</sup>. ისეთ შემთხვევებში, როცა ობიექტის აუდიტორული შეფასებიდან საზოგადოების რეგისტრაციამდე საკმაოდ დიდი დრო გადის, შესაძლებელია დამფუძნებელთა შეთანხმებით თავიდან განხორციელდეს არაფულადი შესატანის შეფასება. ეს გამართლებული-

<sup>1</sup> დ. მიძიგური, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997, გვ. 84.

ცაა კონკრეტული ობიექტის ღირებულების არსებითად არა მართო გაზრდის, არამედ შემცირების შემთხვევაშიც. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია როგორც საზოგადოების, ისე მისი დამფუძნებლების ინტერესებით. არაფულადი შესატანის განმეორებით შეფასების შესახებ აუცილებლად უნდა აღინიშნოს დამფუძნებელთა კრების ოქმში.

ისეთ შემთხვევებში, როცა არაფულადი შესატანის შესახებ აუდიტორულ დასკვნაში მისი ღირებულება უფრო ნაკლები თანხითაა განსაზღვრული, ვიდრე პარტნიორის შესაბამისი წილია, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია შესატანი ფულით გაზარდოს იმ ოდენობამდე, რაც საზოგადოების წესდებაშია ფიქსირებული. არაფულადი შესატანის ღირებულების ოდენობა თუ პარტნიორის წილს გადააჭარბებს, მაშინ ზედმეტი თანხა მეწარმეთა კანონის საფუძველზე მას უკან არ დაუბრუნდება. ისეთი სახის არაფულადი შესატანის, როგორიცაა: საავტორო უფლება, გამოგონებაზე უფლება, „ნოუ-ჰაუ“, და სხვა, შეტანა საწესდებო კაპიტალში ნიშნავს საზოგადოებისათვის ნაწარმოების გამოცემის, საჯარო შესრულების, კომერციულ საიდუმლოებათა გამოყენებისა და სხვა უფლებათა გადაცემას. აღნიშნულ შემთხვევებში ავტორი ინარჩუნებს ავტორობის უფლებას. ბუნებრივია, აღნიშნული სახის შესატანის ფულადი ღირებულებით განსაზღვრა ძალზე ძნელია და საზოგადოების ფუნქციონირების პროცესში შეიძლება განსაზღვრული სირთულეებიც წარმოშვას საზოგადოებასა და დამფუძნებელ პარტნიორებს შორის.

ამ მხრივ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია თუ არა არაფულადი შესატანის სახით საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნეს მომსახურების გაწევა ანდა ცოდნისა და გამოცდილების ერთობლიობა. სირთულე ძირითადად იმასთანაა დაკავშირებული, რომ ასეთ ობიექტთა ერთდროულად შეტანა შეუძლებელია. საზოგადოებას ასეთი შესატანებით სარგებლობა შეუძლია ფუნქციონირების პერიოდში – განსაზღვრული დროის მონაკვეთში. გარდა ამისა, აღსანიშნავია

ისიც, რომ საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ასეთი შესატანებით არარეალურად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული გარემოება დაელო საფუძვლად ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ „მომსახურების გაწევა“, აგრეთვე „ცოდნისა და გამოცდილების ერთობლიობა“ არ შეიძლება შეტანილ იქნეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში.<sup>1</sup> ასეთი პოზიცია ძირითადად რუსულ ლიტერატურაშია გამოთქმული. საქართველოში დასავლეთის ქვეყნების სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, მომსახურების გაწევა არ არის მიჩნეული საწესდებო კაპიტალის შესატანად, თავისი სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარე<sup>2</sup>. თუმცა ქართულ ლიტერატურაში საპირისპირო აზრიცაა გამოთქმული, რომლის მიხედვითაც მომსახურების გაწევა და ცოდნა-გამოცდილებაც ქონების ნაირსახეობას წარმოადგენს და მისი სამართლებრივი რეჟიმი უნდა გაუთანაბრდეს შესატანს, რომელიც მატერიალური ქონების სახითაა განხორციელებული<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი მართლვად გადასაწყვეტი არ არის. ცალსახად კი არც ერთი მოსაზრების გაზიარება არ შეიძლება. საზოგადოების დაფუძნებისას არ უნდა იქნეს აკრძალული აღნიშნული ობიექტების საწესდებო კაპიტალში შეტანა. კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი აუცილებლად უნდა იქნეს ჩათვლილი იმ არაფულად შესატანებში, რომელთა შეტანაც დამფუძნებლებს ევალებათ თავიანთი წილის შესაბამისად. ორივე შემთხვევაში პრიორიტეტი ეკუთვნით თვით დამფუძნებლებს. თუ ისინი თვლიან, რომ „მომსახურების გაწევა“ და „ცოდნა-გამოცდილება“ დასჭირდება საზოგადოებას, ხელს შეუწყობს მის წარმატებულ ფუნქციონირებას

<sup>1</sup> Организационно-правовые формы коммерческой деятельности в России. Под редакцией В. Куликова. М., 1995, стр. 66.

<sup>2</sup> ლადო ჭანტურია, თულო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ., 1978, გვ. 56.

<sup>3</sup> დ. ბიბიგური, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1997, გვ. 85.

და ასევე ამ ობიექტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც აუდიტორიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, მისაღება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ისინი საწესდებო კაპიტალის შესატანად და ამის შესახებ აღინიშნოს დამფუძნებელთა კრების ოქმში.

### *გ) საწესდებო კაპიტალის შევსების ვადები*

სააქციო საზოგადოების შექმნის მომენტიდან ანუ მისი რეგისტრაციის დროისათვის აქციები გავრცელებულ უნდა იქნეს დამფუძნებლებს შორის, განსაზღვრული უნდა იყოს აგრეთვე პარტნიორთა წილი საწესდებო კაპიტალის შექმნაში. არაა სავალდებულო აქციათა ნომინალური ღირებულების გამოსყიდვა, საწესდებო კაპიტალის შექმნის მიზნით, სრულყოფილად მოხდეს. მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, საზოგადოების რეგისტრაცია მაშინ უნდა განხორციელდეს, თუ დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ნახევარი უკვე შექმნილია. დანარჩენი ნაწილი შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო რეგისტრაციიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში. ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული არ არის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ოდენობით ფორმირება. საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაცია არ შეიძლება, თუ საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული ოდენობის ნახევრამდე არ არის შევსებული. საბოლოოდ, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა და ამ ოდენობაში ნახევრის შეტანის აუცილებლობა საზოგადოების ფუნქციონირების დაწყების საფუძველს წარმოადგენს. მინიმალური მატერიალური ბაზის შექმნა არა მარტო საზოგადოების ფუნქციონირების გარანტირებულობიდან გამომდინარეობს, არამედ კრედიტორთა და თვით სახელმწიფო ხაზინის ინტერესებსაც გამოხატავს.

სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ საწესდებო კაპიტალის შევსებული ნაწილი დამფუძნებლებმა უნდა შეიტანონ წესდებით განსაზღვრულ ვადაში. ეს ვადა შეიძლება ერთ წლამ-



დევ გაგრძელდეს. სხვათა შორის, საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ ზუსტად არ არის განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის შევსების საბოლოო ვადა. ზოგიერთი ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით ასეთი ვადა ზუსტადაა განსაზღვრული. მაგალითად, რუსეთის კანონით სააქციო საზოგადოებათა შესახებ და სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ დარჩენილი შესატანების განხორციელება უნდა მოხდეს პირველი სამეურნეო წლის განმავლობაში. ასეთი პოზიცია დადებითადაა მიჩნეული შესაბამის იურიდიულ ლიტერატურაში<sup>1</sup>. ამ პერიოდში, ძირითადად, ხდება საწესდებო კაპიტალის შევსება ფულადი სახსრებით. არაფულადი შესატანების ფორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული, იშვიათი გამონაკლისების გარდა, რაც წესდებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა მეწარმეთა კანონის დებულება იმის შესახებ, რომ საწესდებო კაპიტალის თავდაპირველი ნაწილის ფორმირებისას არაფულადი შესატანი უნდა შეესაბამებოდეს დამფუძნებლის მთლიან წილს საწესდებო კაპიტალში და არა ამ წილის ნაწილს. ამიტომ, რომ კანონი კრძალავს არაფულადი შესატანის იმ ნაწილის დაბრუნებას დამფუძნებლისათვის, რამაც გადააჭარბა საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობას. ეს ნაწილი მას არამცთუ უბრუნდება აუდიტორის მიერ ჩატარებული შეფასებისას, არამედ იგი მომავალი შესატანების ანგარიშშიც არაა ჩათვლილი. ეს იმიტომ, რომ დამფუძნებელმა ამ დროს მთლიანად გამოისყიდა მისი წილის შესაბამისი აქციები და საწესდებო კაპიტალის წინაშე დავალიანება არ დარჩენია. აქედან გამომდინარე, საწესდებო კაპიტალის შეუვსებელი ნაწილის ფორმირება, ძირითადად, ფულადი შესატანებით უნდა მოხდეს. საწესდებო კაპიტალის შევსება ევალებათ იმ დამფუძნებლებს, რომლებმაც თავიანთი წილის შესაბამის ოდენობის აქციები სრულად არ გამოისყ-

---

<sup>1</sup> Комментарий к федеральному закону об акционерных обществах. Под редакцией Г.С. Шапкина. М., 1996, стр. 64. В.В. Лаптев, Акционерное право. М., 1999, стр. 50.

იღეს სააქციო საზოგადოების წესდების რეგისტრაციამდე ანუ მისი ფუნქციონირების დაწყებამდე.

კომერციული ბანკების მიმართ საწესდებო კაპიტალის შევსების შემცირებული დროა დაწესებული. ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის დღიდან, თუ ერთი თვის განმავლობაში არ მოხდება საწესდებო კაპიტალის შევსება, შეიძლება კომერციული ბანკისათვის მიცემული ლიცენზია უკან იყოს გამოთხოვილი და მისი, როგორც სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი დადგეს. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შედარებით გაზრდილი ზღვარის დაწესება და მისი საბოლოო სრული შევსებისათვის დროის მინიმალური ვადების დადგენა განპირობებულია ბანკის, როგორც საკრედიტო სტრუქტურის საწესდებო ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნის აუცილებლობით.

ისეთ შემთხვევაში, როცა საწესდებო კაპიტალის მეორე ნაწილის შევსება ხდება წესდებით განსაზღვრულ ვადებში, დამფუძნებელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით დადგენილი ღონისძიებანი, თუ ისინი საწესდებო მოთხოვნებს არ შეასრულებენ. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადას, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილოს იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა შეიძლება სულ ცოტა ერთ თვეს შეადგენდეს.

პარტნიორის მიერ თავისი საწესდებო მოვალეობის შეუსრულებლობა, ამ შემთხვევაში, გულისხმობს არა მარტო საწესდებო კაპიტალში იმ ნაწილის შეტანაზე საერთოდ უარის თქმას, რომელიც მას საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ დაეკავალა, არამედ ისეთ მდგომარეობასაც, როცა პარტნიორმა დაიწყო შესატანების მეორე ნაწილის შეტანა, მაგრამ მის სრულ შევსებამდე შეწყვიტა ეს პროცესი. ორივე შემთხვევაში სახეზეა დამფუძნებელი პარტნიორის მიერ თავისი საწესდებო მოვალეობის შეუს-

რულებლობის შემთხვევა. ამიტომ კანონში კატეგორიულადაა მითითებული, რომ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი, რომელმაც გააჭიანურა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ფაქტობრივად, ასეთი პარტნიორი საზოგადოებიდან გარიცხულად ითვლება. მისი გარიცხვის ფაქტი საზოგადოების საერთო კრებაზე უნდა გაფორმდეს. შესატანის შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებლობა სოლიდარულად ეკისრებათ დანარჩენ პარტნიორებს. ამ პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება. გარიცხული პარტნიორის შეუსრულებელი შესატანი უნაწილდებათ სხვა პარტნიორებს მათ წილთა პროპორციულად. ეს უკანასკნელნი თავიანთი ახალი წილის შესაბამისად შეიტანენ საწესდებო კაპიტალში ფულად სახსრებს. შესაძლებელია, აგრეთვე ახალი პარტნიორის მიღება და მასზე გარიცხული პარტნიორის მოვალეობათა დაკისრება.

საწესდებო კაპიტალის შესატანები საზოგადოების რეგისტრაციამდე და მის შემდეგაც ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებაში მისთვის გახსნილ ანგარიშზე. ანგარიშის გახსნა კი შესაძლებელია წესდების დამტკიცების მომენტიდან, რომ არაფერი ითქვას, თვით საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციაზე.

## §2. საწესდებო კაპიტალის შეცვლის საფუძვლები

სააქციო საზოგადოება იმით განსხვავდება კერძო სამართლის სხვა კომერციული სუბიექტებისაგან, რომ მისი საწესდებო კაპიტალი დაყოფილია გამოშვებული ნომინალური ღირებულების აქციათა საერთო ოდენობაზე. ამიტომ აქციათა ოდენობა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საწესდებო კაპიტალის მოცულობაზე. გავრცელებული აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი უნდა შეადგენდეს საწესდებო კაპიტალის ოდენობას. აქციის ნომინალური ღირებულების პრინციპი საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი

ზოგიერთ ქვეყანაში არ გამოიყენება. მათ მიეკუთვნება ამერიკა, ბელგია და სხვა. აქციათა ნომინალური ღირებულების პრინციპის ნაცვლად, ზოგიერთ ქვეყანაში აქციის ღირებულება გამოითვლება საწესდებო კაპიტალის ნაწილის მიხედვით, რასაც კვოტური აქციები ეწოდება ან საწესდებო კაპიტალის მიუხედავად, ანუ ცალობითი აქციების სახით. ქართულმა კანონმა აირჩია ნომინალური ღირებულების პრინციპი, რომელიც ყველაზე მეტად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში<sup>1</sup>.

აქციის გაყიდვა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში ხელს უშლის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეუფერხებელ და სრულყოფილ ფორმირებას. ამიტომ ეს შეუძლებლად მიჩნეული. რაც შეეხება აქციის გაყიდვას ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასად, იგი აკრძალული არ არის. თუ აქციები გაიყიდება ნომინალურზე უფრო მაღალი ფასით, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს სააქციო საზოგადოების ქონების საერთო ოდენობის გაზრდას. ასეთ შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი კი მაინც უნდა დარჩეს აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამის შესაბამისი ოდენობის.

### *ა) საწესდებო კაპიტალის გაზრდა*

აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდით მიღებული სახსრები შეადგენენ სააქციო საზოგადოების „სუფთა აქტივებს“. სხვა სახსრებთან ერთად ისინი ქმნიან მინიმალური საწესდებო კაპიტალზე გადამეტების შესაძლებლობას. რაც უფრო მეტია ასეთი აქტივები, საზოგადოებას მით უფრო მეტი რეალური ქონება გააჩნია. სუფთა აქტივებში ჩაირთვება საზოგადოების საბალანსო აქტივები იმ ვალდებულებათა გამოქვეითვით, რომლებიც კრედიტორთა წინაშე გააჩნია მას. ამიტომ სუფთა აქტივებისა და საწესდებო კაპიტალის ოდენობათა შეპირისპირებით, შესაძლებელი ხდება საზოგადოებისათვის სახსრების იმ აუცილებელი ოდენობით შე-

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ., 1996. გვ. 243.

ნარჩუნება, რაც საწესდებო კაპიტალითაა გათვალისწინებული. თუ საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება და, საწესდებო კაპიტალის გარდა, სხვა სახსრების შემოსულობა სტაბილურ ხასიათს ატარებს, ბუნებრივია, სუფთა აქტივები საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე მაღალი იქნება და ამ უკანასკნელის გაზრდის ფორმალური საფუძველი წარმოიშობა. მაგრამ თუ სუფთა აქტივების ოდენობა განსაზღვრული დროის მანძილზე ვერ აღემატება საწესდებო კაპიტალის დადგენილ ოდენობას, მაშინ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება საწესდებო კაპიტალის შემცირების საკითხი. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა მაშინ, თუ სუფთა აქტივები საწესდებო კაპიტალის კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე დაბლა ჩამოვა. ასეთ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს.

კანონით ნებადართულია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება. მაგრამ ორივე შემთხვევისათვის გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს საზოგადოების წესდებაში<sup>1</sup>. ყოველგვარი ცვლილება წესდებაში სააქციო საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციაში შედის. მაგრამ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ღირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, თუკი ასეთი უფლების მინიჭება მათთვის გათვალისწინებულია წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდის გზით საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობა მეწარმეთა შესახებ კანონითაცაა გათვალისწინებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წესდებაში არ შევიდეს შესაბამისი ცვლილება. კანონის მიერ უფლების მინიჭება აქციონერთა ნება-სურვილით უნდა იყოს განმტკიცებული, რადგან საბოლოოდ მათზეა დამოკიდებული ნებისმიერი უფლების გამოყენება. ნომინალურია ის

<sup>1</sup> გიორგი ბერიშვილი, პარლამენტის წევრი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000. გვ. 203.

ღირებულება, რომლითაც გაიქცა აქცია და დარეგისტრირდა საზოგადოების წიგნში. აქციის ნომინალური ღირებულება და მისი რეალური ანუ საბაზრო ღირებულება შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. მაგალითად, 100 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია საბაზრო ფასით 500 ლარად შეიძლება გაიყიდოს. ამ შემთხვევაში, 500 ლარი აქციის საბაზრო ფასი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მფლობელმა აქცია გაცილებით უფრო ძვირად იყიდა, ვიდრე მისი ნომინალური ღირებულებაა, ეს გარემოება მას ძველ მფლობელთან შედარებით რაიმე უპირატესობას არ ანიჭებს. აქციის ნომინალური ღირებულების გაზრდაც არ აძლევს მის მფლობელს რაიმე უპირატესობას სხვებთან შედარებით, რადგან სხვა აქციონერებიც იმავე პირობებით შეიძენენ აქციებს. აღრიზდელ ფასთან შედარებით ახალი, გაზრდილი ფასით აქციების გაგრეკლებისას მიღებული ნამატი თანხა მიემატება საზოგადოების სუფთა აქტივებს, რაც თავისთავად საწესდებო კაპიტალის გაზრდის საფუძველი გახდება. ეს ღებულება სრულად შეესაბამება მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომელშიც აღნიშნულია: „საზოგადოების მიერ აქციები და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები გაცივება, სულ მცირე ნომინალურ თანხად. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცივების შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცივების ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა მიემატება სარეზერვო ფონდს. იგივე წესი მოქმედებს, შესაბამისად, არაფულადი შესატანის დროსაც, რომლის ღირებულება აღემატება ნომინალურ ღირებულებას“.

საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგი გზაა საწესდებო კაპიტალში დამატებითი შესატანების განხორციელება. მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. ასეთ შემთხვევებში სააქციო საზოგადოება უშვებს ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული პირობების არსებობისას, შეი-

ძლება გარდაიქმნეს აქციებად. ასეთ ქალაქებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ობლიგაცია. მასში შეიძლება აისახოს სესხის სხვადასხვა ფორმა, რომელიც მის აქციად გარდაქმნის შესაძლებლობას შეიცავდეს. საზოგადოებისათვის სესხად მიცემული ფულადი სახსრები, რომლებიც ობლიგაციური ფორმით არის გამოხატული, გამსესხებელს უფლებას აძლევს საზოგადოებას დასაბრუნებელი სესხის სანაცვლოდ მოსთხოვოს აქცია და თვითონ აქციონერი გახდეს. ფასიანი ქალაქის აქციად გარდაქმნის პირობები შეიძლება აღნიშნულ იქნეს თვით ფასიან ქალაქზე ან რეგისტრირებულ იქნეს საზოგადოების წიგნში. აქვე უნდა აღინიშნოს, თუ ვინ არიან ფასიანი ქალაქების მფლობელები და რა კონკრეტული უფლება-მოვალეობანი გააჩნიათ მათ. რუსული სააქციო კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა დამატებითი აქციების გამოშვება. ასეთი უფლება წესდებით უნდა იყოს გათვალისწინებული ან აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს<sup>1</sup>. უფლების შინაარსში წინასწარ განისაზღვრება ის, თუ საზოგადოებას რა რაოდენობით შეუძლია გამოუშვას დამატებითი აქციები, რა ფასად უნდა გაიყიდოს და მისი ღირებულების სრული დაფარვა რა ვადებში უნდა მოხდეს. დამატებითი აქციები, რომელთა ღირებულების გადახდა ფულით უნდა განხორციელდეს, ვრცელდება მათი შექმნისას ნომინალური ღირებულების არანაკლებ 25%-ის გადახდის პირობით. როცა დამატებითი აქციის შექმნა ხდება არაფულადი ფორმით, მაშინ იმ ქონების ფულადი შეფასება, რომელიც აქციის შესაძენად უნდა იქნეს შეტანილი, განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო ან ღირექტორთა საბჭოს მიერ მათი საბაზრო ღირებულების მხედველობაში მიღებით. დამატებითი აქციების სრული ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს მისი გავრცელების პირობებით გათვალისწინებულ ვადებში. საბოლოოდ, ასეთი ვადა არ უნდა გადასცდეს ერთწლიან პერიოდს აქციის შექმნის მომენტიდან. დამატე-

<sup>1</sup> С.Д. Могилевский, Акционерные общества. М., 1999, стр. 77.

ბითი აქციები მის მფლობელებს ხმის უფლებას არ აძლევს მანამ, სანამ მთლიანად არ იქნება შეტანილი აქციის სრული ღირებულება. საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირგასამტეხლოს დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დადგენილ ვადაში არ დაფარავენ აქციის ღირებულებას. საზოგადოების დამფუძნებლებს ეკუთვნით დამატებითი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება.

ღირექტორთა საბჭო ვალდებულია განსაზღვრულ დროში აცნობოს სარეგისტრაციო ორგანოს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საზოგადოების წესდებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები. ასევე უნდა იქნეს ინფორმირებული სარეგისტრაციო ორგანო იმის შესახებ, თუ როდის მთავრდება ახალი აქციების გამოშვება და განთავსება, რადგან აქციათა გამოშვების შესახებ, საბოლოო ანგარიშში ზუსტად უნდა აისახოს საწესდებო კაპიტალის შექმნაში საზოგადოების აქციათა რა ნაწილია ჩართული.

დამატებითი ვალდებულებებია შესასრულებელი კომერციული ბანკების მიერ თავიანთი საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან მით უმეტეს, შემცირების შემთხვევებში. ეროვნული ბანკი საწესდებო კაპიტალის ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს. უფრო მეტიც, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 1996 წლის 21 მარტის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და, რაც მთავარია, არც ერთ ბანკს არ აძლევს უფლებას შეამციროს თავის საწესდებო კაპიტალი აქციების უკუგამოსყიდვის ან სარეზერვო აქტივების განთავსების გზით საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საკანონმდებლო აქტების კრებული. პასუხისმგებელი გამოცემაზე - ავთანდილ დემეტრაძე-ჯილი, თბ., 1998, გვ. 390.



იგივე შეიძლება ითქვას კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვების გზით გაზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ, თუ ეროვნული ბანკის ასეთი ნებართვა არ არის სახეზე, მაშინ კომერციული ბანკის, როგორც სააქციო საზოგადოების, ყველა ოპერაცია უნდა გაბათილდეს.

### ბ) საწესდებო კაპიტალის შემცირება

განსაზღვრულ სირთულეებთანაა დაკავშირებული საწესდებო კაპიტალის შემცირება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციაში შედის. საწესდებო კაპიტალის შემცირება შესაძლებელია ორი გზით: აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებისა და აქციების უკუგამოსყიდვის საშუალებით<sup>1</sup>. ორივე შემთხვევაში კაპიტალის შემცირების შესაძლებლობა წესდებაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

ნომინალური ღირებულების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ აქციათა მიმართ, რომლებიც უკვე გავრცელებულია აქციონერებს შორის. საერთო კრებას უფლება აქვს ნებისმიერი სახის გავრცელებული აქციის ნომინალური ღირებულება შეამციროს. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ნომინალური ღირებულების შემცირება ერთნაირად ეხება ერთი და იმავე სახის ყველა აქციას.

პრივილეგირებული აქციის მფლობელები, რომლებსაც დივიდენდების ოდენობა განესაზღვრებათ აქციათა ნომინალთან პროცენტული თანაფარდობით, უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ასეთი აქციების ნომინალური ღირებულების შემცირების შესახებ საკითხის საერთო კრებაზე განხილვისას. ამასთან, ის აქციონერები, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ საკითხის გადაწყვეტაში ან საწესდებო კაპიტალის ამ გზით შემცირების წინააღმდეგი იყვნენ, უფლებას იძენენ (რა თქმა უნდა, საწეს-

<sup>1</sup> Гражданское право. Учебник, том I, Под редакцией А.П. Сергеева и Ю.К. Толстого. М., 2000, стр. 157.

დებო კაპიტალის შემცირების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში) სააქციო საზოგადოებისაგან მოითხოვონ თავიანთი კუთვნილი აქციების შესყიდვა. ასეთი უფლება მართო პრივილეგირებული აქციის მფლობელს ეკუთვნის, რადგან მისი სტატუსი განსხვავებულია სხვა აქციონერებისაგან და მისი უფლების დაცვა ამის გამო ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ლოგიკურად შეიძლება დაიბადოს კითხვა: განა აუცილებელი არ არის ჩვეულებრივი აქციის მფლობელთა ინტერესების დაცვა. რა თქმა უნდა, კანონში მეწარმეთა შესახებ უნდა არსებობდეს მათი ინტერესების დამცავი მექანიზმი. 1999 წლის 1 სექტემბრიდან ასეთი მექანიზმი ამოქმედდა. მეწარმეთა შესახებ კანონს დაემატა 53<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს. იგივე შედეგი შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა აქციონერი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის ან ქონების გასხვისების შესახებ. აღნიშნული მუხლის ეს ზოგადი დებულება ვრცელდება ნებისმიერი სახის აქციის მფლობელზე.

აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირება შესაძლებელია იმ დონემდე, რაც საწესდებო კაპიტალს განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე დაბლა არ დასწევს. ეს მოთხოვნა ვრცელდება საწესდებო კაპიტალის შემცირების მეორე საშუალების მიმართაც. საზოგადოების მიერ აქციონერებისაგან აქციების უკუგამოსყიდვა შესაძლებელია იმ ოდენობით, რაც თავსდება საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას აღმატებულ სახსრებში. სააქციო საზოგადოების მიერ თავისივე აქციების შეძენა ან უკუგამოსყიდვა შინაარსით განსხვავდება აქციათა ისეთი გამოსყიდვისაგან, რომელიც აქციონერის მოთხოვნით ხორციელდება. პირველ შემთხვევაში, საზოგადოება თვითონ დებულობს გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ უკვე გავრცელებ-

ბული აქციების ნაწილის გამოსყიდვის გზით, მაშინ, როცა მეორე შემთხვევაში, აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოებას, დაიბრუნოს თავისი აქციები და გადაიხადოს მათი ღირებულება. საზოგადოებას უფლება არა აქვს უარი უთხრას აქციონერს აქციის გამოსყიდვაზე<sup>1</sup>. პირველ შემთხვევაში, თუ აქციათა გამოსყიდვა საწესდებო კაპიტალის შეგნებული შემცირებისკენაა მიმართული, მეორე შემთხვევაში, იგი აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიად გამოდის, ორივე შემთხვევაში სააქციო საზოგადოებამ თავისი ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გაიღოს გამოსასყიდ აქციათა ღირებულების ოდენობით. აქცია გამოსყიდულ უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, იმ შემთხვევების გარდა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო, კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. სააქციო საზოგადოების ინიციატივით გამოსასყიდი აქციების ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთ თვეში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ აქციონერი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას აქციათა ფასის შესახებ, მას შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანიდან ორი კვირის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს.

კანონით ზუსტად არის განსაზღვრული შემთხვევები, როცა აქციათა გამოსყიდვა არ დაიშვება. მეწარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გამოსყიდვა არ შეიძლება თუ: ა) გამოსყიდვის შედეგად საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 15000 ლარზე ნაკლები იქნება; ბ) აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის

---

<sup>1</sup> Федеральный закон „об акционерных обществах“ с постатейными комментариями. Под редакцией О. Никифоровой и В. Фоминого. М., 1996, стр. 153.

25%-ს. თუ გამოსასყიდად შემოთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს კანონითაა განსაზღვრული, მაშინ ისინი გამოსყიდულ უნდა იქნეს სხვადასხვა გამყიდველთაგან პროპორციულ საფუძველზე. თავისი ინტერესების დაცვის მიზნით და აქციონერის ინიციატივით აქციის გამოსყიდვის მოთხოვნაც კანონის მიერ დეტალურადაა რეგულირებული. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ზოგიერთი აქციონერის უფლებების შემლახავი გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი. საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში, აქციონერს უფლება აქვს წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა და საზოგადოებაც ვალდებულია ერთი თვის ვადაში გადაუხადოს აქციონერს აქციათა ღირებულება. აქციონერს არა აქვს უფლება საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა მოსთხოვოს იმ შემთხვევებში, თუ: ა) მის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი. ბ) მან ეს აქციები შეიძინა მას შემდეგ, რაც იმ კრების მოწვევის შესახებ შეატყობინეს, რომელიც მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა.

სააქციო საზოგადოებას აქციების გამოსყიდვა შეუძლია ნებისმიერი სახსრების, მათ შორის ღვივინების საფუძველზეც იმ პირობის დაცვით, რომ საწესდებო კაპიტალის დადგენილი მინიმალური ოდენობა არ უნდა შემცირდეს. კანონში მეწარმეთა შესახებ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ აღნიშნულთაგან რომელი აქციების გამოსყიდვა უნდა მოხდეს უპირატესად. ამ საკითხის გარკვევას სერიოზული იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. შესაძლებელია სააქციო საზოგადოებამ ამა თუ იმ მიზეზების გამო გადაწყვიტოს საწესდებო კაპიტალის შემცირება თავისი აქციონერებისაგან აქციათა განსაზღვრული რაოდენობის გამოსყიდვის გზით. ამასთან, აქციონერთა ერთმა ნაწილმა შეიძლება თავისი უფლებების შელახვის მოტივით საზოგადოებას მოსთხოვოს თ-

ვიანთი აქციების გამოსყიდვა. რადგან პირველი შემთხვევისათვის გამოსყიდვას სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, თანაც აქციათა გამოსყიდვა საზოგადოების რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს და გამოსასყიდ აქციათა ოდენობას თვითონვე განსაზღვრავს, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოსყიდვა სავალდებულოა და წინასწარ არ არის განსაზღვრული გამოსასყიდ აქციათა რაოდენობა, იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში აქციონერი კრედიტორის როლში გამოდის და მისი მოთხოვნა უპირატესად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული კანონის ფარგლებში. შემდეგ კი შესაძლებელია დარჩენილი ქონების ოდენობის გათვალისწინებით განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის ნებაყოფლობით შესამცირებლად აუცილებელი აქციების გამოსყიდვა. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ეს დებულება აისახოს კანონში მეწარმეთა შესახებ.

აქციების გამოსყიდვის ყველა შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი შესაბამისად მცირდება, ხოლო გამოსყიდული აქციები უქმდება. აქედან გამომდინარე, გამოსყიდული აქციები არ იძლევა ხმის უფლებას და მათზე არ ხდება დივიდენდების დარიცხვა. რადგან აქციათა ღირებულების გადახდა კანონით ზუსტად განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს, იგულისხმება, რომ საწესდებო კაპიტალიც შესაბამისად იმავე ვადაში შემცირდება.

როგორც აღინიშნა, საწესდებო კაპიტალის გაზრდაცა და შემცირებაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით და, ამასთან, შესაბამისი ცვლილებები შევა მასში.

სააქციო საზოგადოების წევრისათვის გამოსყიდული აქციების საფასურის მიცემა საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციისა და წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გარეშე, კანონის მოთხოვნათა დარღვევად ითვლება და პარტნიორისაგან იმ სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულებას ეღება საფუძვლად, რომელიც მან უკანონოდ მიიღო საზოგადოებისაგან. ამასთან, ასეთი მოქმედებით წარმოშობილი ზიანისათვის პასუხი უნდა აგონ

სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრებმა, რომელთა არამართლზომიერი ქმედების შედეგია საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. მსგავს შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სააქციო საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომაც აუცილებელია, რომ საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ საზოგადოებამ წერილობითი ფორმით აცნობოს მის კრედიტორებს. თუ ისინი ჩათვლიან, რომ მათი მოთხოვნა სათანადოდ არ არის გარანტირებული, შეუძლიათ საზოგადოებას მოსთხოვონ თავის ვალდებულებათა შეწყვეტა ან ვადამდე შესრულება და ამასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება. სააქციო საზოგადოებამ არა მარტო თავის კრედიტორებს უნდა აცნობოს საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, არამედ სამეწარმეო რეესტრშიც უნდა წარადგინოს სათანადო ცნობა იმის შესახებ, რომ კრედიტორები თავის დროზე იყვნენ ინფორმირებულნი ამის შესახებ. ასეთი წესი სავსებით შეესაბამება როგორც საზოგადოების, ისე მისი კრედიტორების კანონიერ ინტერესებს და არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს საზოგადოების პარტნიორთა უფლებებს, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია<sup>1</sup>. კომერციული ბანკის, როგორც სააქციო საზოგადოების, საწესდებო კაპიტალის შემცირებაც იმავე გზებითა და საშუალებებით ხდება, რითაც სხვა საზოგადოებების, ერთი თავისებურების გათვალისწინებით, კერძოდ, კომერციული ბანკის მიერ აქციონერებისაგან აქციების გამოსყიდვა უნდა მოხდეს ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ამკარა წინააღმდეგობაშია მეწარმეთა შესახებ კანონში დამატებით შეტანილი 53<sup>1</sup>-ე პირველ ნაწილთან, რომლის მიხედვითაც აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა კანონით გათვალ-

<sup>1</sup> დ. ძიძიგური, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997. გვ. 96.

ისწინებულ შემთხვევებში, ე.ი. საზოგადოება, ერთი მხრივ, ვალდებულია აქციონერისაგან გამოისყიდოს აქციები, ხოლო, მეორე მხრივ კი — გამოსყიდვა შეუძლებელია, თუ ეროვნული ბანკის თანხმობა არ არსებობს. მართალია, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში, ძირითადად, მითითებულია აქციათა ისეთი გამოსყიდვაზე, რომელიც ბანკის ინიციატივით უნდა მოხდეს საწესდებო კაპიტალის წინასწარ განსაზღვრული ოდენობით შემცირების მიზნით, მაგრამ საწესდებო კაპიტალის შემცირება მაშინაც ხომ ხდება, როცა აქციონერის მოთხოვნით საზოგადოება ვალდებულია და არა უფლებამოსილი გამოისყიდოს აქციები. უკანასკნელ შემთხვევებშიც ვრცელდება აქციათა გამოსყიდვაზე ეროვნული ბანკის თანხმობის აუცილებლობა. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს აქციონერის მხრივ კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე კომერციული ბანკის მიერ აქციათა გამოსყიდვა. ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე ან კომერციული ბანკების აქციონერებს, სხვებისაგან განსხვავებით, არ უნდა მიენიჭოთ საზოგადოებისათვის აქციათა შეფასებისა და სავალდებულო გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და ეს უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

### §3. სააქციო საზოგადოების სარეზერვო და სხვა ფონდები

საწესდებო კაპიტალის გარდა, სააქციო საზოგადოებას გააჩნია ისეთი ქონებაც, რომელიც მის ფუნქციების განსახორციელებლად გამოიყენება. იგი ფაქტობრივად სარეზერვო ქონებას წარმოადგენს. მისი დანაწილება ცალკეულ ფონდებად საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში კი სარეზერვო და სხვა ფონდების შექმნა დეტალურადაა მოწესრიგებული. ამ მხრივ, ძირითადად, რუსეთის სააქციონერო კანონმდებლობაა მხედველობაში მისაღები.

საწესდებო კაპიტალის გარდა, გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოების სხვა ქონებრივი ფონდების შექმნა. მათი არსებობა საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირების მაჩვენებელია. ასეთი

ფონდების სახეები, მათი ოდენობა და მიზნობრივი დანიშნულება გათვალისწინებულ უნდა იქნეს საზოგადოების წესდებაში. თითქმის ყველა სააქციო საზოგადოების წესდებაშია გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ქონებრივი ფონდების შექმნა. ზოგიერთი ფონდის შექმნა კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე სავალდებულო ხასიათს ატარებს. სააქციო საზოგადოებისათვის ასეთია სარეზერვო ფონდი. მისი შექმნა, სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებით, სავალდებულოა მხოლოდ სააქციო საზოგადოებისათვის. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ან სხვას უფლება არ ჰქონდეს შექმნას ამგვარი ფონდი. მათ უფლება აქვთ თავიანთი შეზღუდულებისამებრ გადაწყვიტონ, შექმნან თუ არა სარეზერვო ფონდი. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სააქციო საზოგადოება სამეწარმეო სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტია და მისი საქმიანობის წარმატებებზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა. სწორედ ამიტომაა აუცილებელი სააქციო საზოგადოების სტაბილური ფუნქციონირების გარანტირებულობის ეფექტური მექანიზმის – სარეზერვო ფონდის შექმნა.

სარეზერვო ფონდის ოდენობა საზოგადოების წესდებით განისაზღვრება, მაგრამ იგი საწესდებო კაპიტალის 15%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს<sup>1</sup>. სარეზერვო ფონდის ფორმირების ძირითადი წყაროა საზოგადოების სუფთა მოგება. საზოგადოებამ ყოველწლიურად უნდა გადარიცხოს სარეზერვო ფონდში თავისი სუფთა მოგების ის ნაწილი, რომელიც წესდებით იქნება განსაზღვრული. გადარიცხვა უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ სარეზერვო ფონდი არ შეივსება წესდებით განსაზღვრულ დონემდე. სარეზერვო ფონდის გამოყენება მიზნობრივად ხდება. ძირითადად, მის ხარჯზე ხორციელდება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც საზოგადოებას სამეურნეო საქმიანობის პროცესში მოუხდება. სარეზერვო ფონ-

---

<sup>1</sup> С.Д. Могилевский, Акционерные общества. Комментарий. Практика. Нормативные акты. М., 1999, стр. 308.



დიდან იფარება საზოგადოების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ღირებულება, აგრეთვე აქციონერებისაგან იმ ობლიგაციების გამოსყიდვა, რაც საწესდებო კაპიტალის შემცირების მიზნით ხორციელდება საზოგადოების მიერ ანდა აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს საზოგადოებას ამავე მიზნებისათვის არ შეეძლოს სხვა თავისუფალი სახსრების გამოყენება. პირიქით, როცა ასეთი სახსრები არ გააჩნია საზოგადოებას, მაშინ უნდა გამოიყოს სარეზერვო ფონდი. სხვა დანიშნულებისათვის სარეზერვო ფონდის გამოყენება დაუშვებელია<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოებათა ორგანიზაციაში და ფუნქციონალური დატვირთვის ზრდასთან ერთად იკვეთება სარეზერვო ფონდის მინიმალური ოდენობის ზრდის ტენდენციაც. ეს დადებითი მოვლენაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ სარეზერვო ფონდის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული. სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა სარეზერვო ფონდის ოდენობას დადგენილ მინიმალურზე მეტი თანხით განსაზღვრავს.

სარეზერვო ფონდის გარდა, სხვა ფონდები შეიძლება შეიქმნას საზოგადოების სურვილის მიხედვით, თითოეული ასეთი ფონდი სააქციო საზოგადოების ქონების საერთო შემადგენლობაში შედის. მათ შორის აღსანიშნავია საზოგადოების მუშაკთა აქციონერების ფონდი. მისი ფორმირება უნდა განხორციელდეს წესდებით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში საზოგადოების სუფთა მოგებიდან განსაზღვრული ნაწილის გამოყოფის გზით. მისი გამოყენება შესაძლებელია მუშაკებზე, რათა შეღავათიან პირობებში მიეყიდოთ მათ საზოგადოების აქციები. ასეთი ფონდების ფორმირება უფრო პრაქტიკული და ეფექტური იყო ისეთ სააქციო საზოგადოებებში, რომლებიც იქმნებოდნენ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში. ამჟამად მათ საერთო ხასიათი გააჩნიათ და შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი სახის სააქციო სა-

<sup>1</sup> В.В. Лаптев, Акционерное право, М., 1999, стр. 53.

ზოგადობაში. ამგვარი ფონდის ძირითადი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი მუშაკებისათვის აქციების შეძენაში ხელის შეწყობა დამატებით დაინტერესებას წარმოადგენს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაში. არააქციონერი მუშაკის მატერიალური წახალისება ინდივიდუალური წესით ხდება. ასეთი მუშაკების მიერ საზოგადოების აქციების შეძენა და ისიც შეღავათიან პირობებში, მათი კოლექტიური დაინტერესების, მთელი საზოგადოების წარმატებული საქმიანობისა და დივიდენდების ოდენობის გაზრდის საფუძველი შეიძლება გახდეს.

სააქციო საზოგადოებამ შეიძლება შექმნას ისეთი ფონდიც, რომელიც არ იქნება დაკავშირებული საზოგადოების საქმიანობის აქციონერულ ხასიათთან. ასეთია, მაგალითად, გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი და სხვა ფულადი რეზერვები, რომლებიც საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან იქნება დაკავშირებული.

#### §4. სააქციო საზოგადოების სასესხო კაპიტალი

სააქციო საზოგადოების ქონების ნაირსახეობას წარმოადგენს მისი სასესხო კაპიტალი. მართალია, განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ სასესხო თანხა გამსესხებელს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ, ვიდრე ასეთი კაპიტალი სააქციო საზოგადოების განკარგულებაშია, მას მნიშვნელოვანი მატერიალური ხასიათის დახმარების გაწევა შეუძლია საზოგადოებისათვის. სასესხო კაპიტალი იქმნება საზოგადოების მიერ ობლიგაციების გამოშვებისა და მათი გავრცელების შედეგად. ობლიგაცია ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას ობლიგაციაში გამოხატული ნომინალური ღირებულების მიღების შესახებ. ობლიგაციაში გამოხატული ვალდებულება, სასესხო თანხის დაბრუნების თაობაზე, შეიძლება იყოს როგორც პროცენტითანი, ისე უპროცენტო. ასევე ობლიგაცია შეიძლება იყოს როგორც სახ-

ელობითი, ისე საწარმდგენო. ყველა შემთხვევაში ობლიგაციის წარდგენა მსესხებლისათვის წარმოშობს მის ვალდებულებას – დაფაროს მასში აღნიშნული თანხა<sup>1</sup>.

სააქციო საზოგადოება ობლიგაციას უშვებს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გადაწყვეტილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ობლიგაციის ფორმა, ვადები და მისი დაფარვის კონკრეტული პირობები. ობლიგაციას უნდა გააჩნდეს ნომინალური ღირებულება. გამოშვებულ ობლიგაციათა ნომინალურ ღირებულებათა საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობას ან იმ სახსრების საერთო ღირებულებას, რომელიც მესამე პირებს გადაეცათ საზოგადოების მიერ გამოშვებული ობლიგაციების საგარანტიოდ. ობლიგაციის გამოშვება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა სრულად განხორციელდება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირება.

ობლიგაციის გამოშვება არ უნდა მოხდეს საზოგადოების შექმნიდან განსაზღვრული დროის გასვლამდე. მაგალითად, თუ ორი წელი საზოგადოებას გააჩნია სათანადო წესით დამტკიცებული დადებითი ბალანსი და მესამე წლის შედეგების მიხედვით სჭირდება სასესხო კაპიტალის შექმნა, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს ობლიგაციის გამოშვება. ასეთი შემთხვევა არ მიიჩნევა ობლიგაციის გამოშვების გარანტიად. (სულ სხვა შინაარსი აქვს ქონების დაგირავებით ან საბანკო გარანტიით ობლიგაციის გამოშვებას.) ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა დროა გასული საზოგადოების შექმნიდან ან საწესდებო კაპიტალი სრულად არის შევსებული თუ არა. ობლიგაციის გამოშვება შეიძლება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. (შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ არაგარანტირებული ობლიგაციების გამოშვებაზე.) საზოგადოებამ რეესტრში უნდა გაატაროს სახელობითი ობლიგაციები.

<sup>1</sup> Метелева Ю.А. Правовое положение акционера в акционерном обществе. М., 1999, стр. 86.

საწარმდგენლო ობლიგაციების რეგისტრაცია არაა სავალდებულო, საზოგადოებამ უნდა იცოდეს მათი საერთო რაოდენობა; სახელობითი ობლიგაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ფასიანი ქაღალდებისათვის დადგენილი საერთო წესის შესაბამისად. ამ დროს ფაქტობრივად ხდება მოთხოვნის დათმობა. ამიტომ საზოგადოება წერილობით უნდა იქნეს ინფორმირებული სახელობითი ობლიგაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე. საწარმდგენლო ობლიგაციის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების სხვისთვის დათმობა ხდება უბრალოდ, ასეთი ობლიგაციის სხვა პირისათვის გადაცემის გზით. ასეთ დროს სააქციო საზოგადოებისათვის შესაბამისი შეტყობინება არაა საჭირო. ეს სხვაობა თავის გამოხატულებას პოულობს ერთ მეტად მნიშვნელოვან თავისებურებაში: სახელობითი ობლიგაციის დაკარგვისას საზოგადოება გასცემს მის დუბლიკატს, ხოლო საწარმდგენლო ობლიგაციის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატის მისაღებად მის ყოფილ მფლობელს რთული პროცედურის გავლა უწევს<sup>1</sup>. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოწვევითი წარმოების მიხედვით უნდა მოხდეს სასამართლოში მიმართვა და აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ედება საფუძვლად პირის აღიარებას ფასიანი ქაღალდის მესაკუთრედ და სააქციო საზოგადოების მიერ ობლიგაციის დუბლიკატის გაცემას. საზოგადოება თვითონ განსაზღვრავს ობლიგაციების განაღდების დროს. შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს ვადაზე ადრე განაღდების პირობებიც.

ობლიგაციების დაფარვა საზოგადოების მიერ, ძირითადად, ფულადი სახით ხდება. შესაძლებელია სხვა ქონებაც იქნეს ამ დროს გამოყენებული, მაგალითად, საზოგადოების მიერ გამოშვებული რომელიმე პროდუქტი, მანქანა-დანადგარი და მოწყობილობა. ობლიგაციის განაღდების საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების აქციაც. ასეთ შემთხვევაში ობლიგაცია წარმოგვიდგება აქციაში კონვერტირებად ფასიან ქაღალდად. ობლიგაციის აქციად

<sup>1</sup> თენგიზ ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის პროცესი, თბ., 1998.

კონვერტაცია შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში და განსაზღვრული პირობების არსებობისას.

სააქციო საზოგადოებას ობლიგაციებთან ერთად შეუძლია გამოუშვას სხვა სახის ფასიანი ქაღალდები, რომელთა ბრუნვაში ჩართვა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ასეთ ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: ჩეკი, თამასუქი, ვარატი და სხვა. თითოეული მათგანის გამოშვებისა და გავრცელების წესს ადგენს სააქციო საზოგადოების საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო, თუ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში  
სააქციო საზოგადოების მონაწილეობის  
თავისებურებანი**

**§1. ღირექტორთა მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები**

სააქციო საზოგადოება საკმაოდ რთული შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებით ხასიათდება. აქციონერი, აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ღირექტორები ერთმანეთთან, ძირითადად, მმართველობითი ფუნქციების განხორციელების პროცესში არიან დაკავშირებულნი. მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და კომპეტენციის დადგენა პარტნიორთა საშინაო საქმეა. შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება ხორციელდება კანონის მოთხოვნათა საფუძველზე. ამასთან, სააქციო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება უხდება მრავალგვარ საგარეო ხასიათის ურთიერთობებში. ეს, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საგადასახადო და შრომითი ხასიათის ურთიერთობებია, რაზეც ნათლად მეტყველებს სასამართლო პრაქტიკა<sup>1</sup>. მათი დეტალური ანალიზი ერთ გამოკვლევაში შეუძლებელია. ამიტომ მიზანშეწონილია ძირითადი ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სააქციო საზოგადოებათა მონაწილეობასა და იმ სპეციფიკურ თავისებურებებზე, რომლებიც მათთვის არის დამახასიათებელი. თორემ ის, რომ სააქციო საზოგადოება სისტემატურად უამრავ ხელშეკრულებას დებს, ხოლო ეს ხელშეკრულებები კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და რომ კონტრაგენტთა ურთიერთობაში ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება დღის წესრიგში, თითქმის ყველა იურიდიული

<sup>1</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. 2000, №1, გვ. 2,25; 2000, №2, გვ. 46, 62; 2000, №3, გვ. 85; 2000, №4, გვ. 132, 161 და ა. შ.

პირისა და სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის სამოქალაქო კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობითაა განპირობებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი სააქციო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან ურთიერთობის რეგულირების პროცესში უფრო იმპერატიულია, ვიდრე შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას. ეს, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომელთაც სააქციო საზოგადოებებთან უხდებათ სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმა. იმპერატიული ნორმებითაა აგრეთვე გათვალისწინებული სააქციო საზოგადოებათა სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის სპეციფიკური თავისებურებანიც. ისინი უმეტესად წარმომადგენლობასა და ქონებრივ პასუხისმგებლობას ეხება.

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება სააქციო საზოგადოებას ეძლევა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება მანამ, სანამ მისი ლიკვიდაციის რეგისტრაცია არ მოხდება. არარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება არ არის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. დამფუძნებელთა საერთო კრების ან ამ კრების მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს რაიმე გადაწყვეტილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ წარმოშობს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს. მხოლოდ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია წარმოადგენს სამოქალაქო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის საფუძველს. რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება შეუხლუდავად მონაწილეობს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის გარიგებაში. ეს უნდა განხორციელდეს სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი კონკრეტული პირის მეშვეობით.

საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც შეიძლება სააქციო საზოგადოების წარმომადგენლად გამოვიდნენ. 1-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ „საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლო-

ბა ევალებათ დირექტორებს“<sup>1</sup>. იმავე მუხლში აღნიშნულია: „სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები“<sup>1</sup>. მართალია, ამ მუხლში დირექტორებისათვის საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ერთიან სამართლებრივ საფუძველზეა საუბარი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თითქოს უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის შინაარსიდან.

ჯერ ერთი, წარმომადგენლობითი ურთიერთობა საზოგადოების მესამე პირებთან დამოკიდებულების მახასიათებელია, მაშინ, როცა ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შიდასაზოგადოებრივ მხარეს ეხება. მეორეც, საზოგადოების რომელიმე დირექტორისათვის მმართველობითი ფუნქციის მინიჭება ყოველთვის შეიძლება არც გულისხმობდეს იმავე პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აპრიორულ მიკუთვნებას. შესაძლებელია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა დირექტორს მიენიჭოს. ამიტომაც სწორედ იმის აუცილებლობა დადგენილი, რომ წესდებაში განისაზღვროს საზოგადოების წარმომადგენლის ვინაობა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას მან სასამართლოში უნდა დატოვოს ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებს. ხელმოწერის ნიმუშის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამჟამად სამეწარმეო იურიდიული პირებისათვის სავალდებულო არაა ბეჭდის ნიმუშის წარდგენა რეგისტრაციის დროს. ბეჭდის ნაცვლად უფლებამოსილ პირთა ხელმოწერა გადაბეჭვითაა. პრაქტიკაში ხშირად ხელმოწერის ნიმუშს ითხოვენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგანაც, რაც ამ სიახლის იგნორირებაა. ხელმოწერის ნიმუშის წარდგენა ევალება არა ყველა თანამდებობის პირს, არამედ მხოლოდ იმათ, რომელთაც კანონის საფუძველზე გააჩნიათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მეწარმეთა კანონის მე-5 მუხლში სპეციალურადაა ყურადღება გამახვილებული იმაზე,

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბ., 1999. გვ. 73.



რომ საზოგადოების რეგისტრაციის თაობაზე შეტანილ განცხადებაში აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. აქედან გამომდინარე, რადგან ყველა დირექტორი შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, მაგრამ კონკრეტულ ურთიერთობებში მონაწილეობას იღებს ის დირექტორი, რომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დადასტურებულია სამეწარმეო რეესტრში და რომლის ხელმოწერის ნიმუშიც არსებობს სასამართლოში, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ყოველი დირექტორი შეიძლება იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ანუ დირექტორ-წარმომადგენლის პრეზუმფცია არსებობს მანამდე, სანამ საზოგადოების რეგისტრაციისას სხვა რამ არ დაფიქსირდება. ამასთან, იმ დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომელიც მიჩნეულია საზოგადოების წარმომადგენლად, შეუზღუდავია. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლში კატეგორიულად არის მითითებული – წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორს შეუძლია საზოგადოების სახელით ნებისმიერ გარიგებაში მიიღოს მონაწილეობა, გარიგება დადოს ნებისმიერ კონტრაგენტთან და არავის არა აქვს უფლება იგი შეზღუდოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. თუ ისეთმა დირექტორმა დადო მესამე პირთან გარიგება, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მაშინ გარიგება, მართალია, კანონიერად ჩაითვლება და საზოგადოებასა და მესამე პირს შორის ჩვეულებრივი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა, მაგრამ შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში ასეთი გარიგება განიხილება არა როგორც საზოგადოების სახელით, არამედ თვით დირექტორის მიერ დადებული გარიგება და მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც ასეთმა გარიგებამ საზოგადოებას მიაყენა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Лаптев В.В., Акционерное право. М. 1999. стр. 93.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შინაარსობრივად ადეკვატური არ არის და მათი მოცულობაც სხვადასხვაა, მათ მაინც მჭიდრო კავშირი ახასიათებთ და ზოგჯერ მმართველობით ფუნქციას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსი აქვს. ხელმძღვანელობით საქმიანობად, კანონის მიხედვით, მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას.

ორი დირექტორი შესაძლოა ერთობლივად უძღვებოდეს საზოგადოებას ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა. მსხვილ საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ერთობლივი ხელმძღვანელობის ფორმა ანუ კოლექტიური მმართველობა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამდენიმე დირექტორისაგან შედგება. მათი საქმიანობის კოორდინატორს შეიძლება გენერალური დირექტორი ან პრეზიდენტი ჰქყავს, რომელთა საქმიანობას კოორდინაციას უკეთებს გენერალური დირექტორი. ასე იყო სააქციო საზოგადოებაში „ქართული ფილმი“, მაგრამ 2000 წლის აგვისტოში სამეთვალყურეო საბჭომ გააუქმა გენერალური დირექტორის თანამდებობა. ამჟამად ყველა დირექტორს ერთნაირი უფლებები გააჩნია. ასეთი თანამდებობები კანონში ნახსენები არაა, მაგრამ არც აკრძალულია. მთავარი ისაა, რომ მათი კომპეტენცია და უფლებამოსილება კანონის მიერაა განსაზღვრული. იგივე მდგომარეობაა თითქმის, როცა საკითხი ეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების ერთი, ორი ან ყველა დირექტორისათვის მინიჭებას. ყველა შემთხვევაში, საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. წესდებაში შეიძლება ასევე განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები დამოუკიდებლად იმოქმედებენ თუ სხვა სპეციალურ წარმომადგენლებთან ანუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის კონკრე-

ტული სახე და წესი აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო რეესტრში. იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა რამდენიმე ღირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ისინი მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ ღირექტორს შეიძლება მიენიჭოს გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. ჩვეულებრივ, სააქციო საზოგადოებებს მრავალმხრივი საქმიანობა უწევთ. ასეთ შემთხვევებში, ღირექტორებს შორის ხდება ფუნქციების განაწილება. ყოველ ღირექტორს მიენიჭება საქმიანობის განსაზღვრული სფეროს ხელმძღვანელობა. შეიძლება ღირექტორებს ჰქონდეთ კომერციის დარგში, კადრების ან მარკეტინგის სფეროებში დამოუკიდებელი უფლებამოსილება. ფუნქციათა ასეთი დანაწილება საზოგადოების საქმიანობის უფრო სრულყოფილად და კომპეტენტურად წარმართვის გარანტიას. აქედან გამომდინარე, ღირექტორებს თავიანთ სფეროებში საზოგადოების დამოუკიდებლად წარმოდგენის უფლებამოსილება გააჩნიათ<sup>1</sup>. შესაძლებელია, საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ იქნეს მრავალიდან არა მარტო ერთ-ერთი ღირექტორისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება დამოუკიდებლად, არამედ ამ ღირექტორისა და ერთ-ერთი სავაჭრო წარმომადგენლისათვის ერთობლივადაც, ოღონდ იმ პირობის დაცვით, რომ ნებისმიერ ღირექტორს, სავაჭრო წარმომადგენლის გარეშეც შეეძლოს წარმომადგენლის საზოგადოება. სააქციო საზოგადოების მიმართ მესამე პირის მხრიდან ნების გამოძღვანების გამოსახატავად საკმარისია ნების გამოძღვანება ერთი ღირექტორის მიმართ. მაგალითად, სააქციო საზოგადოებას „ყაზბეგი“ ჰყავს ოთხი ღირექტორი. ოთხივე აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. მათ შეუძლიათ მესამე პირებთან ჩაებნენ სამართლებრივ ურთიერთობაში. თუ საზოგადოებას სჭირდება რაიმე მოწყობილობის შექმნა, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი არ

<sup>1</sup> ლადო ჭანტურია, თელ ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ., 1998, გვ. 355.

არის ოთხივე დირექტორმა მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას. საკმარისია, გამყიდველმა ნდობა გამოამყლავნოს ერთ-ერთი დირექტორისადმი და ამ უკანასკნელის ხელმოწერა საზოგადოება „ყაზბეგის“ ნების გამოვლენად ჩაითვლება. ყველა შემთხვევაში, დირექტორია საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობის მთავარი სუბიექტი. კანონის ეს მოთხოვნა კატეგორიულია და მისი შეცვლა არ შეიძლება.

სააქციო საზოგადოებების აღმასრულებელი ორგანოების სტატუსში არსებითი ხასიათის ცვლილება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მათი ფუნქციონირების ამა თუ იმ სფეროს სპეციფიკაზე<sup>1</sup>. კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო თავისებურებათა გათვალისწინება. ასეთი პოზიცია დაფიქსირებულია ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით. მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლითა და სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 64-ე მუხლით, დირექტორთა საბჭო ან სამეთვალყურეო საბჭოა მმართველობის ძირითადი ორგანო. მის წინაშეა ანგარიშვალდებული კოლევიალური (დირექცია, გამგეობა) ან ერთპიროვნული (დირექტორი, გენერალური დირექტორი) კონკრეტული ორგანო<sup>2</sup>. გერმანიის 1965 წლის 6 სექტემბრის სააქციო კანონის 77-ე მუხლით სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელთა წევრები ერთობლივად წარმართავენ საქმიანობას<sup>3</sup>. დირექტორთა საბჭო და გამგეობა ორივე ქვეყანაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოებია. სააქციო საზოგადოების სხვა თანამდებობის პირებს წარმომადგენლობის უფლება არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, საკონტროლო ფუნქციები ან თუნდაც სამართლებრივი მდგომარეობა, საზოგადოების საქმიანობის წარმართვაში მნიშ-

<sup>1</sup> Функ Я. И., Михальченко В. А., Хвалеи В. В. Акционерное общество: история и теория. Минск. 1999, стр. 22.

<sup>2</sup> Комментарий к Гражданскому кодексу Р.Ф. под редакцией О. Н. Садикова, М., 195, стр. 137.

<sup>3</sup> Германское право, часть II. Торговое уложение и другие законы. М., 1996, стр. 192.

ენელოვანი როლის მაჩვენებელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და თვით თავმჯდომარესაც. სამეთვალყურეო საბჭო იქმნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ და ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. იგი ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორებს, აკონტროლებს მათ საქმიანობას და ანგარიშს სთხოვს გაწეული საქმიანობის შესახებ. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა მისი უფლებამოსილებანი. იგი უფლებამოსილია დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. უფრო მეტიც, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი ეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.

აღნიშნულის მიუხედავად, დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამ უკანასკნელის ფუნქციების გაფართოება, ძირითადად, შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროს მოიცავს. მესამე პირებთან ურთიერთობა კი მის უშუალო ფუნქციაში არ შედის. ამიტომ მათ მიერ დადებული ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს. პრაქტიკაში ზოგჯერ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ფუნქციების აღრევა ხდება და შეცდომით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თავის თავზე იღებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და ხელს აწერს სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებას. დაინტერესებულ პირს ყოველთვის შეუძლია სასამართლოში დააყენოს ასეთი ხელშეკრულების გაბათილების საკითხი. ამას კი ლოგიკურად მოჰყვება საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მხოლოდ დირექტორებისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვისა და მისი სამეურნეო საქმიანობის კომპეტენტურად წარმართვის საქმეს ემსახურება. კანონი საზოგადოების ინტერე-

სების დაცვის მექანიზმს ითვალისწინებს იმ შემთხვევებისათვის, როცა საზოგადოების წარმომადგენელმა დადო გარიგება, რომლის დადების უფლება მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაგენტი. ასეთ შემთხვევებში საზოგადოებას შეუძლია გარიგების დადებიდან წელიწადნახევრის განმავლობაში გარიგება ბათილად გამოაცხადოს. ეს ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა ღირეპტორი კანონით განსაზღვრულ თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას აჭარბებს. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ღირეპტორი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებდნენ ერთად, რათა ზიანი მიეყენებინათ წარმოდგენილი საზოგადოებისათვის.

სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება ღირეპტორთა საქმიანობით შექმნილი კონკურენციის აკრძალვა. კანონით ღირეპტორებს არა აქვთ უფლება, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე მისდინ იმავე საქმიანობას, რასაც საზოგადოება ახორციელებს, ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში ღირეპტორის სახით. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „თბილთამბაქოს“ გენერალურ ღირეპტორს უფლება არააქვს ღირეპტორი იყოს ანალოგიურ საზოგადოებაში. გამონაკლის შემთხვევებში, როცა მსგავს საზოგადოებებს შორის კონკურენცია რეალური არ არის, დაინტერესებულ ღირეპტორს შეიძლება მიეცეს შეთავსების უფლება. აკრძალვის ეს წესი არ მოქმედებს, თუ სააქციო საზოგადოების ღირეპტორი იმავედროულად მუშაობს ღირეპტორად შვილობილ საზოგადოებაში ან საზოგადოების ფილიალში. გარდა ამისა, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა პირის ღირეპტორად დანიშვნის დროს წინასწარ იცოდნენ იმის შესახებ, რომ მომავალი ღირეპტორი უკვე ეწეოდა ასეთ საქმიანობას სხვა საზოგადოებაში, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობისათვის თავის დანებება არ მოუთხოვიათ. ასეთ შემთხვევებში პირს ღირეპტორობის შეთავსება არ უნდა აეკრძალოს. კონკურენციის აკრძალვის მოთხოვნა მჭიდროდ უკავშირდება ღირეპტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობის საკითხს. შეთავსებით მომუშავე ღირეპ-

ტორი არ შეიძლება ორივე საზოგადოების წარმომადგენელი იყოს იმ შემთხვევისათვის, როცა ისინი ერთმანეთთან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ემბებიან. ამ საკითხის რეგულირება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში არ შედის.

## §2. პროკურისტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თავისებურებანი

სააქციო საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში, დირექტორების გარდა, შეიძლება სხვა პირებითაც იყოს წარმოდგენილი. მეწარმეთა შესახებ კანონი ასეთ პირებად მიიჩნევს პროკურისტსა და სავაჭრო წარმომადგენელს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობისა და სახის ზუსტად განსაზღვრის მიზნით, სააქციო საზოგადოების წესდებით გარკვეული უნდი იყოს დირექტორისა და სხვა წარმომადგენლის ურთიერთობა – კონკრეტულ ურთიერთობაში დირექტორი იქნება სრული და დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თუ სხვა პირი ან ცალ-ცალკე იმოქმედებენ თუ ერთობლივად. ამ საკითხების თავიდანვე გარკვევა სააქციო საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფას ემსახურება.

პროკურა ანუ გენერალური სავაჭრო მინდობილობა უნივერსალური ხასიათის კომერციული მინდობილობაა, რომლის ფარგლები და მოცულობა კანონითაა განსაზღვრული. მინდობილობის გაცემის საფუძველზე წარმომადგენლობითი რწმუნების სხვისთვის გადაცემა ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისთვისაა დამახასიათებელი. ეს ინსტიტუტი ცნობილია აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობისთვისაც. სამოქალაქო კოდექსის მეშვიდე თავი, სწორედ გარიგებებში წარმომადგენლობას ეხება. კანონი მეწარმეთა შესახებ დეტალურად არეგულირებს მინდობილობის საფუძველზე წარმომადგენლობის სხვადასხვა სახეს.

პროკურა, როგორც წარმომადგენლობის სპეციალური ფორმა, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. მისი მოცულობა განსაზღვრულია კანონით და მისი შეცვლა შეუძლებელია. არ შეიძლება მისი შეცვ-

ლა მარწმუნებლის ნებითაც; 2. დაუშვებელია პროკურით განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირის წინაშე; 3. პროკურა, თუ იგი გენერალურია ანუ უნივერსალური ხასიათისაა, აუცილებლად უნდა იქნეს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. შესაძლებელია პროკურა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ იყოს რეგისტრირებული. ასეთ პროკურას სპეციალური ან ერთჯერადი პროკურა (გენერალურისაგან განსხვავებით) შეიძლება ეწოდოს. ცხადია, პროკურის სამივე ნიშანი (განსაკუთრებით პირველი ორი) ურთიერთგანპირობებულია და თითოეული მათგანი სხვა ნიშნების თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობებით ხასიათდება.

პროკურის ანუ მინდობილობის გაცემის უფლება, ჩვეულებრივ აქვთ სააქციო საზოგადოების დირექტორებს. პროკურის გაცემა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით. თანაც იგი გაიცემა პირადად უფლებამოსილი პირის მიერ. მისი გაცემას სხვა პირების მეშვეობით არ შეიძლება. პროკურა შეიძლება მიეცეს ორ ან რამდენიმე პირს. მინდობილობის ასეთ სახეს საერთო პროკურა ანუ საერთო მინდობილობა ეწოდება. საერთო პროკურაში ზუსტად უნდა განისაზღვროს მინდობილობის მქონე პირები ანუ პროკურისტები, ორი თუ ყველა ერთად წარმოადგენენ სააქციო საზოგადოებას. პროკურის გაცემის დოკუმენტში ანუ მინდობილობაში მისი შინაარსის აღმნიშვნელი სათაურის მითითება სავალდებულო არა არის. რადგან კანონი გენერალური პროკურის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას ითხოვს, იგულისხმება, რომ რეგისტრაციის შემდეგ მინდობილობის შინაარსის დოკუმენტი უკვე პროკურას წარმოადგენს. გაცემა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მიღებასთან. პროკურის მიმღებმა ანუ პროკურისტმა ანუ რწმუნებულმა თანხმობა უნდა გამოთქვას რწმუნების მიღებაზე. პროკურის გამცემის ცალმხრივი ნების გამოვლენა საკმარისი არ არის პროკურის ურთიერთობის წარმოსაშობად. აუცილებელია მომავალმა პროკურისტმა იკისროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ვალდებულება. ასეთი შეთანხმების საფუძველზე წარმოიშობა სამართლებრივად სრულყოფილი პროკურა.



კანონის მიხედვით, „პროკურა იძლევა უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან“. აქედან გამომდინარე, პროკურისტს უფლება აქვს, განხორციელოს ყველა ის მოქმედება, რისი უფლებაც სააქციო საზოგადოების დირექტორებს, როგორც კანონიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, გააჩნიათ, კერძოდ, საზოგადოების სახელით დადონ ხელშეკრულებები, გამოვიდნენ სასამართლოში, შეიძინონ უფლებები, იკისრონ მოვალეობები და ა. შ.

პროკურა კანონის საფუძველზე წარმოშობილი მინდობილობის ყველაზე ფართო ფორმაა. იგი უნივერსალური ხასიათისაა. ამიტომ მისი შეზღუდვა თვით გამცემის მიერაც კი შეუძლებელია. მაგალითად, პროკურისტს არ შეიძლება განესაზღვროს, თუ რომელი გარიგების დადება შეუძლია და რომელი აკრძალული აქვს. „პროკურისტის მიმართ გამოიყენება სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობითი პრეზუმფცია“<sup>1</sup>.

პროკურის შეუზღუდაობის პრეზუმფცია განპირობებულია კომერციულ ურთიერთობებში ნდობის დაცვის აუცილებლობით.

თუ პროკურისტი თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას შეიზღუდა და აეკრძალა, მაგალითად, ნასყიდობის გარდა, სხვა ხელშეკრულებების დადება ან მიეცა მითითება, რომ საზოგადოების ადგილსამყოფელ ქალაქში არ დადოს არავითარი ხელშეკრულება, პროკურა ბათილად უნდა გამოცხადდეს და უნდა ჩაითვალოს, რომ შეზღუდვების მქონე პროკურისტის მიერ მესამე პირებთან დადებული ნებისმიერი გარიგება სამართლებრივად უნაკლო და მესამე პირთათვის ნორმალური იურიდიული ძალის მქონეა. მესამე პირები ყოველთვის უნდა იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ მათ ურთიერთობა აქვთ ისეთ პროკურისტთან, რომელიც სარგებლობს სრული წარმომადგენ-

---

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, მეორე გამოცემა. თბ., 1998. გვ. 1, 27.

ლობითი უფლებამოსილებით და რომელსაც საზოგადოების სახელით ნებისმიერი გარიგების დადების შესაძლებლობა აქვს. აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა თვითონ კანონი გამონაკლისის სახით აწესებს აუცილებლობიდან გამომდინარე შეზღუდვების შესაძლებლობას. მაგალითად, 1. მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას უფლებამოსილება სპეციალურად მიენიჭა; 2. პროკურის შემოფარგვლას ერთი არ რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებით ურთიერთგანსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ ფილიალს დაერთება დამატება, რომლითაც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება. პროკურა შეიძლება გაუქმებულ იქნეს ნებისმიერ დროს. ეს, ძირითადად, უნდა განხორციელდეს პროკურის გამსაზღვრელი დოკუმენტის ანუ მინდობილობის გაუქმებით ან ძალადაკარგულად მისი აღიარებით. პროკურის გაუქმების ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც საზოგადოების დირექტორს, რომელმაც გასცა იგი, ისე პროკურისტს, რომელმაც მიიღო პროკურა. პროკურის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმების საფუძვლების მიუხედავად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილება იქნეს შეტანილი სამეწარმეო რეესტრში. მესამე პირების ინტერესების დაცვის მიზნით, აუცილებელია, აგრეთვე პროკურის გაუქმების შესახებ ცნობის პრესაში გამოქვეყნება. პროკურის გაუქმება არ იწვევს იმ ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფას, რომელიც პროკურის გამცემმა ან მიმღებმა მიიღო პროკურის გაუქმებით.

### §3. სავაჭრო მინდობილობის შინაარსი

პროკურისტის სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ალტერნატივად კომერციულმა ურთიერთობებმა დღის წესრიგში დააყენა მინდობილობითი წარმომადგენლობის

უფრო შეზღუდული სახის შექმნის აუცილებლობა. პროკურისტის განუსაზღვრელი უფლებები ზოგჯერ უხერხულ კომერციულ სიტუაციაში აყენებდა საზოგადოებას. ამიტომ კანონით იქნა გათვალისწინებული წარმომადგენლობის ახალი სახე. წარმომადგენლობის ამ სახეს სავაჭრო მინდობილობა ეწოდება. ამგვარი მინდობილობა ადრეც და ამჟამადაც აისახება მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში.

სავაჭრო მინდობილობა შინაარსითა და სამართლებრივი საფუძველით პროკურას ჰგავს. მიუხედავად ამისა, მათ შორის სერიოზული განსხვავებაც არსებობს. კერძოდ: 1. სავაჭრო მინდობილობა გაიცემა რომელიმე კონკრეტული და ერთგვაროვანი გარიგებების დასადებად. ამიტომ მინდობილობა სპეციალურია და არა უნივერსალური, როგორც ეს პროკურის დროსაა. სავაჭრო მინდობილობის საფუძველზე შესაძლებელია, მაგალითად, ნედლეულის შესაძენად ნასყიდობის ხელშეკრულებათა მთელი სერიის დადება. იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას ისინი უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს; 2. უფლებამოსილების ფარგლები თვით მინდობილობით განისაზღვრება. თუ პირს მინდობილობით ევალება საზოგადოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნედლეულის შექმნა, მას არა აქვს უფლება, შეიძინოს ავეჯი ან სატრანსპორტო საშუალებები. პროკურა კი ნებისმიერი ხასიათის გარიგების დადების შესაძლებლობას მოიცავს; 3. სავაჭრო მინდობილობა გამოირჩევა თავისი სიმარტივეითაც. ამიტომ იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება. მას არ სჭირდება რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. პროკურა კი აუცილებლად საჭიროებს რეგისტრაციას; 4. სავაჭრო მინდობილობა გაიცემა წერილობითი ფორმით, თუმცა ამის აუცილებლობა ყოველთვის არ არსებობს. მაღაზიის გამყიდველი ყოველგვარი დოკუმენტური გაფორმების გარეშე აღიქმება მაღაზიის წარმომადგენლად. იგივე შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებზე, რომლებიც ამ ორგანიზაციას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში.

სავაჭრო მინდობილობა საზოგადოების დირექტორებმა უნდა გასცენ, ხოლო მათ მიღებაზე თანხმობა უნდა განაცხადონ იმ პირებმა, რომელთაც საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა გადაეცეთ. პროკურის მსგავსად, ასეთ პირებად, ძირითადად, საზოგადოების თანამდებობის პირები გამოდიან. სავაჭრო მინდობილობას შეიძლება ერთჯეროვანი ხასიათი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში რწმუნებულს მარწმუნებლის სახელით ერთი რომელიმე კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება გააჩნია; მაგალითად, სააქციო საზოგადოებისათვის ერთი სატვირთო ავტომანქანის შეძენა. სხვა სახის გარიგებაში, თუნდაც ისინი სხვა სატრანსპორტო საშუალებების ყიდვას ან გაყიდვას ეხებოდეს, ასეთ წარმომადგენელს მონაწილეობის უფლება არა აქვს.

სავაჭრო მინდობილობა შეიძლება იმავე საფუძვლებით გაუქმდეს, რითაც პროკურა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისთვის არაა აუცილებელი იმ რთული პროცედურის გავლა, რაც პროკურისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, არ არის საჭირო სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაცია და იგი არც პრესაში ქვეყნდება. მინდობილობის შეწყვეტა მხარეებს მათი ბრალეულობის შემთხვევაში არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

#### §4. სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის უფლებამოსილებანი

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემის კიდევ ერთ შესაძლებლობას. ასეთი პირია სავაჭრო წარმომადგენელი. მისი სახელწოდება კი სტატუსის შინაარსზე მიუთითებს. სავაჭრო წარმომადგენელი არის ის პირი, რომელიც საქონლის უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელით და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული

ამ საწარმოში. სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით, თუმცა, უპირატესად, იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა მას რჩება. სავაჭრო წარმომადგენელთან თავისი ფუნქციებით ახლო დგას კომისიონერი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით. კანონში მოცემული ეს დეფინიციები გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებენ იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სააქციო საზოგადოებისა და მესამე პირების წარმომადგენლობით ურთიერთობებზე, განსაკუთრებით კი სავაჭრო წარმომადგენლის სტატუსი საჭიროებს დეტალურ ანალიზს.

სავაჭრო წარმომადგენელი, ფაქტობრივად, შუამავლის როლს ასრულებს წარმოდგენილ საზოგადოებასა და იმ მრავალრიცხოვან სუბიექტებს შორის, რომლებთანაც მას უხდება სისტემატური ურთიერთობა. სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ვაჭრობა და მომსახურება. ისტორიულად სწორედ ამ სფეროებში ჩაისახა და შემდგომი განვითარება პოვა სავაჭრო წარმომადგენლობის ინსტიტუტმა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სავაჭრო წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი მეწარმეა, რითაც არსებითად განსხვავდება იგი პროკურისტისა და სავაჭრო მინდობილობის მქონე პირისაგან. სავაჭრო წარმომადგენელი, როგორც მეწარმე, შეიძლება არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს დამოუკიდებელი სამეწარმეო სტატუსი განასხვავებს მას პროკურისტისა და სავაჭრო მინდობილობის მქონე პირისაგან. პროკურისტები თავიანთ საზოგადოებასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებიან, ე. ი. ისინი წარმოდგენილი საზოგადოების თანამშრომლები არიან. სავაჭრო წარმომადგენელი, როგორც

დამოუკიდებელი მეწარმე, სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას დებს სხვა სუბიექტთან – წარმოსადგენ სააქციო საზოგადოებასთან მომსახურების გაწევის თაობაზე. ასეთი ხელშეკრულება უზრუნველყოფს სტაბილურ ურთიერთობას სავაჭრო წარმომადგენელსა და მის კონტრაგენტს შორის. ამით განსხვავდება სავაჭრო წარმომადგენელი სავაჭრო მაკლერისაგან, რომელსაც არა აქვს მსგავსი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებასთან.

სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის ძირითადი სფერო არის საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობები. საქონლის ცნებაში იგულისხმება ყველა ის სიკეთე, რომელზეც არსებობს მოთხოვნილება და ამიტომ გაიტანება ბაზარზე. უფლებებიცა და მომსახურებაც, ფართო გაგებით, საქონელია, მაგრამ მათი დიდი მნიშვნელობისა და სპეციფიკის გამო, ნორმატიულ აქტებში ისინი ცალკეა გამოყოფილი. სავაჭრო წარმომადგენლის კონკრეტული საქმიანობის გამოხატულებაა, მაგალითად, დაზღვევის სააგენტოების, ავტოგასამართი სადგურების, საექსკურსიო ბიუროებისა და სხვათა საქმიანობა.

სავაჭრო წარმომადგენელი სააქციო საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარების ინიციატორად და ხელშემწყობად გამოდის. ამასთან, იგი ცდილობს მომავალ კონტრაგენტებს შორის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ამ მიზნით, იგი თვითონ დებს ხელშეკრულებას მესამე პირებთან, თუმცა იგი ამ ხელშეკრულებაში მხარედ არ გამოდის, რადგან იგი ხელშეკრულებას დებს წარმოდგენილი საზოგადოების სახელითა და ხარჯით. ამით სავაჭრო წარმომადგენელი განსხვავდება დამოუკიდებელი მოვაჭრისაგანაც, რომელიც საკუთარი სახელითა და ხარჯით დებს გარიგებებს. ამ სხვაობის მიუხედავად, სავაჭრო წარმომადგენელთან თავისი სამართლებრივი მდგომარეობით ყველაზე ახლო დგას დამოუკიდებელი მოვაჭრე. ამიტომაც, რომ კანონმა ეს უკანასკნელი სავაჭრო წარმომადგენლის სახესხვაობად ჩათვალა. დამოუკიდებელი მოვაჭრეც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მისი ძირითადი

ფუნქციანა სამეწარმეო საქმიანობა და ამიტომ იგი რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით უნდა არსებობდეს. დამოუკიდებელი მოვაჭრის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მალაზიები, ტურბაზები და ა. შ. სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დამოუკიდებელ მოვაჭრედ, თუ იგი საკუთარი სახელითა და ხარჯით მოქმედებს. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მაღაზია „ქართული ლუდი“, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რეალიზებული პროდუქციისაგან მომსახურების საფასურს ვერ მოსთხოვს ლუდის დამამზადებელ სააქციო საზოგადოება „ყაზბეგს“. გარდა ამისა, დამოუკიდებელი მოვაჭრისათვის აუცილებელია, რომ იგი უპირატესად იმყოფებოდეს წარმოსადგენი საზოგადოების სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში. ეს არ ნიშნავს ამ ორგანიზაციის წევრობას ან მისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობას. იგი მხოლოდ აფიქსირებს, აღნიშნავს ფაქტობრივ მდგომარეობას იმის შესახებ, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა ეკუთვნის წარმოდგენილ საზოგადოებას. მაგალითად, შპს მაღაზია „ქართული ლუდის“ ძირითადი პროდუქცია სააქციო საზოგადოება „ყაზბეგის“ მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ცალკეულ საბითუმო სავაჭრო ფირმებს შორის, რომლებიც ფაქტობრივად საზოგადოება „ყაზბეგის“ მუდმივი კლიენტები არიან. ამიტომ შპს მაღაზია „ქართულ ლუდსა“ და სს „ყაზბეგს“ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა მაღაზიისათვის ლუდის მოწოდებასა და მის რეალიზაციას, კლიენტურა კვლავ სააქციო საზოგადოება „ყაზბეგს“ დარჩება.

მომსახურების ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელსა და წარმოსადგენ სააქციო საზოგადოებას შორის იდება ერთი წლის ვადით. თუ ამ ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ იგი გაგრძელდება კიდევ ერთი წლით. შესაძლებელია ხელშეკრულების ვადაზე ადრეც შეწყვეტა, თუ არსებობს ამისათვის

აუცილებელი მნიშვნელოვანი გარემოებები. ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე როგორც სავაჭრო წარმომადგენელი, ისე დამოუკიდებელი მოვაჭრე, წარმომადგენენ კონკრეტულ სააქციო საზოგადოებას ანუ მინიჭებული აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სააქციო საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ ურთიერთობათა კიდევ ერთი მონაწილე – კომისიონერი. იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კომისიონერს გააჩნია კანონით განსაზღვრული რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. კომისიონერის ტიპური ფორმა საქართველოში საკმაოდ გავრცელებული საკომისიო მაღაზიებია. ისინი თითქმის იმავე ურთიერთობებში მონაწილეობენ, რაშიც სავაჭრო წარმომადგენლები, თუმცა გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, კომისიონერი სამოქალაქო ურთიერთობებში საკუთარი სახელით, ოღონდ სხვის ხარჯზე მონაწილეობს. საკომისიო მაღაზია ყიდის იმ ქონებას, რომელიც სააქციო საზოგადოებამ ჩააბარა მას სარეალიზაციოდ. მესამე პირებთან ანუ მყიდველებთან ურთიერთობაში იგი საკუთარი სახელით გამოდის და არა სააქციო საზოგადოების სახელით. ამასთან, იგი საკომისიო საზღაურს ანუ კომისიას კომიტენტისაგან ანუ სააქციო საზოგადოებისაგან იღებს. საკომისიო ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენლობის ხელშეკრულების ანალოგიურად იდება.

სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებულნი არიან პერიოდულად წარუდგინონ წერილობითი ანგარიში იმ საზოგადოებას, რომლისთვისაც ისინი საქმიანობენ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ყოველი შეუსრულებელი საქმის, პროვიზიისა თუ კომისიის საზღაურის ოდენობის შესახებ. სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებულნი არიან ანგარიში საზოგადოებას წარუდგინონ ყოველი კვარტლის ბოლოს, თუ კონკრეტული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პროვიზიისა და კომისიის საზღაურს სააქციო საზოგადოება იხდის ყოველთვიურად.



პროვიზიის, როგორც მარწმუნებელი საზოგადოების მიერ სავაჭრო წარმომადგენლისათვის „მომსახურების საზღაურის“ სახით გადასახდელი თანხის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა საზოგადოების მიერ გარიგების შესრულების მომეტიდან. ასევე გარიგების შესრულების მომენტიდან იწყება კომისიონერის ვალდებულება, გადაუხადოს საზოგადოებას მიღებული შემოსავალი კომისიის ხარჯების გამოკლებით. პროვიზიისა და კომისიის ხარჯების გადახდის წესი შეიძლება ხელშეკრულებით შეიცვალოს. პროვიზიის ან კომისიის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით უნდა განისაზღვროს. მაგრამ თუ ეს არ მომხდარა, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა მიიჩნევა შეთანხმებულად.

სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს უფლება არა აქვთ სააქციო საზოგადოების თანხმობის გარეშე მონაწილეობა მიიღონ რომელიმე კონკურენტი საზოგადოების საქმიანობაში. ამ წესიდან გამონაკლისი ეხება სხვა საზოგადოებაში წმინდა ფინანსური ხასიათის მონაწილეობას 5%-ის ფარგლებში. თანხმობა რომელიმე კონკურენტ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის გაცემულად ჩაითვლება, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას სააქციო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ამ მონაწილეობის ფაქტი.

სააქციო საზოგადოებასთან სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საგარანტიო ურთიერთობებში ჩაბმის შესაძლებლობაც წარმოემობათ. ასეთ ურთიერთობას არეგულირებს დელკლედერე ხელშეკრულება. იგი საგარანტიო ხელშეკრულების სახესხვაობაა. ამ ხელშეკრულებით სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი თავდებადგებიან წარმოდგენილი საზოგადოების ან კომიტეტის წინაშე, რომ მესამე პირი შეასრულებს დადებული გარიგებით ნაკისრ ვალდებულებებს. დელკლედერე ხელშეკრულება, რაც აუცილებლად წერილობით უნდა გაფორმდეს, სააქციო საზოგადოებასთან საქმიან ურთიერთობაში ჩაბმული მესამე პირების გადახდისუნარიანობის გარანტიაა. სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის

მიერ უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება აღებულ იქნეს როგორც გარიგებათა ჯგუფის, ისე ერთი რომელიმე კონკრეტული გარიგებისათვის. როცა სააქციო საზოგადოებასა და სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს შორის არსებობს დელკლედ-ერე, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ საზოგადოებისაგან მოითხოვონ სპეციალური გასამრჯელო იმ ვალდებულების შესრულებისათვის, რომელიც მათ ხელშეკრულებით იკისრეს. ასეთ გასამრჯელოს თავდებად ყოფნის პროვიზია ანუ სათავადო პროვიზია ეწოდება. გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

ამგვარად, სააქციო საზოგადოების მიერ თავისი საწესდებო ფუნქციების წარმატებული განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო დირექტორების, არამედ სხვა პირების — პროკურისტების, სავაჭრო მინდობილობის მქონე პირების, სავაჭრო წარმომადგენლებისა და ნაწილობრივ — კომისიონერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებათა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოყენებას.

### **§5. მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძვლები**

სააქციო საზოგადოების მმართველობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციები, მართალია, უმეტესად ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ შინაარსითა და განხორციელების ფარგლებით იდენტური არ არის. მმართველობითი ფუნქცია შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობის სტრუქტურის ამსახველია და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოიცავს, რაც შეეხება წარმომადგენლობით ფუნქციას, იგი საზოგადოების მესამე პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა და რეალიზაციის საშუალებას უფრო წარმოადგენს და მისი ფარგლები კანონით მკაცრადაა რეგულირებული. შესაძლებელია ზოგიერთი მმართველობითი ფუნქცია საფუძვლად დაედოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსს. მაგალითად, საზოგადოების ქონების მარ-

თვის უფლებამოსილება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ქონების ნაწილის გასხვისებასთან ან შექმნასთან, რაც შეუძლებელია სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადების გარეშე. ამისათვის კი შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს მმართველობითი ფუნქციის მინიჭებას. აქედან გამომდინარე, მმართველობითი ფუნქციის განხორციელება თავისთავად მოიცავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ამა თუ იმ პირისათვის მინიჭების საფუძველს. ამიტომ, როცა საკითხი ეხება მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვას, უპირველეს ყოვლისა, მმართველობითი ფუნქციები იგულისხმება. მმართველობითი უფლებამოსილების ზუსტად განსაზღვრა საფუძველად ედება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების დადგენას. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის დეტალური ანალიზი. კანონი შეუძლებლად არ მიიჩნევს მმართველობის უფლებამოსილებათა შეზღუდვას. კერძოდ, მე-9 მუხლის შესაბამე პუნქტის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ „შესაძლოა, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით“. იგი უფრო შორს მიდის და ამ დებულებას იქვე აზუსტებს: „ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით“. ამგვარად, ხელმძღვანელობითი ანუ მმართველობითი უფლებამოსილების შეზღუდვა სავსებით შესაძლებელია სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების ნებართვით. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ კანონმა ზუსტად განსაზღვროს კონკრეტული მმართველობითი უფლებამოსილებანი, რომელთა განხორციელება შესაძლებელი იქნება საზოგადოების ზემდგომი ორგანოების მიერ. კანონით დაწესებული შეზღუდვის გარდა, შესაძლებელია აგრეთვე აქციონერთა საერთო კრებამ შემოიღოს მმართველობითი უფლებამოსილების განხორციელების დამატებითი შეზღუდვები, რაც საზოგადოების ინტერესებით უნდა

იყოს განპირობებული. უკანასკნელ შემთხვევაში იგი უნდა აისახოს საზოგადოების შინაგანაწესში.

მეწარმეთა შესახებ კანონის განსაკუთრებულ ნაწილში, მეოთხე თავის სახით წარმოდგენილია ნორმები, რომლებიც სააქციო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. ისინი განსაზღვრავენ საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მმართველობით ფუნქციებს. აქვეა დადგენილი მმართველობითი უფლებამოსილებათა შეზღუდვის ცალკეული შემთხვევები. კანონის მიხედვით, საზოგადოების ხელმძღვანელობა ევალებათ დირექტორებს. ისინი ახორციელებენ ყველა იმ მოქმედებას, რომელიც სააქციო საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ მიზნებს ემსახურება. დირექტორთა მმართველობითი ფუნქციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. თუ შინაგანაწესი არ არსებობს, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, კანონის 55-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, რომელიც 1999 წლის პირველი სექტემბრიდან ახალი დებულებებით შეივსო, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

1. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება;
2. უძრავი ქონებისა და მსგავსი უფლებების შექმნა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა და მისი საქმიანობის შეწყვეტა;
3. ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
4. წლიური ბიუჯეტის როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება;
5. ინვესტიციების დაბანდება და ამოღება, რომელთა ოდენობა, ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს;
6. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დად-

გენილ ოდენობას; 7. სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია; 8. ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა; 9. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა; 10. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა; 11. სავაჭრო წარმომადგენლობის (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა; 12. გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ. თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს; 13. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსყიდვის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული უფლებამოსილებანი მმართველობითი ხასიათისაა. ზოგადი დებულების მიხედვით, ისინი სააქციო საზოგადოების დირექტორებმა უნდა განახორციელონ. კანონის მიერ დადგენილი ეს შეზღუდვა არ ნიშნავს აღნიშნულ ფუნქციათა დირექტორების კომპეტენციიდან ამოღებასა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის გადაცემას. კანონი მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობას ითხოვს. კონკრეტული უფლებამოსილება კი მანც დირექტორებმა უნდა განახორციელონ. თუ სამეთვალყურეო საბჭო რომელიმე უფლებამოსილების განხორციელებაზე არ გამოხატავს თანხმობას, იგი არ განხორციელდება და დადგება საკითხი თანხმობის გაუცემლობის მიზანშეწონილობის შესახებ. დირექტორთა მმართველობითი უფლებამოსილებათა ამგვარი შეზღუდვა ნაკარნახევია სააქციო საზოგადოების ინტერესების გაზრდილი ხარისხით დაცვის აუცილებლობით. აღნიშნულ მმართველობით უფლებამოსილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სააქციო საზოგადოების ფუნქციონირე-

ბისათვის. რომელიმე მათგანის არასწორად განხორციელებამ ან ბრალეულად საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმართვამ შეიძლება, საქმიანობის მნიშვნელოვნად შეფერხება ან საერთოდ, მისი გაკოტრება გამოიწვიოს. ამიტომ ენიჭება ამ უფლებამოსილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგალითად, როცა საკითხი ეხება ისეთ უფლებამოსილებებს, როგორცაა საწარმოთა წილის შექმნა ან გასხვისება 50%-ზე გადამეტებით, იგულისხმება სხვა სამეწარმეო საზოგადოებაში წილების ან აქციების შექმნა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს სააქციო საზოგადოების გადაქცევას სხვა საზოგადოების პარტნიორად. უკვე პარტნიორ საზოგადოებას კი შეიძლება თავისი წილის (აქციები, ქარხანა, საამქრო, საწარმოს ნაწილი) გასხვისების სურვილი ჰქონდეს. ორივე შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვაა საჭირო. იგივე მდგომარეობაა, როცა ხდება უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება, უფლებრივი დატვირთვა, წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა. უძრავ ქონებას, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, წიაღისეული, მრავალწლიანი მცენარეები, შენობები, ნაგებობები და სხვ. თუ საზოგადოების დირექტორებს სურთ გაყიდონ მიწის ნაკვეთის ნაწილი ან მათი რომელიმე შენობა, რათა საზოგადოებისათვის დასასვენებელი კომპლექსის მოსაწყობად საკურორტო ზონაში შეიძინონ შენობა-ნაგებობები, დამოუკიდებლად ამ სურვილს ვერ განახორციელებენ. საკითხი აუცილებლად უნდა შეუთანხმონ სამეთვალყურეო საბჭოს. თანხმობა საჭირო მაშინაც, როცა დირექტორებს სურთ: საზოგადოების უძრავი ქონების ბანკში იპოთეკით დატვირთვა, მეზობლად არსებული ქარხნისათვის ჰიპოთეკის უფლების მიყიდვა, დიდი ოდენობით ინვესტიციების დაბანდება, სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა და სხვ. თითოეული ამ სურვილის განხორციელება შეიძლება საფუძვლად დაედოს სააქციო საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებას ან გაუარესებას. მაგალითად, წარმოების საქმიანობის შეწყვეტა ნიშნავს საწესდებო საქმიანობისათვის თავის დანებებას. თუ

სააქციო საზოგადოება „ყაზბეგი“ – ლუდის ქარხანა შეწყვეტს პროდუქციის გამოშვებას, შეიძლება მთელი საზოგადოების შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი დადგეს. სწორედ ამიტომ არ თელის კანონი აღნიშნული და სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტას მხოლოდ დირექტორების კომპეტენციად. ზედამხედველობითი სტრუქტურის ჩაბმა ამ საქმეში სერიოზულ შეცდომათა გამორიცხვის საწინდარია.

მეწარმეთა შესახებ კანონის 55.9 მუხლში აღნიშნულ საქმიანობათა აბსოლუტური უმრავლესობის განხორციელება შეუძლებელია სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების გარეშე. სააქციო საზოგადოების მიერ ქონების შექმნა ან გასხვისება, უძრავი ქონების უფლებრივი დატვირთვა, კრედიტის აღება ან გაცემა, ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, აქციების გამოსყიდვა და ა. შ. შესაბამისი ხელშეკრულების დადების საშუალებით ხორციელდება. გარიგებაში მონაწილეობის მიღება კი სააქციო საზოგადოებას წარმომადგენლის მეშვეობით შეუძლია. კანონით, დირექტორები სარგებლობენ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით. იგულისხმება, რომ სწორედ მათ უნდა დადონ მესამე პირებთან აღნიშნული ხელშეკრულებები. მაგრამ, რადგანაც საქმიანობის აღნიშნულ სფეროებში დირექტორებს სჭირდებათ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, ხელშეკრულებებსაც ისინი დამოუკიდებლად ვერ დადებენ. გამოდის, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც იზღუდება. თუ ეს ასეა, მაშინ კანონის იმპერატიული დებულება – „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს“ (მუხლი 9.4) – ხომ არ არის წინააღმდეგობრივი? შეიძლება თუ ბრა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვა? დასმულ კითხვებზე თავიდანვე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. საქმე იმაშია, რომ მმართველობითი უფლებამოსილებების მსგავსად, შესაძლებელია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც შეიზღუდოს, ოღონდ შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში. ეს ის სფეროა, რომელიც საზოგადოების ფარგლებს გარეთ არ გადის. საზოგადოების ცალკეულ სტრუ-

ქტურებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისას ხდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობის განსაზღვრა. დირექტორებს, რომლებიც კანონმა სააქციო საზოგადოების წარმომადგენლებად აღიარა არა მარტო სასამართლოში მათი ინტერესების დასაცავად, არამედ მესამე პირებთან ყველანაირი სამართლებრივი ურთიერთობის დასამყარებლად, მიეცათ თავიანთი ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების უძრავ-  
ლესობის დამოუკიდებლად დადების შესაძლებლობა. ის ხელშეკრულებები კი, რომლებიც საზოგადოების მომეტებულ ინტერესებში შედის და რომლებიც კანონის მიერ მმართველობით სფეროში შეზღუდულ უფლებამოსილებათა რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, უნდა დაიდოს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. ე.ი. კანონმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელების კომპეტენცია გაანაწილა დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. ამ გაგებით, შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობის ფარგლებში მართლაც არსებობს დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაწყდება, რომ სამეთვალყურეო საბჭო თანახმაა, დირექტორმა საზოგადოების სახელით დადოს ესა თუ ის კონკრეტული ხელშეკრულება, მაგალითად, უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, ამ მომენტიდან დირექტორს დამოუკიდებლად შეუძლია კონტრაგენტთან ხელშეკრულების დადებისას სრულად ისარგებლოს წარმომადგენლობის შეუზღუდაობის პრეზუმფციით, რადგან იგი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩარჩოებიდან გამომდის და სამართლებრივ ურთიერთობაში ებმება მესამე პირებთან. კანონი სწორედ მესამე პირებთან ურთიერთობაში და არა შიდასაზოგადოებრივში მიიჩნევს დირექტორის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას შეუზღუდავად. თუ რამდენიმე დირექტორიდან ერთს მიეცა სხვა საზოგადოების წილის 50%-ზე მეტის შეძენის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, სხვა დირექტორებს არ შეუძლიათ ამ უფლებამოსილების შეზღუდვა. ამის უფლება არ გააჩნიათ აგრეთვე საზოგადოების სხვა სტრუქტურებსაც.



მეწარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლს 1999 წლის 1 სექტემბრიდან დაემატა ახალი ნორმა, რომელმაც ზემოაღნიშნულ საკითხებში მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა. საქმე ეხება სააქციო საზოგადოებისათვის უფრო მნიშვნელოვანი გარიგების დადებას, ვიდრე აქამდე აღნიშნული და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით დასადები გარიგებებია. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-ნ პუნქტის ბოლო აბზაცში ასეთი ნორმაა მოცემული – სააქციო საზოგადოების საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების ან გაცვლის გარიგებების შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს სიახლე ითვალისწინებს ღირეკტორთა მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების უფრო ძლიერ შინაარსობრივ შეზღუდვას: ჯერ ერთი, საქმე ეხება უფლებამოსილების შეზღუდვას არა სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, არამედ სააქციო საზოგადოების ყველაზე მთავარი და ყველაზე ფართო უფლებამოსილებიანი ორგანოს – საერთო კრების მიერ; მეორეც, კრება სამეთვალყურეო საბჭოს მსგავსად, თანხმობას კი არ გამოიხატავს საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი ხასიათის გადაწყვეტილების მისაღებად და შემდეგ მის სარეალიზაციოდ აუცილებელი გარიგებების დასადებად, არამედ იგი თვითონ იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას; მესამე, ეს გამონაკლისი კეთდება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტის შექმნის, გასხვისების ან გაცვლის საკითხს და არა იმავე ფუნქციების განხორციელებას ჩვეული საქმიანობის წარმართვის ფარგლებში. საზოგადოების წესდებაში შეიძლება კრების კომპეტენციას მიკუთვნებული იყოს ქონების საბალანსო ღირებულების სხვა ოდენობის მიმართ გარიგების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ამგვარად, საზოგადოების მონაწილეობა ყველაზე მსხვილ გარიგებაში, რომელზეც ბევრად

არის დამოკიდებული მისი ყოველწლიური მომავალი საქმიანობის პერსპექტივები, უნდა განხორციელდეს საერთო კრების გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში, სახეზეა დირექტორთა მმართველობითი და, შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვა საერთო კრების მიერ. ასეთი შეზღუდვაც შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში ხდება და მესამე პირებთან ურთიერთობაში, საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორები შეუზღუდავად მოქმედებენ. ეს გამოვლინდება არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ მისი შესრულების პროცესშიც.

საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მსგავსად, შეზღუდვის საფუძვლები გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობებით. თუმცა გერმანული კანონმდებლობით მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობა შეუძლიათ მხოლოდ საზოგადოების პარტნიორებს. თვითმმართველობის პრინციპიდან გამომდინარე, სხვა პირებს არ შეიძლება მიეცეთ წარმომადგენლობის უფლებამოსილება<sup>1</sup>. დირექტორთა წარმომადგენლობითი კომპეტენცია კი შეიძლება შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შეიზღუდოს. მესამე პირებთან ურთიერთობაში მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეუზღუდაობის პრინციპი. აღნიშნული საკითხის მიმართ თავისებური პოზიციაა გამოხატული რუსეთის კანონმდებლობაში. სპეციალურ კანონში სააქციო საზოგადოებათა შესახებ გათვალისწინებულია საზოგადოების სახელით სხვადასხვა გარიგებებში წარმომადგენელთა მონაწილეობის პირობები.

გარიგებათა დადების უფლება გააჩნიათ საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს – დირექტორატის წევრებს. ამასთან, ზოგიერთი გარიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების თანხმობით. ასეთი შეზღუდვა გათვალ-

<sup>1</sup> ლ. ლაზარაშვილი, სოლიდარული კასუხისმგებლობის საზოგადოება, საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1998. გვ. 89.

ისწინებულ უნდა იქნეს საზოგადოების წესდებით. ამასთან, წესდება აუცილებლად უნდა გამოდიოდეს კანონის იმპერატიული ნორმის შინაარსიდან. სააქციო საზოგადოების შესახებ რუსეთის კანონის მე-10 და მე-11 თავი მოიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება მსხვილ გარიგებებსა და სხვა მნიშვნელოვან ურთიერთობებს, რომლებშიც სააქციო საზოგადოებას უხდება მონაწილეობის მიღება. მაგალითად, ამ კანონის 79-ე მუხლით დადგენილია, რომ საზოგადოების იმ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების დადება, რომლის საბალანსო ღირებულება 25-დან 50%-მდეა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა განხორციელდეს, ხოლო 50%-ზე მეტი ღირებულების ქონების შეძენასთან ან გასხვისებასთან დაკავშირებული გარიგების დასადაბად საერთო კრების გადაწყვეტილებაა საჭირო. ასევე დეტალურად არის მოწესრიგებული იმ გარიგებათა დადების წესი, რომლებშიც გამოხატულია სააქციო საზოგადოების ცალკეული თანამდებობის პირების, მათი აფილირებული პირებისა და განსაზღვრული ოდენობის აქციების მფლობელთა ინტერესები<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია, ღირეკტორების გარდა, სხვა პირების აღჭურვაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით. მაგრამ ღირეკტორების წარმომადგენლობის შინაარსი სულ სხვაა, ვიდრე სხვა პირების – პროკურისტების წარმომადგენლობისა და სავაჭრო წარმომადგენლების. განსხვავებას საფუძვლად უდევს სააქციო საზოგადოებასთან დამოკიდებულების დონის ხარისხი. მაგალითად, თუ ღირეკტორი უმეტესად სააქციო საზოგადოების წევრია და დაინტერესებულია საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობით, პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი საზოგადოებისათვის უცხო პირებს წარმოადგენენ და საზოგადოებასთან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის კავშირი არ გააჩნიათ.

---

<sup>1</sup> დაწერილობით იხ.: В. В., Лаптев, Акционерное право, М., 1999, стр. 92-103. Комментарий к федеральному закону об акционерных обществах, под редакцией Г. С. Шапкина, М., 1996, стр. 182-197.

გარდა ამისა, დირექტორს თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მმართველობითი უფლებამოსილება გააჩნია საზოგადოებაში. პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ამ უფლებამოსილებით არ სარგებლობენ. დაბოლოს, დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსი არსებითად თავისივე მმართველობითი უფლებამოსილებითაა განპირობებული მაშინ, როცა პროკურისტისა და სავაჭრო წარმომადგენლის მსგავს უფლებამოსილებას საფუძვლად ედება დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის შინაარსი. ამიტომ, საბოლოო ჯამში, სააქციო საზოგადოებისათვის დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სამართლებრივად უფრო მყარი და საიმედოა, ვიდრე პროკურისტისა და სავაჭრო წარმომადგენლის. მით უმეტეს, თუ საკითხი ეხება გენერალურ პროკურას და არა ცალკეული იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მინდობილობით გაცემას.

პროკურისტისა და სავაჭრო წარმომადგენლის უფლებამოსილება — სხვადასხვა ურთიერთობებში წარმოადგინონ სააქციო საზოგადოება, ძირითადად, ამ უკანასკნელის მიერ გაცემულ მინდობილობას ეყრდნობა. ამიტომ მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის პრობლემა გაცილებით უფრო მარტივად წყდება, ვიდრე დირექტორებთან ურთიერთობაში. უმეტესად, მინდობილობაა სწორედ ის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც პროკურისტის ან სავაჭრო წარმომადგენლის უფლებამოსილებას თავიდანვე იმ დოზით და ფარგლით განსაზღვრავს, რაც აუცილებელია საზოგადოების ინტერესებისათვის. ამიტომ ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სპეციალურად კანონით ან წესდებით შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს. სულ სხვა მდგომარეობაა, როცა საქმე ეხება გენერალურ პროკურას. ამ დროს გაიცემა უნივერსალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა. ამიტომ დღის წესრიგში შეიძლება მისი შეზღუდვის საკითხი დადგეს. ვინ უნდა შეზღუდოს გენერალური პროკურისტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დირექტორებთან ურთიერთობის მსგავსად — სამეთვალყურეო სა-

ბჭომ თუ საერთო კრებამ? სამეთვალყურეო საბჭო თვითონ წყვეტს საკითხს პროკურის შესახებ. მას ღირექტორებთან დამოკიდებულებაში სულ სხვა პოზიცია გააჩნია. ღირექტორი საზოგადოების წარმომადგენლად კანონმა აღიარა. იგი სამეთვალყურეო საბჭოს გარეშეც წარმომადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მხოლოდ რამდენიმე, და ისიც საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვან ურთიერთობებში, ღირექტორს ეზღუდება მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც შესაბამისი გარიგების დასადავად თანხმობის აუცილებლობაში გამოიხატება. გენერალურ პროკურისტს სამეთვალყურეო საბჭო თანხმობას კი არ აძლევს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი გარიგების დასადავად, არამედ მინდობილობაში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი გენერალური პროკურისტის უფლებამოსილება. პროკურისტი მინდობილობის გაცემიდან იწყებს წარმომადგენლობით საქმიანობას, ამიტომ, რადგან მინდობილობა სამეთვალყურეო საბჭომ გასცა, იგულისხმება, რომ პროკურისტმა მიიღო ყველა იმ გარიგების დადების შესაძლებლობა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს. სულ სხვა საკითხია, როცა საერთო კრება შეიძლება ჩაერთოს გენერალური პროკურისტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დაზუსტებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა საზოგადოება თავისი ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტ ოდენობას ყიდის, ყიდულობს ან ცვლის. ამ საკითხის გადაწყვეტა საერთო კრების კომპეტენციაა, ამიტომ პროკურისტი ამასთან დაკავშირებულ გარიგებას დამოუკიდებლად ვერ დადებს. გენერალურ პროკურისტს არავისი თანხმობა არ სჭირდება ჩვეულებრივი გარიგების ან თუნდაც მეწარმეთა შესახებ კანონის 55.9-ე მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებელი ხელშეკრულებების დასადავად, მაგრამ 54-ე მუხლის მეექვსე პუნქტის ბოლო აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროკურისტი იზღუდება საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით. საერთო კრების გადაწყვეტილების

მიღება და მის საფუძველზე პროკურისტიკისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება მაინც შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა შინაარსის ფარგლებში თავსდება. ამ უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების სახელით პროკურისტი შეუზღუდავად მონაწილეობს. ასევე შეიძლება ახსნილ იქნეს მე-10 მუხლის მესამე აბზაცის შინაარსი – მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა. უძრავი ქონებიდან ყურადღების გამახვილება მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე ან მის უფლებრივ დატვირთვაზე შემთხვევითი არ არის. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებისა და საზოგადოების ინტერესების გარანტირებული დაცვის მიზნით, მისი ქონებიდან შედარებით ძნელად დასაცავი და სამართლებრივად სუფთად შესანარჩუნებელი ობიექტი – მიწის ნაკვეთი, მაშინ უნდა გახდეს აღნიშნულ გარიგებათა საგანი, თუ მინდობილობაში ამის შესახებ სპეციალურად იქნება აღნიშული. თუ ასეთი უფლებამოსილება მიცემული არა არის, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში პროკურისტი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

განსაზღვრულ ინტერესს იწვევს პროკურის შემოფარგვლა ერთი ან რამდენიმე ფილიალით. კანონი მე-10 მუხლში სპეციალურად მიუთითებს იმაზე, რომ პროკურის მოცულობის ყოველგვარი შეზღუდვა ბათილია. განსაკუთრებით ამახვილებს კანონი ყურადღებას იმაზე, რომ პროკურისტს უფლება აქვს, დადოს ნებისმიერი სახის გარიგება, ნებისმიერ გარემოებათა არსებობისას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. ამ ზოგადი წესიდან შესაძლებლადაა მიჩნეული პროკურისტიკის უფლებამოსილების მრავალთავან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ფილიალზე გავრცელება. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ფილიალები სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით საქმიანობენ ანდა საწარმოს საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატება, ფილიალის საფირმო სახელწოდებითა

და მისი ადგილსამყოფელის მითითებით. ეს წესი სრულებითაც არ ნიშნავს პროკურის შეზღუდვას. როგორც ცნობილია, ფილიალი საზოგადოების ნაწილია, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობა. იგი განცალკევებულია საზოგადოების ადგილსამყოფელისაგან. მართალია, ფილიალები იურიდიული პირები არ არიან, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის წარმართვაში გარკვეული ავტონომია გააჩნიათ. საზოგადოების საკუთრებაში არსებულ საწარმოს, შეიძლება რამდენიმე ფილიალი ჰქონდეს, რომლებსაც წარმომადგენლის სამუალებით მიმართავს. გადაწყვეტილებას ფილიალის შექმნის შესახებ იღებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. ფილიალი ისევე, როგორც მთლიანად საზოგადოება, უნდა გატარდეს რეგისტრაციაში თავისი ადგილსამყოფელის სასამართლოს მიერ. ფილიალს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება საზოგადოების მიერ. ეს უკანასკნელი აღჭურვილია როგორც მმართველობითი, ისე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. თავისი სტატუსით ფილიალის ხელმძღვანელი საზოგადოების დირექტორს უთანაბრდება. თავისი მმართველობითი საქმიანობის რეალიზაცია მის მიერ დადებული ხელშეკრულებების მეშვეობით ხდება. ამასთან, შესაძლებელია მესამე პირებთან ურთიერთობა პროკურისტს მიეცეს მინდობილობით, რომელიც დამოუკიდებლად ან ფილიალის ხელმძღვანელთან ერთად განახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. როცა ფილიალი ინდივიდუალიზებულია, მაშინ შეიძლება პროკურისტს ამა თუ იმ კონკრეტული ფილიალის წარმომადგენლობა დაეკისროს და არა ყველასი. პროკურის შემოფარგვლა, ასეთ შემთხვევაში, პროკურისტის საქმიანობის გამოკვეთილად განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის, რაც, საბოლოო ჯამში, შეზღუდვას კი არა, მისი საქმიანობისათვის ხელისშეწყობას ისახავს მიზნად და საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობის ფორმას აზუსტებს.

## §6. სააქციო საზოგადოებისა და მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსაზღვრა და მესამე პირებთან სააქციო საზოგადოების მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობების მრავალმხრივობა დღის წესრიგში აყენებს საზოგადოებისა და მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხს. იგი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა, მათი მმართველობითი ფუნქციების შინაარსი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენის კრიტერიუმები არაერთგვაროვანია, რაც პასუხისმგებლობისადმი ცალსახად მიდგომის შესაძლებლობებს გამორიცხავს. საგულისხმოა თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეწარმეო საზოგადოებათა კლასიფიკაცია ფაქტობრივად თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის ხასიათითა და მოცულობით განისაზღვრება<sup>1</sup>. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე შეუზღუდავად ეკისრებათ როგორც საზოგადოებას, ისე მის პარტნიორებს; კომანდიტურ საზოგადოებაში მისი პარტნიორების ერთი ნაწილის პასუხისმგებლობა კრედიტორებთან ურთიერთობაში შეზღუდულია. ესენი არიან კომანდიტები, რომელთაგან განსხვავებითაც სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა, ისე როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა, შემოიფარგლება ქონებით. აქციონერებს მესამე პირებთან ურთიერთობაში თავისი ქონებით პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ეს დებულება სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი პასუხისმგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საფუძველია. საქმე იმაშია, რომ, როცა ლაპარაკია, საზოგადოების პასუხისმგებლობაზე მესამე პირების წინაშე, აქ იგულისხმება საგარეო-სამართლებრივი ურთიერთ-

<sup>1</sup> ლალო ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი, კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“, თბ., 2000, გვ. 253.



ბანი. გარდა ამისა, არსებობს შიდასაზოგადოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც მოიცავენ ურთიერთობებს საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის, ასევე საზოგადოებასა და დირექტორებს შორის და სხვ. ასეთი ურთიერთობანი შეიძლება წარმოიშვას პარტნიორთა მიერ საწესდებო მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას, აგრეთვე მაშინ, როცა დირექტორები არღვევენ თავიანთ მმართველობით ან წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში, უმეტესად დღის წესრიგში დგება მათი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების წინაშე.

სამართლებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს საგარეო ხასიათის ფუნქციების შესრულებისას საზოგადოებასა და სხვა პირებს შორის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები. უპირველეს ყოვლისა, აქ თავისი ფუნქციების განხორციელების პროცესში პროკურისტისა და სავაჭრო წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი იგულისხმება.

პასუხისმგებლობის აღნიშნული სფეროების დეტალური ანალიზი, შესაძლებელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მეწარმეთა შესახებ კანონის როგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული ნაწილის ნორმების სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე. ამასთან, ძირითადად, მხედველობაშია მისაღები პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანისათვის. მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე თემაა, მით უმეტეს, რომ ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს<sup>1</sup>.

*ა) სააქციო საზოგადოების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა*

სააქციო საზოგადოება კერძო სამართლის სუბიექტია და მას შეუძლია თავისუფლად დადოს ხელშეკრულებები და განსაზღვროს ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მას შეუძლია. ისეთი ხელშეკ-

<sup>1</sup> შალვა ჩიკაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, გვ. 135.

რულებების დადება, რომელიც კანონით შეიძლება არც იყოს გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგებოდეს მის ზოგად დებულებებს ვალდებულებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობათა შესახებ. ამასთან, სააქციო საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულება დადოს სამეწარმეო ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან, აგრეთვე ნებისმიერ პირთან და მათ შორის ისეთებთან, რომლებიც არაკომერციული, არასამეწარმეო ხასიათის საქმიანობას ახორციელებენ სააქციო საზოგადოებასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩაბმით. ასეთი დებულება გამომდინარეობს ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპის შინაარსიდან.

სააქციო საზოგადოება შესაძლებელია პირებთან უამრავ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ებმება. ამ ურთიერთობათა აბსოლუტური უმრავლესობა თავისი პროდუქციის რეალიზაციასა და სხვადასხვა სახის ნედლეულის ან მოწყობილობათა შექმნას, აგრეთვე მომსახურებას ეხება, და ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი „მსხვილ გარიგებათა“ კატეგორიას მიეკუთვნება<sup>1</sup>. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები საზოგადოებამ უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების პროცესში გასათვალისწინებელია საზოგადოების კონტრაგენტის სახელშეკრულებო მოვალეობების შესრულების დონე. იგი შეიძლება ვალდებულების სხვადასხვა მხარეს ეხებოდეს. მაგალითად, თუ კრედიტორმა ვალდებულების შესრულება დროულად არ მიიღო, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა საზოგადოებას მისი მხრიდან უკვე შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. გარდა ამისა, სააქციო საზოგადოებას შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები, მასზე გადაიტანოს ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი და უარი განაცხადოს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის გადახდაზე. თავის მხრივ, სააქ-

---

<sup>1</sup> Я. И. Функ, В. А. Михальченко, В. В. Хвалей. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999, стр. 320.

ციო საზოგადოება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, მოვალეა აუნაზღაუროს კრედიტორს ის ზიანი, რაც მას მიადგა ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა საზოგადოებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, დაუძლეველი ძალა ან უკიდურესი აუცილებლობა) არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მოიცავს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებთან დაკავშირებულ მოვალეობების შესრულებასაც. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მარტო სახელშეკრულებო ვალდებულებებში მონაწილეობის პროცესში, არამედ არასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც – სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებისას.

მეწარმეთა შესახებ კანონი მკვეთრ ზღვარს ავლებს სააქციო საზოგადოებისა და აქციონერთა პასუხისმგებლობებს შორის. 51-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია: „სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე“. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება საგარეო-სამართლებრივი ურთიერთობები, თორემ აქციონერს თავის საზოგადოებასთან გარკვეული ვალდებულებების შესრულებაც ეკისრება და მის მიმართ მოთხოვნის უფლებაც აქვს, რადგან თვითონ აქცია ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის ანუ აქციონერის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილია საწესდებო კაპიტალითა და სხვა ქონებით.<sup>1</sup> საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს კანონით დადგენილ მინიმუმზე (15 000 ლარი) ნაკლები, რათა ამ ქონებით უზრუნვე-

---

<sup>1</sup> Жилинских С. Э., Предпринимательское право. Учебник для вузов. М. 2000. стр. 241.

ლყოს თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულება და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის მიღება. საწესდებო კაპიტალთან ერთად, საზოგადოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ნებისმიერი სხვა ქონებაც უზრუნველყოფს. კერძოდ ისეთი, რომელიც მესამე პირებისაგან, როგორც მოვალეებისაგან, აქვს მიღებული. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მიღების პროცესში სააქციო საზოგადოებას არცთუ იშვიათად წარმოეშობა მოთხოვნის უფლება. ასეთი უფლების რეალური განხორციელების დამატებითი მექანიზმებია ჩადებული მეწარმეთა შეახებ კანონის 53-ე მუხლში. მის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ, თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად.

აქციონერი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს იმას, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია აქციონერს სასამართლო ხარჯები გადაუყდოს განუსაზღვრელი ვადით.

დამახასიათებელია აქციონერთა პასუხისმგებლობის კიდევ ერთი ახალი სახე. როგორც ცნობილია, კანონის მიხედვით, აქციონერებს მიეცათ თავიანთი ზმის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების შესაძლებლობა. ეს წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა საზოგადოების მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თანაც ასეთი უფლება გააჩნია არა ყველას, არამედ დომინანტ აქციონერს. დომინანტად ითვლება ის აქციონერი ან ერთად მოქმედი აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკური შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებაზე. მაგრამ, თუ საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტ აქციონერებს ჩვეულებრივ მიეკუთვნებიან ისინი, რომლებსაც საზოგადოებაში განსაზღვრული თანამდებობები უკავიათ ან ფლობენ კენჭისყრაში მონაწილე აქციების განსაზღვრულ ოდენობას და სხვა. აღნიშნული ნორმა ძალზე ზოგად ხასიათს ატარებს. მასში არ არის დაზუსტებული, კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირი შეიძლება იყოს დომინანტის სტატუსით, აქციათა პაკეტის რა ოდენობაა აუცილებელი, რომ დომინანტ აქციონერს გააჩნდეს, შეიძლება თუ არა მასთან ერთად კიდევ ვინმეს, მაგალითად, ე. წ. აფილირებული პირების ჩართვა აღნიშნული ინტერესის განხორციელებაში და სხვ. ეს საკითხი შედარებით სრულადაა გადაწყვეტილი რუსეთის კანონმდებლობით<sup>1</sup>.

*ბ) დირექტორებისა და სხვა წარმომადგენლების პასუხისმგებლობა*

შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაზღვრული თავისებურებებით ხასიათდება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც

---

<sup>1</sup> Федеральный закон „об акционерных обществах“, комментарий, под редакцией О. Никифоровой и В. Фаминского, М., 1996, стр. 165.

მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობენ. მხედველობაშია ღირექტორების ურთიერთობა სამეთვალყურეო საბჭოსთან და საზოგადოების საერთო კრებასთან. ღირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს კეთილსინდისიერად უნდა გაუძღვნენ, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მათი ამგვარი ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, მაშინ წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან ერთად, ბრალეულობის მტკიცების ტვირთი ამ პირებზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ არ დაურღვევიათ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი და დამდგარ შედეგში მათ ბრალი არ მიუძღვით. მეწარმეთა შესახებ კანონის 59-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ღირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ ღირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. ღირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად“.

კანონის ეს მოთხოვნა დასაზუსტებელია იმის გათვალისწინებით, ჰქონდა თუ არა ღირექტორს ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილება და, აქედან გამომდინარე, მესამე პირებთან ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. სხვა ღირექტორებისაგან განსხვავებით, თუ მხოლოდ ის იყო ერთპიროვნული წარმომადგენელი, მაშინ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მას უნდა დაეკისროს. სოლიდარული იქნება პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ, თუ ღირექტორები ერთობლივად მოქმედებენ. მაგალითად, ორი ან სამი ღირექტორი ერთობლივად ხელმძღვანელობს საზოგადოებას და ერთობლივად აწერს ხელს იმ ხელშეკრულებას, რომელიც საზოგადოების სახელით იდება მესამე პირებთან. სოლიდარული უნდა იყოს პასუხისმგებლობა

საზოგადოების წინაშე მაშინაც, როცა რომელიმე დირექტორი სხვა პირთან, კერძოდ, პროკურისტთან ერთად მოქმედებს წარმომადგენლობით ურთიერთობებში. ამ დროს დირექტორისა და პროკურისტის პასუხისმგებლობა იგულისხმება. შეიძლება დირექტორებს მაშინაც მოუწიოთ სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა ყველანი ერთნაირად არიან აღჭურვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, მაგრამ ერთ რომელიმე დირექტორს ავალებენ სხვები ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას. როცა რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – ეს სოლიდარული ვალდებულებაა. ამ დროს სააქციო საზოგადოებას შეუძლია თავისი სურვილისამებრ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს ნებისმიერ დირექტორს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი დირექტორების ვალდებულება ძალაში რჩება. ერთ-ერთი დირექტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მთლიანად შესრულება, დანარჩენ დირექტორებს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან. ასეთ დროს დირექტორს, რომელმაც მთლიანად აანაზღაურა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი, სხვა დირექტორების მიმართ წარმოეშობა უკუმოთხოვნის უფლება. სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ამიტომ ბათილად ითვლება საზოგადოების კომპრომისი, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

დირექტორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისათვის. თუ დირექტორი იმავე საქმიანობას მისდევს, რასაც საზოგადოება და ამის შესახებ სახეზე არ არის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, იგი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს საზოგადოებისათვის ამით მიყენებული ზიანი. ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხება დირექტორთა მიერ თავიანთი მოვალეობების არა-

კეთილსინდისიერად შესრულებას, მათთან ურთიერთობაში საზოგადოების სახელით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც შედიან. მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი. მაგრამ, როცა საკითხი ეხება სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, საზოგადოების საერთო კრება იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და თვითონვე ნიშნავს ამ პროცესისათვის თავის წარმომადგენელს.

გარკვეული თავისებურებებია დამახასიათებელი სააქციო საზოგადოების ურთიერთობებისათვის პროკურისტთან, სავაჭრო მინდობილობის მქონე პირთან, სავაჭრო წარმომადგენელთან და კომისიონერთან. მათი ურთიერთობა არ თავსდება მარტო საგარეო ან შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში. მაგალითად, როცა პროვიზიის გატარებას ეხება საკითხი, მაშინ შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობაა სახეზე. მაგრამ, როცა პროკურისტი მინდობილობის გარეშე დებს ხელშეკრულებას მესამე პირებთან, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მან შეიძლება დღის წესრიგში დააყენოს პროკურისტის პასუხისმგებლობა იმ მიზნისათვის, რომელიც პროკურისტის სამართლებრივად უსაფუძვლო მოქმედებამ გამოიწვია. კომისიონერი, მართალია, სააქციო საზოგადოების ისეთი წარმომადგენელი არ არის, როგორც პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი, მაგრამ მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან განსაზღვრულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული და მათი შეუსრულებლობა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. ასევე ეკისრება საზოგადოებას რეგულარულად უხადოს კომისიონერს საკომისიო საზღაური.



სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებული არიან, საზოგადოებას შეთანხმებულ ვადებში წარუდგინონ ანგარიშები შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე პროვიზიისა და კომისიის ოდენობის შესახებ. მათ საზოგადოებას ასევე უნდა მოსთხოვონ სათავადებო პროვიზია. პროვიზიისა და კომისიის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა საზოგადოების ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია. თავის მხრივ, სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს, საზოგადოების თანხმობის გარეშე, არა აქვთ უფლება სხვაგვარად იმოქმედონ ან მონაწილეობა მიიღონ კონკურენციულ საქმიანობაში. თუ ეს ვალდებულება დაირღვევა, სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, საზოგადოებას უფლება აქვს სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს წაუყენოს მოთხოვნა, რომ კონკურენტ საწარმოსთან დადებული გარიგებები გადასცეს სააქციო საზოგადოებას, აგრეთვე უკან დააბრუნოს ამ გარიგებიდან მიღებული სარგებელი ან საერთოდ არ მოითხოვოს იგი.

სააქციო საზოგადოებასა და მის წარმომადგენლებს შორის, თუ არ არსებობს საკონკურენტო საქმიანობის აკრძალვის შეთანხმება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც, აკრძალვას მხოლოდ მაშინ ექნება ძალა, თუ საზოგადოება ამისათვის იხდის კომპენსაციას. ასეთი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ ერთი წლის ვადით. სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია — თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სხვა საზოგადოებას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის გამო სავაჭრო წარმომადგენელი კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებელი გარიგების გაგრძელებისას. ახალი

კლიენტის მოზიდვას უთანაბრდება სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კლიენტთან საქმიანი კავშირის ისე გაფართოება, რომ იგი ეკონომიკური თვალსაზრისით ღიდად მომგებიანი იყოს. კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს სავაჭრო წარმომადგენლის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის საქმიანობისას გამოანგარიშებული წლიური პროვიზიის ან სხვა წლიური გასამრჯელოს საშუალო ოდენობას, უფრო ხანმოკლე სახელშეკრულებო ურთიერთობისას საშუალო გამოანგარიშება მთელი საქმიანობის ხანგრძლივობიდან. დაუშვებელია კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი ან წინასწარი დაკმაყოფილება ხელშეკრულების შეწყვეტამდე. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ: 1. სავაჭრო წარმომადგენელმა მოშალა ხელშეკრულება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამისათვის საბაბი მისცა საწარმოს მოქმედებამ ან სავაჭრო წარმომადგენლის მიერ თავისი საქმიანობის გაგრძელება ასაკის ან ავადმყოფობის გამო შეუძლებელია; 2. სხვა საწარმომ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და ამის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს სავაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება; 3. საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის შეთანხმების საფუძველზე სავაჭრო წარმომადგენლის ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედის მესამე პირი. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის ვადაში.

პროკურისტიისა და სავაჭრო წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სააქციო საზოგადოების მიერ გაცემული რწმუნების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. მინდობილობაში გამოხატული რწმუნების ფარგლები ამ შემთხვევაში მთავარია. ამიტომ, როცა ხდება უფლებამოსილებაში ცვლილებების შეტანა ან მისი გაუქმება, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების საერთოდ გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიერ, იმ შემთხვევის გარდა, როცა მხარეებმა

ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ანდა უნდა სცოდნოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები. მათ მიეკუთვნება: 1. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება; 2. უფლებამოსილი პირის უარი; 3. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება; 4. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება ან მისი ქმედუუნარობის დადგომა, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; 5. შესრულება. უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს. ამას შეიძლება მოჰყვეს ყოფილი წარმომადგენლის მიერ რწმუნების გარეშე ამა თუ იმ მოქმედების შესრულება. ასეთ შემთხვევებში საკითხი უნდა გადაწყდეს შემდგენაირად: თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. ხელშეკრულების მეორე მხარე, თუ წარმოდგენილი პირისაგან ითხოვს თანხმობას, მაშინ ამის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში. ამ ხნის განმავლობაში თანხმობის მიუღებლობა ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა უარყოფილია. თუ თანხმობა არ არის სახეზე, მაშინ ხელშეკრულებაც არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივად გამართულად, აქედან გამომდინარე შედეგებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სააქციო საზოგადოებას ან მის წარმომადგენლებს იმის მიხედვით, თუ რა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი ვისი ბრალითაა გამოწვეული. მესამე პირი ასეთ შემთხვევაში შედარებით უკნებელია. ერთია მხოლოდ, ხელშეკრულების დასადებად თანხმობის მიცემამდე, მესამე პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხე-

ლშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენლის მიმართაც შეიძლება გამოითქვას. თუ პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი დებს ხელშეკრულებას და თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ ადასტურებს, ვალდებულია მესამე პირის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი – სააქციო საზოგადოება ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს. იმ შემთხვევაში, როცა პროკურისტმა ან სავაჭრო წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მესამე პირს უფლებამოსილების ნდობის გამო დაემართა.

თუ ხელშეკრულების დადებისას პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ ხელშეკრულება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს საზოგადოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარეს – საზოგადოების კონტრაგენტს უნდა ევარაუდა წარმომადგენლის შესახებ. სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს არ აგებს, თუ მესამე პირმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შესახებ. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება სააქციო საზოგადოების კონტრაგენტს. სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, მაგრამ იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

## ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ОРГАНИЗАЦИИ И ФУНКЦИОНИРОВАНИЯ АКЦИОНЕРНОГО ОБЩЕСТВА

Возникновение и развитие акционерного общества было обусловлено объективной необходимостью. Сравнительно высокая степень развития капитализма на повестку дня поставила необходимость поиска новых путей концентрации капитала. Акционерное общество стало той юридической конструкцией, которая позволила объединить существующее в руках отдельных лиц имущество для осуществления хозяйственных или других целей таким образом, что на этих последних не возлагало ответственность в рамках всего имущества и в то же время, они могли получать определенную часть прибыли от общего имущества.

Акционерное общество является юридическим лицом и оно может участвовать в любых правовых отношениях, основываясь на своей, обособленной от имущества акционеров, собственности. Поэтому, существование акционерного общества не зависит от изменения состава участников. Оно существует бессрочно – от регистрации создания до регистрации его ликвидации.

Акционерное общество имеет анонимный характер. Акционер не обязан обнародовать количество своих акций или свою долю в уставном капитале. Он может физически не участвовать в деятельности общества. Акционерное общество не является обществом, опирающимся на доверие партнеров.

Анализ предпринимательской и судебной практики дает серьезную основу для внесения некоторых изменений в законе Грузии „О предпринимателях“. Это особенно касается вопросов создания, реорганизации и ликвидации,

правового положения имущества акционерного общества и акционеров, участия акционерного общества в гражданских правоотношениях и др.

В основе размежевания управленческих и представительских полномочий директоров акционерного общества лежит различие в содержании правовых отношений внутри общества и возникающих с третьими лицами внешних правовых отношений.

Ограничение управленческих полномочий директоров общим собранием и наблюдательным советом нельзя считать нарушением презумпции неограниченности их представительских полномочий перед третьими лицами.

Акционерное общество своей собственностью самостоятельно несет ответственность не только за ненадлежащее выполнение или невыполнение взятых обязательств перед третьими лицами, но и перед субъектами отношений внутри общества так же, как эти последние – перед аукционерным обществом.

## LEGAL BASIS FOR SETTING-UP AND RUNNING THE SHAREHOLDING COMPANY

Initiation and development of shareholding company has been specified by objective necessity. Relatively higher stage of capitalism development has placed on the agenda the necessity to search for new ways of capital concentration. Shareholding company became such type of legal structure that has rendered it possible to unite separately owned properties of several persons, in order to run economic activities or pursue any other purposes in such a way that the latter (persons) would not be liable, within a frame of total property value, and simultaneously be entitled to get paid dividends from profits of the common property.

Shareholding company is a legal entity and may be acting as a party to any legal deal or transaction based on its own property, separated from the ones of the shareholders'. For that reason, functioning of the shareholding company would not depend on changing members. It is to perform its activities for an unlimited period of time, i.e. – starting from registration moment and ending up with its liquidation.

Shareholding company is considered as anonymous legal entity. Shareholder shall not be entitled to officially inform a quantity of own shares or own share in the charter capital. A shareholder may not be physically involved in the company's activities. Shareholding company shall not be considered as company supported by trust of its shareholders'.

Analyzing entrepreneurial activities as well as judicial experience provide serious reasons for revision and introduction of amendments into the Georgian legislation *On Entrepreneurs'*. That particularly deals with such issues as setting-up, re-structuring and liquidation, as well as

legal terms and conditions for shareholding company and shareholders, participation of shareholding company in civil legal relations and others.

Reasons of separating managerial and representative duties of shareholding company's director, is based on differences of content of legal relations within the company, and outside legal relations occurred as the consequence of dealing with third parties.

Limitation of managerial duties of directors made by shareholders' general meeting and by supervisory board, shall not be considered as violation of limitless presumption of directors' representative duties and obligations for a third party.

Shareholding company shall be independently liable with own property not only for failure to properly perform or failure to execute its obligations for third parties, as well as for relations with subjects within the shareholding company, and in the same way the said subjects shall be liable for shareholding company.



# ლიტერატურა

## I. ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 1999.
3. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბ., 1999.
4. საქართველოს კანონი ჩეკის შესახებ და საქართველოს კანონი თამასუქის შესახებ. თბ., 1995.
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბ., 1998.
6. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობისა და გარანტიების შესახებ. თბ., 1998.
7. საქართველოს საბაჟო კოდექსი. თბ., 1998.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ., 1998.
9. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. თბ., 1999.
10. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. თბ., 1999.
11. საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1, 1999. №43. მ. 220.
12. საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1, 1999. №4. მ. 18.
13. საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1, 1999. №20. მ. 101.
14. საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. პარლამენტის უწყებანი, 1996. №29-30, გვ. 5.
15. საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“. პარლამენტის უწყებანი, 1994-1995. № 23-26. მ. 496.

16. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. თბ., 1997.

17. აქციათა რეესტრის წარმოება. ნორმატიული დოკუმენტები, ინსტრუქციები, რეკომენდაციები. თბ., 1999.

18. საკანონმდებლო აქტების კრებული. პასუხისმგებელი გამოცემაზე ავთანდილ დემეტრაშვილი. თბ., 1998.

19. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. რედაქტორი ლადო ჭანტურია. თბ., 1998.

20. Акционерное общество и товарищество с ограниченной ответственностью. Сборник зарубежного законодательства. Отв. редактор В. А. Туманов. изд. БЕК. М., 1995.

21. Германское право. Часть I. Гражданское уложение. Научный редактор В. В. Залесский. Международный центр финансово-экономического развития. М., 1998.

22. Германское право. Часть II. Германское торговое уложение и другие законы. Научный консультант А. С. Комаров. Международный центр финансово-экономического развития. М., 1996.

23. Гражданский кодекс Российской Федерации. М., 1995.

24. Федеральный закон РФ ОБ акционерных обществах. М., 1995.

## II. სპეციალური ლიტერატურა

25. ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1998.

26. ახვლედიანი ზურაბ, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 1997.

27. ბახუტაშვილი გელა, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა, „სააქციო საზოგადოების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 117-126.

28. ბერიშვილი გიორგი, პარლამენტის წევრი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 201-204.

29. გოგოხია რევაზ, საბაზრო ეკონომიკა, ლექციები. თბ., 1996.

30. კახნიაშილი ავთანდილი, „მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის“. ჟ. ტასისი (Taxis). ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. მეოთხე კვარტალი. 1999. გვ. 109-114.

31. კნიპერი როლფ, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 117-116.

32. კნიპერი როლფ, კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში (საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით). კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 176-191.

33. კნიპერი როლფ, საკუთრების პრობლემები გარდამავალ საზოგადოებაში. „გივი ინსტიტუტი 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 118-124.

34. კახაძე მაყვალა, შრომის სამართალი, კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 264-310.

35. კახაძე მაყვალა, წარმომადგენლობისა და მინდობილობის ინსტიტუტის თავისებურებანი. კრ. „სამართლის რეფორმა

საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 242-255.

36. კორტავა ირაკლი, სამეთვალყურეო საბჭოს როლი ქართული სააქციო საზოგადოების კორპორაციულ მართვაში. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 65-72.

37. კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი. თბ., 2001.

38. ლაზარაშვილი ლალი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება(სამართლებრივი მოწესრიგება). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.

39. ლაზარაშვილი ლალი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სამართლებრივი მოწესრიგება). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1997.

40. ლუთერი მარკუს, კორპორაციული მართვა გერმანიასა და ამერიკაში. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 21-32.

41. ლოლაძე გიორგი, საქართველოს საფონდო ბაზრის რეგულირება და მისი როლი სააქციო საზოგადოებათა კორპორაციულ მართვაში. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოს“. თბ. 2000. გვ. 165-168.

42. ლილუაშვილი თენგიზი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის პროცესი. თბ., 1998.

43. ლილუაშვილი თენგიზი, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი. თბ., 2000.

44. ლილუაშვილი გია, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე. ჟურ. „ცხოვრება და სამართალი“. 1998. №1. გვ. 47-52.

45. მიგრიაული როინ, გაკოტრების სამართლის ზოგიერთი საკითხი. კრ. „გვი ინწყირველი 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 256-266.

46. მიგრიაული როინ, შესავალი გაკოტრების სამართალში. თბ., 1999.

47. მემარნიშვილი მერაბ, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 127-130.

48. ზოიძე ბესარიონ, საკუთრების ცნება ქართულ სამოქალაქო კოდექსში. ჟურ. „ტასისი“. ქართული სამართლის მიმოხილვა. მეორე-მესამე კვარტალი. 1998. გვ. 87-96.

49. ზოიძე ბესარიონ, ახელედიანი ზურაბ, საერთო და ეროვნული სულის სინთეზი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. № 242. 1996. 3 დეკემბერი.

50. ზოიძე ბესარიონ, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 285-292.

51. ზოიძე ბესარიონ, სანიუთო სამართალი, გ. თბ., 1999.

52. ზოიძე ბესარიონ, აქცია და სააქციო საკუთრების ცნება. „ცხოვრება და სამართალი“. თბ., 1998. №3. გვ. 5-11.

53. ზარნაძე ეკა, ფასიან ქალაქში გამოხატული უფლების განხორციელება, ჟურ. „ცხოვრება და სამართალი“. თბ., 1998. № 3. გვ. 65-72.

54. ზამბახიძე ტარიელ, საკუთრების მინდობა – საქართველოს ახალი ინსტიტუტი. ჟურ. „სამართალი“. 2000. №1. გვ. 44-56.

55. ზამბახიძე თამარ, კომერციული ბანკებისათვის მინდობილი ქონების მართვის სამართლებრივი ასპექტები. ჟურ. „სამართალი“. 2000. №4-5. გვ. 50-62.

56. ზემლერი იოჰანეს, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების იერარქიაში. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 43-54.

57. თიბე იურგენ, გაკოტრების სამართლის რეფორმა და ტრანსფორმაცია. „სერგო ჯორბენაძე 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 309-346.

58. ოდერეში დანიელ ა., ბაკარე ხაკიმ ა., საფონდო ბირჟებისა

და აქციების შესახებ ანი-დან ჰაე-მდე. თარგმანი დემურ ჯანელიძისა. ქუთაისი, 1995.

59. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია. თბ., 1999.

60. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია. თბ., 1999.

61. ფრომი ჰარტმუტ, კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი ორგანიზაციის ურთიერთშედარება. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 220-225.

62. ქვაჩახია იროდიონ, ქუტიძე როინ, ეკონომიკური თეორია. თბ., 2000.

63. ქოჩაშვილი ქეთევან, ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი. ჟურ. „სამართალი“. 2000. № 8-9. გვ. 36-46.

64. ქოქრაშვილი ქეთევან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1998.

65. ქოქრაშვილი ქეთევან, სამეწარმეო სამართლის ცნების პრობლემა. ჟურ. „სამართალი“. 2000. №6-7. გვ. 62-65.

66. შენგელია რომან, დუნდუა მზია, საკრედიტო საანგარიშსწორებო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება საბაზრო მეურნეობის პირობებში. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. 1994. გვ. 301-311.

67. შენგელია რომან, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. „გვიი ინჟინირველი 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 168-176.

68. შენგელია რომან, სამოქალაქო სამართალი, კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 128-186.

69. შენგელია რომან, კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები. „სერგო ჯობენაძე 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 67-74.

70. შენგელია რომან. ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება. თბ., 1991.
71. შენგელია ეკა. სააქციო საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი და აქციონერთა უფლება-მოვალეობანი. ჟურ. „სამართალი“. 1996. №1-2.
72. შენგელია ეკა. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. ჟურ. „სამართალი“. 1998. №7-8.
73. შენგელია ეკა. სააქციო საზოგადოების ღირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ჟურ. „სამართალი“. 2000. №3.
74. შენგელია ეკა. სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა. თბ., 1999.
75. შუშანაშვილი ალექსანდრე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. თბ., 1998.
76. შუშანაშვილი ალექსანდრე. იურიდიული ლექსიკონი. თბ., 2000.
77. ჩიკვაშვილი შალვა. მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბ., 1998.
78. ჩიკვაშვილი შალვა. მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 2000.
79. ჩიკვაშვილი შალვა. საოჯახო სამართალი. თბ. 2000.
80. ჩორგოლაშვილი ლამარა. დელიქტური ვალდებულების ახლებურად გადაწყვეტის შესახებ. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ. 1994. გვ. 242-255.
81. ჩხაიძე ვანო. საკანონმდებლო რეგულირება ცხოვრებისეულ რეალობებს უნდა შეესაბამებოდეს. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 197-200.
82. ჩიქავა ლეო. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997.
83. ცისკაძე მარიამ. სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი. „სერგო ჯორბენაძე 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996, გვ. 379-386.

84. ძამუკაშვილი დავით. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბ., 2000.

85. ძიძიგური დავით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების სამართლებრივი პრობლემები. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1998.

86. ძიძიგური დავით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების სამართლებრივი პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1997.

87. ძიძიგური დავით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი. თბ., 1997.

88. ძლიერიშვილი ზურაბ. დაკარგული საწარმდგენლო ფასიან ქალღსა და საორდერო ფასიან ქალღდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება). ჟურ. „სამართალი“. 2000. № 3. გვ. 27-31.

89. ძლიერიშვილი ზურაბ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 187-224.

90. ჭანტურია ლადო. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., 1997.

91. ა. ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ., 1998.

92. ჭანტურია ლადო. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. თბ., 1999.

93. ჭანტურია ლადო. უძრავი ნივთების საკუთრება. თბ., 1994.

94. ჭანტურია ლადო. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. „სერგო ჯორბენაძე 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 32-55.

95. ჭანტურია ლადო. სამოქალაქო სამართალი და სამოსამართლო სამართლის პრობლემები. ჟურ. „სამართალი“. 1997. № 8-10. გვ. 44-48.

96. ჭანტურია ლადო. სამართლის რეფორმა და იურიდიული განათლება. „გვინი ინსტიტუტი 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 256-266.



97. ჭანტურია ლადო. საკორპორაციო სამართალი. კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 225-263.

98. ჭანტურია ლადო, კნიპერი როლფ, ზემლერი იოჰანეს. წინათქმა კრებულისათვის „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 7-8.

99. ჭანტურია ლადო. სანიეთო სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 226-241.

100. ჭითანავა ნოდარ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1997.

101. ხარშილაძე ირმა. ადმინისტრაციული სამართალი. კრ. „ქართული სამართლის საფუძვლები“. თბ., 2000. გვ. 311-352.

102. ხეცურიანი ჯონი. მისასალმებელი სიტყვა 2000 წლის 7-8 მარტს თბილისში გამართული გერმანულ-ქართული სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბ., 2000. გვ. 11-15.

103. ხეცურიანი ჯონი. იურიდიული პირების საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 192-199.

104. ხელაია გედევან. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.

105. ჯავახიშვილი ივანე, ქართული სამართლის ისტორია, თხზ., ტ. VII, თბ., 1984.

106. ჯაფარიძე სერგი, სავაჭრო სამართალი, ტფილისი, 1925

107. ჯორბენაძე სერგო. საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994. გვ. 139-154.

108. ჯორბენაძე სერგო. წინასიტყვაობა მეწარმეთა შესახებ კანონის მრავალენოვანი გამოცემისათვის. თბ., 1995. გვ. 5-7.

109. ჯორბენაძე სერგო. გაკოტრების მმართველის ფუნქციები. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. ჟურ. „სამართლის აქტუალური საკითხები“. 1999. №1. დეკემბერი. გვ. 54-58.

110. Андриюшенко В. Н., Костникова Е. В. Книга акционера для чтения и принятия решений. М., 1994.
111. Андреев Б. К. Основы предпринимательской деятельности. М., 1995.
112. Бризганин А. В. Гражданско-правовое регулирование отношения в сфере организации и деятельности субъектов предпринимательства. Екатеринбург. 1993.
113. Вольф В. Ю. Основы учения о товариществах и акционерных обществах. М., 1927.
114. Гражданское право, т. I. Под редакцией А. П. Сергеева и Ю. К. Тольстого. М., 2000.
115. Гражданское и торговое право капиталистических государств. Отв. редактор Е.А. Василева. М., 1993.
117. Голубович А. Д., Фиркало Д. Г. Создание акционерных обществ: советская и зарубежная практика. М., 1990.
118. Долинская В.В. Акционерное право. М., 1997.
119. Жилинский С. Э., Предпринимательское право. Учебник для ВУЗов. М., 2000.
120. Журавлева И. А., Никимин С. Н. Развитие акционерно-коммерческой деятельности в СССР. Лю 1991.
121. Жюллио де ла Морандьер. Гражданское право Франции. М., 1958.
122. Каминка А. И. Очерки торгового права Типография М. М. Стасюлевича СП. 1912.
123. Кашанина Т. В. Хозяйственные товарищества и общества: правовое регулирование внутрифирменной деятельности. М., 1995.
124. Кашанина Т. В., Сударькова Е. А. Акционерное право. М., 1997.
125. Кравцев Н., Сабанти Б. Проблема становления акционерной собственности и ее правовое закрепление. М., 1989
122. Козлова Е. В. Учредительный договор о созда-

ний коммерческих обществ и товариществ. М., 1994.

126. Кулагин М. Н. Государственно-монополитический капитализм и юридическое лицо. М., 1987.

127. Комментарий части второй Гражданского кодекса Российской Федерации. М., 1995.

128. Комментарий части второй Гражданского кодекса Российской Федерации. М., 1996.

129. Комментарий к Федеральному закону об акционерных обществах. Отв. редактор Г. С. Шапкина. М., 1996.

130. Лаптев В. В., Правовое регулирование предпринимательской деятельности. С., 1995.

131. Лаптев В. В., Акционерное право. М., 1999.

132. Ломакин Д. В., Акционерный и уставный капитал: соотношение понятий по действующему законодательству. Ж. „Право и экономика“. 1996. №15-16. стр. 5-8.

133. Ломакин Д. В., Правовой статус органов управления акционерного общества. Ж. „Право и экономика“. 1996. №7, стр. 14-19.

134. Ланкоф С. Н., Товарищества и акционерные общества. Харьков, 1926.

135. Могилевский С. Д., Акционерные общества. Комментарии. Практика. Нормативные акты. М., 1999.

136. Метелева Ю. А., Правовое положение акционера в акционерном обществе. М., 1999.

137. Мартемьянов В. С., Предпринимательское право: Курс лекций. М., 1993.

138. Мотылев В. Е., Экономическая истории зарубежных стран. М., 1961.

139. Нарышкина Л. Д., Акционерное право США (Правовое положение предпринимательских корпораций США). М., 1978.

140. Новицкий И. Б., Римское право. И., 1995.
141. Петражицкий А. И., Акция. Биржевая игра и теория экономических кризисов. СП. 1911.
142. Пятков Д., Управление акционерным обществом, все акции которого принадлежит одному лицу. Ж. „Хозяйство и право“. 2000. №1. стр. 84-91.
143. Савельев В. А., Гражданский кодекс Германии. М., 1994.
144. Степанов Д., Особенности договора учредителей в создании акционерного общества. Ж. „Хозяйство и право“. 2000. №2. стр. 42-57.
145. Сулейманов В. К., Покровский Б. В., Худяков А. Н., Жакенов В. А. Право и предпринимательство в Республике Казахстан. Алматы. 1994.
146. Тихомиров Ю. А. Участие государства в создании и акционерных обществ. Ж. „Право и экономика“. 1996. № 3-4, 17-21
147. Тишанская Р. В. Понятие предпринимательской деятельности. Ж. „Правоведение“. 1994. №1, стр. 16-21.
148. Удинцев В. А. История обособления торгового права. Киев, 1900.
149. Функ Я. Н., Михальченко В.А., Хвалей В. В. Акционерное общество: история и теория. Минск, 1999.
150. Федеральный закон „Об акционерных обществах“ с постратейными комментариями в виде вопросов и ответов. Редактор: О. Никифорова, В. Фаминский. М., 1996.
151. Федеральный закон „Об акционерных обществах“. Практический комментарий к применению. Гл. редактор А. А. Глушецкий. М., 1996.
152. Шершеневич Г. Ф. Учебник торгового права. М., 1919.

153. Шершенович Г. Ф. Учебник русского гражданского права. т. I. М., 1914.
154. Шепелев Е. Д. Акционерные компании в России. Л., 1973.
155. Харитонов Е. О. История частного (гражданского) права Европы. Одесса, 1998.
156. Harry G. Henn, John R. Alexander, Laws og Corporations, West Publishing Co, 1983.
157. Radin M., The Problem of Corporate Personality, 32 Cilumbia Laws Rew (1932).
158. Berle A., Means G. The Modern Corporation and Pruvate Propty 1932.
159. Dawey, The Historic Background of Corporate Legal Personality (1926).
160. Cranston R. (ed) Banks: Leability and Risk. London, 1995.

### III. პრაქტიკის მასალები

160. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს არქივი (სააქციო საზოგადოებათა რეგისტრაციის მასალები).

161. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 16 თებერვლის განჩინება – თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამისი პალატის 1999 წლის 8 სექტემბრის განჩინებაზე (კომერციული ბანკ. „მინავო ბანკისაგან“ საინვესტიციო თანხის დაბრუნების შესახებ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწილი I. 2000; №5; გვ. 193-195.

162. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 8 მარტის განჩინება – თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამისი პალატის 1999 წლის 17 დეკემბრის განჩინებაზე (სს ბანკი „ქართუს“ მიმართ ადრე გამოტანილი განაჩენების განმარტების შესახებ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ნაწილი I. 2000. №7. გვ. 274-275.

163. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 21 მარტის განჩინება – ქუთაისის საოლქო სასამართლოს შესაბამისი პალატის 1999 წლის 1 დეკემბრის განჩინებაზე (სს „ელექტრომექანიკოსის“ მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ნაწილი I. 2000. № 8. გვ. 349-351.

164. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 31 მარტის განჩინება – თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამისი პალატის 1999 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე (სს „საქავტოტრანსი-2“-საგან აქციათა გამოსყიდვის შესახებ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ნაწილი I. 2000. №9. გვ. 404-406.

165. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 26 აპრილის განჩინება – თბილისის საოლქო სასამართლოს შესაბამისი პალატის 1999 წლის 2 თებერვლის განჩინებაზე (სს „თბილგაზის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ნაწილი I. 2000. № 9. გვ. 439-441.

166. საქართველოში ფუნქციონირებადი უმსხვილესი სააქციო საზოგადოების წესდებები (თბილკრედიტბანკი, თბილთამბაქო, ყაზბეგი, თბილგაზი, მადნეული, ინტელექტბანკი და სხვ.).

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე  
ტექ. რედაქტორი ლ. ნინიკაშვილი  
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.06.02  
საბეჭდი ქალაქი 60X84  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 10  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 8,55  
შეკვეთა №151 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. 112